# საერთო გაზეთი

№05 (189) ● 8-14.II, 2012 წელი ● ოთხშაბათი ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი




„ეროვნული ფორუმი“ ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში გაერთიანდა, რითაც არსებული ხელისუფლების არჩევნებში გამარჯვების შანსი გამოირიცხა.

კოალიციაში „ფორუმის“ გაერთიანებით ქართულ პოლიტიკაში, ფაქტობრივად, ახალი, უმნიშვნელოვანესი ეტაპი დაიწყო.

დარწმუნებული ვართ, ამიერიდან ბიძინა ივანიშვილის კოალიცია სულ სხვა მუხტით და სულ სხვა შემართებით დაიწყებს მოქმედებას და, რაც მთავარია, მასში აქტიურად ჩაერთვება მთავარი პოლიტიკური ძალა — მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი.



ზაზა შათირიშვილი:

## biZina ivaniSvili aris is adamiani, romelic Tavad aris mesiji



მაია ფანჯიკიძე:



## davelodoT 14 Tebervals

დაველოდოთ 14 თებერვალს, ეს მნიშვნელოვანია ყველასათვის, უპირველესად კი - ბიძინა ივანიშვილისათვის.

თემურ მიქიანაშვილი:

## rezo WeiSvilis azriT, stalini kretini iyo, ivaniSvili cudi politikosia, saakaSvili _ ai, Cveni mama da marCenali!





## mixeil saakaSvili premier-ministrobisTvis ki ara parlamentis Tavmjdomareobis Tvis emzadeba



**ვახტანგ ხარჩილავა**

# amerikuli Calmada daviwyebuli diadi sityva _ samSoblo



30 იანვარს ვაშინგტონში, ბარაკ ობამასთან მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის გარშემო დისკუსიები და დებატები არ ცხრება.

**ყველას აინტერესებს, რა უთხრა იმან ამას და ამან იმას?**

ყველას ეს აინტერესებს და ეს ცხოველი ინტერესი კანონზომიერია, რადგან ჩვენი ქვეყნის, საქართველოს, ბედი სწორედ იმაზეა დამოკიდებული, რა უთხრა იმან ამას და ამან იმას.

ოპოზიციური სპექტრი გახარებულია — ბარაკს მიშასთვის თითი დაუქნევია და დაუკრეფავში ნუ გადახვედიო, უთქვამს, რაც იმის დასტურია, რომ სააკაშვილის პოლიტიკური კარიერის დასასრული ახლოვდებაო.

შეიძლება ამ ამბავში მართლაც არის რაღაც გასახარელი, მაგრამ, ალბათ, იმაზეც ღირს დაფიქრება, რამდენად სასიხარულოა ის, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების ყოფნა-არყოფნის საკითხი სადღაც ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით წყდება თურმე და არა აქ, საქართველოში.

აკი, თავისუფალი, დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო ვართო?

ესაა დამოუკიდებლობა და თავისუფლება?

ამისთვის ვიბრძოდით და ამისთვის ვიკლავდით თავს?

**ადრე მოსკოვში წყდებოდა ჩვენი ბედი, ახლა ვაშინგტონში და მოსკოვში წყდება ერთდროულად და ამ ხვედრს ისე უსიტყვოდ და უდრტვინველად შევეგუეთ, ვითომ არაფერიაო.**

**საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილზე რუსის ჯარი დგას, საქმე ისე მიდის, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ამერიკის (გნებავთ, ნატოს) ჯარები შეიძლება განლაგდეს და ამ ქვეყანაზე ჩვენთვის ადგილი არ დარჩეს.**

ყოველ შემთხვევაში, ქართული სახელმწიფოს ინტერესები ამ ორ ძალას შორის რომ გაისრისება, ფაქტია.

ამისთვის გვინდოდა დამოუკიდებლობა, რომ ერთდროულად ორი ზესახელმწიფოს სამხედრო პოლიგონი გავმხადრიყავით? აქლემების ჩხუბში კოზაკი რომ გაიჭყლიტა, ისე დაგვემართა.

**გამოდის, ერთდროულად ორი ზესახელმწიფოს მიერ ვართ დაპყრობილ-ფეხქვეშგადებული, ჩვენ კი დემოკრატია და არჩევნებიო, გავიძახით იმის ნაცვლად, რომ სამშობლო დაგვიბრუნეთ, თქვე ოხრებოო, ვიყვიროთ.**

**სამშობლო, დავიწყებული დიადი სიტყვა „მიმოქცევიდან“ ამოიღეს.**

მიგვიხვდნენ ჩვენი ავისმსურველები, რომ არც სიცოცხლე გვემეტება სამშობლოსათვის და არც სიკვდილი.

ამიტომაც ვართ ამ დღეში და, როგორც იტყვიან, რაც გვჭირს, საკუთარი უხეირობით და ბედოვლათობით გვჭირს.

* * *

**ვუსმენ, ამ ე.წ. პოლიტიკოსებს, ე.წ. ექსპერტებს, ე.წ. ჟურნალისტებს და გული სევდით მევსება — როგორ შეიძლება ამ ერთი ციდა ქვეყანას ამდენი არასრულყოფილების კომპლექსით და ამდენი მონური ფსიქიკით შეპყრობილი ადამიანი ჰყავდეს?**

ისინი შიფრავენ ბარაკ ობამას თითეულ ფრაზას, ცდილობენ ჩასწვდნენ ბარაკ ობამას ნართაულად ნათქვამი სიტყვების ქვეტექსტს, მიმოიხილავენ ბარაკ ობამას ახლო თუ შორეულ პერსპექტივებზე გათვლილ დასკვნებს, ცდილობენ გაერკვნენ, რა „განაჩენი“ გამოუტანა ბარაკ ობამამ მიხეილ სააკაშვილს, რა იგულისხმა ბარაკ ობამამ ხელისუფლების ფორმალურად გადაცემაში; ისინი, ეს ქართ-



ველი ე.წ. პოლიტიკოსები, ე.წ. ექსპერტები, ე.წ. ჟურნალისტები იხსენებენ და აანალიზებენ ბარაკ ობამას ჟესტიკულაციას და მიმიკებს, იხსენებენ, სად და როდის გააკეთა პაუზა და ცხარედ კამათობენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა ამ პაუზას, მის გამოხედვას, ღიმილს თუ წარბების შეკვრას.

**ისინი გამუდმებით, გადაბმულად ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ ობამაზე, მაგრამ არ ლაპარაკობდნენ საქართველოზე, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მათ არც ახსოვდათ საქართველო და ქართველი ხალხი, როგორც ამ პროცესის უშუალო მონაწილე,**

როგორც სუბიექტი, როგორც მხარე, რომლის აზრი და პოზიცია, თუნდაც მისი ბედ-იღბლის გარშემო მსჯელობისას, მხედველობაში უნდა მიიღო და უნდა გაითვალისწინო.

**ეს ადამიანები, წარმოშობით და გვარასახელით ქართველები, საკმაოდ განათლებულნი და ნაკითხნი, ვერ ხვდებიან და ვერ ათვითცნობიერებენ, რომ მათთვისვე შეუმჩნევლად მონებად ქცეულან და ამ დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ როლს სიამოვნებით და, გაგიკვირდებათ თუ ვიტყვი, თავმომწონედ და ამაყად ასრულებენ.**

* * *

თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ მოსაზრებას, რომ, საბოლოო ჯამში, სწორედ ვაშინგტონში წყდება საკითხი თუ ვინ იქნება საქართველოს ხელისუფლების პირველი პირი, საუბარი დემოკრატიასა და დემოკრატიულ არჩევნებზე ყოველგვარ აზრს ჰკარგავს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გაცხოველებით ვემზადებით არჩევნებისთვის, ვქმნით პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ვაწყობთ დებატებს, პოლიტიკურ თოქ-შოუებს, ვადგენთ პროექტებს, პროგრამებს, მოკლედ რომ ვთქვათ, დიდი მონდომებით ვთამაშობთ დემოკრატიობანას, შედეგი კი მაინც ის დაფიქსირდება, რასაც ვაშინგტონი დასტურს მისცემს.

ასე იყო ეს მაშინაც, როცა პატიაშვილმა არჩევნები მოუგო შევარდნაძეს და პრეზიდენტი მაინც შევარდნაძე გახდა, გაჩეჩილაძემ არჩევნები მოუგო სააკაშვილს და პრეზიდენტად მაინც სააკაშვილი „დაინიშნა“ ჯორჯ ბუშის (უმცროსის) მიერ.

**რა აზრი აქვს ასეთ არჩევნებს? რა აზრი აქვს ამდენი ფულის, ამდენი ენერგიის ხარჯვას? ხომ არ სჯობს, ვაშინგტონმა პირდაპირ დაგვინიშნოს ვინმე ზედამხედველად და უფროსად?**

დააშავებს რაიმეს მისი ფავორიტი? მოხსნას და სხვა დაგვინიშნოს!

**რას გვაწვალებს, რას გვამასხარავებს და რას გვაბითურებს ეს პატივცემული აშშ-ი?**

**თუ მისი კოლონია ვართ, ისე მოგვექცეს, როგორც კოლონიას, თუ არადა, ჩვენ აქ მიშას ავირჩევთ თუ გრიშას, რა აშშ-ს საქმეა?**

* * *

წარმოშობით კენიელმა ბარაკ ობამამ რა იცის, რომ ქართველებს დამპყრობლებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვთ და აწ უკვე გენეტიკურ თვისებაში გადასული ეს გამოცდილება დღესაც ხელს უწყობთ თბილი და ტკბილი ურთიერთობა დაამყარონ ახალი ჯურის პატრონებთან და მბრძანებლებთან, თუმცა ეს გარეგნულად თბილი და ტკბილი ურთიერთობა სინამდვილეში გულწრფელ სიყვარულს და პატივისცემას სულაც არ ნიშნავს, ხოლო იქ, სადაც არ არის გულწრფელი სიყვარული, ვერ შედგება მტკიცე კავშირი, მტკიცე მეგობრობა და ერთგულებაზე დამყარებული პარტნიორობა.

**იყო დრო, ჩალმასაც იხურავდნენ ქართველი მეფეები, მაგრამ მკერდზე ჯვარი ეკიდათ და ქართულ საქმეებს აკეთებდნენ.**

**დღეს ამერიკულ ჩალმას იზომებენ თავზე ზოგ-ზოგნი, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს.**

ქართულ ხასიათში არის რაღაც ამოუხსნელი კოდი, რაღაც ისეთი მარადიული და უცვლელი ღირებულება, რომელიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საშუალებას არ აძლევს ქართველს ბოლომდე გაიხრწნას და გადაგვარდეს.

**საქართველო არ არის ტერიტორიულად დიდი ქვეყანა, მაგრამ ის თავისი სულიერებით დიადი ქვეყანაა, ამიტომაცაა, რომ ქართველი კაცი, გერმანელის გვერდით დგას, ფრანგისა თუ ამერიკელის, რაღაცით მეტია, რაღაცით მაღალია მათზე.**

ეს სიმაღლე თვალისთვის შეიძლება შეუმჩნეველი და უხილავი იყოს, მაგრამ ის იგრძნობა...

აი, ეს უხილავი სიმაღლე მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ საქართველო ამ განსაცდელსაც გადაიტანს და გადარჩება...

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# gaday l apu l ebi



ისეთი საყვარლები იყვნენ, ისეთი ბუნჩულები და ფუნჩულები, ისეთი ჩასაყლაპები, გული მიგრძნობდა, ამათ ვიღაც გადაყლაპავდა.

— ბიძინა ივანიშვილმა გადაყლაპა ეს ოპოზიციაო, — მწუხარე ხმით გვამცნო გოკა გაბაშვილმა და თვალები ცრემლით დაენამა — მათში რამდენიმე ზომიერად პროდასავლური პარტიაც ერია და რა დასანანია, ისინიც რომ გადაყლაპა ივანიშვილმაო.

ბატონო გოკა, თქვენ მთელი საქართველო გადაყლაპეთ და ივანიშვილს ერთი-ორი დამშეული პარტია გადაეყლაპა სამადლოდ, ამით ვის რა დაუშავდა?

რა მადა გაქვთ ასეთი, ყველა და ყველაფერი თქვენ უნდა გადაყლაპოთ?

ჩახვაძე თავის ედპ-იანად თქვენ გადაყლაპეთ, გიორგი თარგამაძე, მგონი, ისედაც მუცელში გეჯდათ და პარტიასთან ერთად ხელახლა გადაყლაპეთ, „მემარჯვენეები“ გადაყლაპეთ, „პადოშა“ გადაყლაპეთ, დავითაია გადაყლაპეთ და რამდენიმე „რესპუბლიკელს“ მისტირით?

რა ექნა ივანიშვილს? ისინიც რომ დაეტოვებინა, მერე იმათ ენის ტარტარს რა გაუძლებდა?

ახლა, ხომ ხედავთ, რა ტკბილად ღუღუნებენ — ივანიშვილი ისეთი კარგია, ივანიშვილი ისეთი პროდასავლელია, ძალიან გვიკვირს, აქამდე შევარდნაძის ან სააკაშვილის მუცელში რა გვაძლებინებდაო.

გადაყლაპვა არაფერი, მთავარია, რა დაიბადება ცხრა თვის შემდეგ? ცხრა თვე კი „კაკრაზ“ ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნების პერიოდში უწევს. მანამდე კი იყვნენ იქ და იღუღუნონ, თქვენი რა მიდის, ბატონო გოკა?

# breJnevidan obamamde

ვაშინგტონში სააკაშვილის ვიზიტმა ძველი დრო გამახსენა.

საბჭოთა კავშირის დროსაც ქართველები როგორღაც ვახერხებდით და მოძმე რესპუბლიკებს შორის სულ მოწინავეთა რიგებში ვიყავით.

შევარდნაძის დროს, თუ არ მეშლება, მგონი, ხუთჯერ გადმოგვცეს გარდამავალი წითელი დროშა მიღწეული წარმატებებისთვის.

წარმატებები მაშინ, მოგეხსენებათ, დემოკრატიის ხარისხით კი არა შრომაში მოპოვებული შედეგებით იზომებოდა და ჩვენც ვბერავდით და ვბერავდით ციფრებს — ვითომ ამდენი და ამდენი ჩაი მოვკრიფეთ, ვითომ ამდენი და ამდენი ტონა სიმინდის მოსავალი ავიღეთ, ვითომ ამდენი და ამდენი ბოთლი ღვინო ჩამოვასხით.

მიწერები ერქვა ამას და ამ საქმეში განსაკუთრებული გამომგონებლობით ედუარდ შევარდნაძე გამოირჩეოდა.

სხვათაშორის, ვის ჰგავს ეს ჩვენი მიშა-მეთქი, რომ ვფიქრობ, ვის ჰგავს და ყველაზე მეტად შევარდნაძეს ჰგავს!

აბა, იმან იცოდა თუ იცოდა გენსეკებისთვის თავის მოქონვა და მათი ნდობისა და სიყვარულის მოპოვება.

ბრეჟნევი რომ მოხუცდა, რატომღაც ხვევნაკოცნის მანია დასჩემდა და შევარდნაძე ერთხელაც ისე ჩაეხვია და ჩაეხუტა ლეონიდ ილიჩს, რომ ძლივს მოასულიერეს.

შევარდნაძემ ბრეჟნევი საქართველოშიც ჩამოიყვანა და ისეთი გულთბილი მასპინძლობა გაუწია, გულაჩვილებული ლეონიდ ილიჩი სულ ცრემლებად იღვრებოდა თურმე.

ეჰ, რა დრო იყო, რა დრო იყო?!





მივაყრიდით ჭაჭას შაქარს, მივუშვებდით წყალს, წამოჩქაფუნდებოდა ღვინის მდინარე და რესპუბლიკას სოციალისტური შრომის გმირის წოდება გარანტირებული ჰქონდა.

ახლაც დაახლოებით ისეა, როგორც მაშინ, ოღონდ შაქარს ჭაჭას კი არა სარეიტინგო მაჩვენებლებს ვაყრით, მერე „რუსთავი“-2-ისა და „იმედის“ საინფორმაციო არხში მივუშვებთ და სოციალისტურის ნაცვლად დემოკრატიული შრომის გმირის წოდებაც გამოწერილია.



როგორც ჩანს, მიწერები ისეთი საქმეა, ამას ჩვენი ბუნებიდან და ხასიათიდან ვერ ამოვშლით.

მარტო ახლა, სააკაშვილის დროს, კი არ გავხდით, პირველები, მაშინაც, საბჭოთა ეპოქაშიც ყველაფერში პირველები ვიყავით — მამაძაღლობაში, თვალთმაქცობაში, ფულის კეთებაში, კარიერისტობაში და, რა თქმა უნდა, ტყუილებში.

მაშინ საბჭოთა კავშირს ვატყუებდით მხოლოდ, ახლა მთელ მსოფლიოს ვატყუებთ.

პირველობის სურვილი ჯიშში მოგვდგამს და რა ვქნათ, ტყუილის გარეშე პირველობის მიღწევა ძნელია!

სხვათაშორის, ლენინის ძეგლი პირველად საქართველოში დაიდგა, ისე როგორც ცოცხალი ბუშის ქუჩა პირველად საქართველოში გაჩნდა.

გრძელი და მტანჯველი გზა გამოიარა საქართველომ ბრეჟნევიდან, ჩერნენკოდან და ანდროპოვიდან ბუშამდე, კლინტონამდე, მეორე ბუშამდე და ობამამდე.

სანამდე ვიაროთ ამ გზაზე წინ და უკან და რა აზრი და დანიშნულება აქვს ამ გზას, თუ ის ჩაკეტილ წრეზე ტრიალებს და არსად არ მიდის?

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# biZina ivaniSvili aris is adamiani, romelic Tavad aris mesiji

*გვესაუბრება ფილოსოფოსი*
***ზაზა შათირიშვილი:***

**— ზაზა, სააკაშვილი-ობამას შეხვედრას დიდი მოლოდინით ადევნებდა ოპოზიცია თვალს. იმასაც ამბობდნენ, ობამა ჩვენს მაღალს თითს დაუქნევო, თუმცა ამის ნაცვლად პრეზიდენტმა მადლობები მიიღო. როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, რას უნდა ველოდოთ სააკაშვილისგან?**

— უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ამერიკის სტრატეგიული პარტნიორია. ეს ნიშნავს, რომ ამ ტიპის ურთიერთობაში შემოდის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი — რა ტიპის სახელმწიფოა აშშ? — ეს არის სახელმწიფო, რომელიც ისტორიულ ნაციას არ წარმოადგენს, არამედ გეოგრაფიულ-პოლიტიკური მნიშვნელობისაა. ამ შემთხვევაში ნაციას მთლიანად კონსტიტუცია განსაზღვრავს. ამერიკული ლოიალობა ნიშნავს, ლოიალობას კონსტიტუციის მიმართ. ევროპული დემოკრატიები ცოტა სხვა ტიპისაა. ამიტომ ამ თვალსაზრისით აშშ-ში უნიკალური დემოკრატიაა. გარდა ამისა, რატომ არის ამერიკა გლობალიზმის მთავარი გამტარი? — იმიტომ, რომ მას არ აქვს ისტორიული, ნაციონალური ინტერესები. ამიტომ, ამ კუთხით სერიოზული გაუგებრობა წარმოიშვება ამერიკასა და რუსეთს შორის. რუსეთი არის ქვეყანა, სადაც მოდერნიზაცია პირველად მოხდა, ანუ ეს გარკვეული ტიპის ტრავმაა. რუსეთი ტრავმული ქვეყანაა, რომელიც სწორედ ამ ტრავმის შედეგად დაიბადა. პეტრე I-მა ამ ტრავმის შედეგად დაბადა რუსეთი და 100 წლის შემდეგ დაიბადა პუშკინი. ანუ რუსეთი დღემდე ამ ტრავმაზე ტრიალებს. აშშ კი სულ სხვაგვარადაა შექმნილი. როგორც მერაბ მამარდაშვილი ამბობდა — ამერიკელებმა ძალიან დიდი უსამართლობა ჩაიდინეს ინდიელების წინაშე, მაგრამ დაიბადა აშშ ცარიელ ადგილას. სამხრეთ ამერიკაში სხვაგვარად მოხდა — ევროპელები და ადგილობრივი კულტურა ერთმანეთს შეერწყა და კენტავრი გაჩნდა, საიდანაც დაიბადა მარკესი, ლესამა ლიმა. ამიტომ რუსეთს აქვს თავისი ტერიტორიული ინტერესები, ამერიკას, პრიციპში, ეს არ აქვს იმიტომ, რომ იგი არ არის ისტორიული ნაცია. საქართველო კი არის ძალიან დიდი იშვიათობის კულტურა, რომელმაც ამდენი არჩევანი გააკეთა და ამდენჯერ შეიცვალა თავისი ბედი. ბიზანტიური გზიდან გადავიდა სპარსულში, მერე რუსულში, მერე ევრაზიულში და ბოლოს გადადის ამერიკულში. ეს არჩევანი სააკაშვილს არ გაუკეთებია. ეს დაიწყო 1988-89 წლებში. აქედან გამომდინარე, როცა ბარაკ ობამა 20 წლის თავზე საუბრობს, მან ეს შეიძლება არ იცის, მაგრამ იგი სავსებით გულწრფელია. სააკაშვილი კი სრულიად პარადოქსულად გამსახურდია-შევარდნაძის გამგრძელებელია. ანუ ჩვენ ერთი სივრციდან მეორეში გადავდივართ. ერთი მხრივ, ევროამერიკულში გვინდა გადასვლა, მაგრამ არსებობს ევრაზიული რეფლექსები. იქნებ სააკაშვილი დარჩეს 100 წელი, როგორც თურქმენ-ბაში. არავის ვამცირებ, მაგრამ ეს არის აბსოლუტურად ნარჩენი მოვლენები და ყველაზე მეტად, ეს, დღეს ისტებლიშმენტში აისახება. დღევანდელი ხელისუფლება არის ბევრად უფრო ევრაზიული, ვიდრე მისი ოპოზიცია. სწორედ აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილის და ოპოზიციის გამარჯვება ეს ამერიკული პროექტის ყველაზე უფრო ზუსტი გამოხატულება იქნება. „ვარდების რევოლუციის" რეალური გამარჯვება სწორედ ბიძინა ივანიშვილის გამარჯვება იქნება. ეს იქნება პოსტ.საბჭოთა სივრცეში ერთადერთი პრეცენდენტი, როდესაც ხელისუფლება რეალურად გადასცემს ძალაუფლებას ოპოზიციას. ეს ყველაზე უფრო დიდი რეფორმა და სააკაშვილის გამართლება იქნება.



აქ უნდა გაკეთდეს რეალური არჩევანი ჯორჯ ვაშინგტონსა და თურქმენ-ბაშს შორის. ეს რეალური არჩევანი გაკეთდება. სხვათაშორის, ეს არის ამერიკის სურვილი. იგი არ ჩაერევა ამაში პირდაპირი გაგებით, რაც ამერიკული სტრატეგიის მთავარი მომენტია, მაგრამ ამას გადაწყვეტს შემდეგი ფაქტორი — ამერიკა იქნება არბიტრი, რომელიც მოთამაშეებს საშუალებას მისცემს სწორი, სუფთა თამაში ითამაშონ. სწორედ ეს იქნება საპარლამენტო არჩევნების მთავარი მომენტი — გასუფთავდეს მოედანი.

**— თუ ნაციონალურმა მოძრაობამ უმრავლესობით მოსვლა შეძლო, მაშინ სააკაშვილიც მოახერხებს პრეზიდენტობას. 2012 წლის არჩევნები ხომ 2013 წლის ბედს მთლიანად განსაზღვრავს?**

— კი, რა თქმა უნდა. გამომდინარე იმ ლოგიკიდან, რაც 8 წლის განმავლობაში ქვეყანაში ხდება, ნაც.მოძრაობას, რეალურად საკმაოდ დაბალი რეიტინგი აქვს. ისინი ფიქრობენ — სჯობს ისევ ჩვენ დავრჩეთ, გავაკეთებთ ყველაფერსო. ესაა მთავარი შეცდომა. საქართველო მხოლოდ მაშინ იქნება წარმატებული პროექტი, თუ მოვა ძალა, რომელიც თუნდაც შეანელებს რეფორმებს. მთავარი ეკონომიკა არ არის, ეს მეორადი მომენტია. დღევანდელი ხელისუფლების ლოგიკა აბსოლუტურად მარქსისტულია. მათ ჰგონიათ, რომ მთავარი ეკონომიკაა. ეკონომიკა მეორადია, მთავარია დემოკრატია, დემოკრატიული ინსტიტუციები, რაც ძალაუფლების გადაცემას ნიშნავს, თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით, უფრო არაპროგრესული ძალისთვის. იმიტომ, რომ თუ ჩვენ ეკონომიკიდან გამოვდივართ, მაშინ გამოდის მარქსისტები ვყოფილვართ. და მაშინ გამოდის, რომ მთელი ეს ნეოლიბერალური ლოგიკა, აბსოლუტურად მარქსისტულია, რომელიც ამბობს — ეკონომიკა არის ბაზისი, დანარჩენი ზედნაშენი. ასე არაა, მთავარი დემოკრატიაა და მისი ნაწილია ეკონომიკა.

**— თუმცა, დემოკრატიას ჩვენთან ხელს უშლის არა მარტო ხელისუფლება, არამედის ოპოზიციაც, რომელსაც ვერ გაუცნობიერებია, რომ ხალხის გარეშე დემოკრატიის შენება წარმოუდგენელია.**

— დიახ, დემოკრატიაა როდესაც ლეგიტიმურობის ერთადერთი წყარო ხალხია. დემოკრატიასა და მონარქიას შორის ერთადერთი განსხვავებაა — მონარქიის შემთხვევაში ლეგიტიმურობის წყარო ღმერთია, დემოკრატიის შემთხვევაში — ხალხი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამერიკელებს ღმერთის არ სწამთ. რადგან როლანდ რეიგანმა 1988 წელს საბჭოთა ხალხს მიმართა — ჩვენ ამერიკელებს გვწამს ღმერთი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ღმერთი ლეგიტიმურობის წყაროაო. ღმერთი არის ის, ვინც განაპირობებს შესაძლებლობებს, ხოლო ლეგიტიმურობის წყაროა ხალხი იმიტომ, რომ იგი ღმერთის შექმნილია. ამიტომ, თუ ჩვენ მართლაც გვინდა ამერიკის სტრატეგიული პარტნიორები ვიყოთ და ევროამერიკული სივრცის ნაწილი გავხდეთ, უნდა ჩავატაროთ რეალური არჩევნები.

**— მაგრამ ამ ფონზე, როცა დემოკრატიის ერთადერთი წყარო ხალხია, რას ნიშნავს, როცა ოპოზიცია მათ ეუბნება — არ გამოხვიდეთ გარეთ, არ დაიცვათ თქვენი უფლებები, იჯექით სახლში და ჩვენ თავად აგიშენებთ დემოკრატიასო.**

— მთელი პრობლემა ისაა, რომ დღეს მმართველი პარტია, ხელისუფლება თვლის, რომ ფუნდამენტური მომენტი ეკონომიკური ზრდის მომენტია. სინამდვილეში კი მთავარია თუ ვინ არის ლეგიტიმურობის წყარო — ეს არის ხალხი თუ არა. ეს პრობლემა დგას დღეს საქართველოს წინაშე. ეს არის პოსტ.საბჭოთა სიტუაცია, როცა ელიტები თვლიან, რომ ყველაფერი მათ უნდა გადაწყვიტონ. შეიძლება წარმოიშვას სერიოზული პრობლემა — ელიტებმა დააგროვეს ქონება, რომლის ლეგიტიმაცია უნდა მოხდეს. რეალურად, ვიღებთ ფეოდალიზმს ღმერთის გარეშე.

**— დავუბრუნდეთ სააკაშვილის შესაძლო გაპრემიერების საკითხს. როგორ, ფიქრობთ, რა შეიძლება მოიმოქმედოს მან მიზნის მისაღწევად?**

— როცა ვსვამთ კითხვას — რა შეიძლება გააკეთოს სააკაშვილმა? პასუხი ასეთია, — მან შეიძლება გააგრძელოს ყოფნა ხელისუფლებაში, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ამერიკული პროექტისთვის, ეს სრული კატასტროფაა. იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, მოდის პუტინი და ამ დროს ნარჩუნდება სააკაშვილი. ანუ, გამოდის, რომ საქართველო რუსეთის სარკისებური ვერსიაა. ანუ, გამოდის, რომ საქართველო არის წარმატებული რუსეთი და რუსეთი არის წარმატებული საქართველო. გამოდის, რომ ყველაფერი მშპ-ზე, ეკონომიკურ მაჩვენებელზე დადის. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ მაშინ სინგაპური ყოფილა იდეალი. რატომ? — იმიტომ, რომ იგი არანაირი დემოკრატიის ქვეყანა არ არის. თუ ეკონომიკაა გადამწყვეტი, მაშინ ჩვენ იმავე სოციალიზმში ვტრიალებთ. სწორედ სოციალიზმისთვის იყო ეკონომიკა გადამწყვეტი, არც ევროპისთვის და არც ამერიკისთვის ეკონომიკა მთავარი არ არის. ეკონომიკა გამომდინარეობს ბევრად უფრო სერიოზული ღირებულებებიდან, როგორიცაა ადამიანის უფლებები, დემოკრატია. ეკონომიკური თავისუფლება გაგრძელებაა ადამიანის ფუნდამენტური თავისუფლების. როცა ვამბობთ, რომ მთავარი ეკონომიკური ზრდის ხარისხია, მაშინ რით განვსხვავდებით ხუთწლედის გეგმებისაგან? მეორე მხრივ, არის გარკვეული კოლიზია ეკონომიკურ ზრდასა და დემოკრატიულ ღირებულებებს შორის. მაშინ გამოდის, რომ ჩვენთვის თავისუფლება მხოლოდ ეკონომიკურ განზომილებაზე დადის. ამით პიროვნებას მეორე ადგილზე ვაყენებთ სისტემასთან მიმართებაში. ფაქტობრივად, ჩვენი ხელით ვანგრევთ იმას, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ევროამერიკული კულტურისთვის. ეს კატასტროფაა. ეს გარკვეული ტიპის კოლიზია, რომელიც დასავლეთში არსებობს, საქართველოში ამან სუფთა საბჭოთა განზომილებას მიაღწია. ყველაფერი გახდა რიცხვები, ციფრები, სისტემა, და არა ადამიანი მაშინ რისთვის გამოვედით საბჭოთა კავშირიდან, რატომ დავუპირისპირდით, რისთვის დაიღვარა ამდენი სისხლი, მაგრამ მეორე მხრივ, რაც მნიშვნელოვანია, აშშ და ევროპა ყოველთვის ლაპარაკობს და ილაპარაკებს არჩევნებზე, ადამიანის უფლებებზე. ეს არის ევროპის და ჩვენი ბედისწერა. ჩვენ არ ვართ ტაილანდი, სინგაპური. ეს საქართველოს ბედისწერაა.

სააკაშვილმა გარკვეული ტიპის ლიდერის ფუნქცია აირჩია, რასაც სერიოზული მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად, უკვე გაწერილია, რას ნიშნავს ამერიკის სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც დემოკრატიის შუქურაა. დემოკრატიის შუქურაში, სადაც ხელისუფლება 100 წლით ნარჩუნდება, მაშინ არანაირი განსხვავება აღარ არის რუსეთსა და ამერიკას შორის. მაშინ გამოდის, რომ აშშ-ს რუსეთთან სასაუბრო აღარ აქვს, რადგან მივიღებთ პატარა საქართველოს, როგორც დიდი რუსეთის ანარეკლს და პირიქით. ამიტომ, ვამბობ, საქართველო განწირულია დემოკრატიისთვის გამომდინარე „ვარდების რევოლუციის" რიტორიკიდან, მაგრამ აქვე, მნიშვნელოვანია, მეორე მომენტი, ჩვენ გვაქვს წარმატებული ბიზნესმენის ხატი, რომელსაც რვა წლის განმავლობაში გვიმკვიდრებდნენ. მოვიდა ეს წარმატებული ბიზნესმენი. რა უნდა გააკეთოს სააკაშვილმა? — ნებისმიერი დაპირისპირება მასთან, აბსოლუტურად სოციალისტური დაპირისპირებაა. მაშინ ფული უნდა გააუქმო და უნდა გახდე ჩრდილოეთ-კორეა ან საბჭოთა კავშირი. ნებისმიერი მსგავსი გაბრძოლება ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, სრული საბჭოთა კავშირის რეფლექსია. ეს აბსოლუტურად ტრაგიკულ სიტუაციაში აგდებს ხელისუფლებას. ეს გამოხატულებაა სწორედ იმ ტრანზიციულობის, გარდამავლობის, როდესაც ევრაზიულობიდან ევროატლანტიკურ სივრცეში გადადი-



ხარ. თუ ეს ასეა, მაშინ ეს არის ბუნებრივი რეფლექსი ჩვენში აზიური მენტალობის, როცა გვგონია, რომ ერთ ადამიანზეა ყველაფერი დამოკიდებული. გვგონია, რომ პუტინს შეიძლება მხოლოდ სააკაშვილი დაუპირისპირდეს. პუტინს შეიძლება მხოლოდ ერთადერთი რამ დაუპირისპირდეს — ძალაუფლების ღირსეული ტრანზიცია ოპოზიციაზე. ეს იქნება სწორედ ის რეალური სილა, სილის გაწვნა, რაც მოგვცემს ძალას ჩვენც და ევროატლანტიკურ სივრცესაც რუსეთთან საუბრის. აქვე ერთი საინტერესო მომენტი — თუ ავღანეთის ომს შევხედავთ, ტერორიზმთან, ავღანეთთან დაპირსიპირებაში, რუსეთი დასავლეთის ნაწილია. ეს ბუნებრივია, ასეთია რუსეთის ბედისწერა. ავღანეთთან მიმართებაში საქართველო, რუსეთი, აშშ ერთ მხარეზე ვართ. სინამდვილეში ამერიკისა და რუსეთის დაპირისპირება შიდა დასავლური დაპირისპირებაა. დღეს რუსეთი ავტორიტარული ქვეყანაა, ოღონდ არა სოციალისტური. ჩვენც რუსეთის მსგავსად ნახევრად დემოკრატიული ქვეყანა ვართ. ერთმანეთს ვგავართ, ეს ბედისწერაა. საქართველოს თუ უნდა გახდეს სინგაპური, მაშინ უნდა მიაშუროს რუსეთს, აკრძალოს დემოკრატია. ეს არის ტრაგედია ე.წ. თანამედროვე ქართველი ნეოლიბერალების — მათ არ ესმით თავისუფლების ჭეშმარიტი შინაარსი.

ბიძინა ივანიშვილი არის შანსი, რომლითაც გარე და შიდა იმიჯი ერთმანეთს დაუკავშირდება. იმიტომ, რომ იგი წარმატებული ბიზნესმენია, იგი არის ბიზნესმენი კლასიკური, ევროპული გაგებით პროტესტანტული ეთიკის ბიზნესმენი, საიდანაც კაპიტალიზმი დაიწყო. ეს სერიოზული მომენტია. ამ აზრით, ჩვენ რეალური შანსი გვიჩნდება ბიზნესი და ეთიკა ერთმანეთს დავუახლოვოთ.

დღევანდელი ხელისუფლების პრობლემა ისაა, რომ იგი 2005, 2008 წლების მუდმივ ინერციაში გადაყვანას ცდილობს რაც შეუძლებელია, ყველაფერი იცვლება. ვინც იწყებს ომს, მას არ შეუძლია მშვიდობაზე ლაპარაკი. ამიტომ ლოგიკურად მოხდება ხელისუფლების ცვლა. არის დრო ქვათა შეკრების, არის დრო ქვათა გაყრის. დედამიწაზე აბსოლუტური არაფერი არ არსებობს.

**— მაგრამ როგორ მოხდება ხელისუფლების ცვლა, როცა მუდმივად გვაიძახით არ აჰყვეთ პროვოკაციასო. იგივე მოქალაქეობის დაბრუნება ხალხს შეუძლია პროტესტით, მაგრამ გვეუბნებიან — ეს სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა მოხდეს, არ აჰყვეთ პროვოკაციასო. ერთმა რესპონდენტმა მითხრა — აბა, დაჩინჩლულებმა ვიაროთო. თქვენ, რა გზას ხედავთ?**

— არსებობს ასეთი გამოსავალი — შეიძლება არჩევნები იყოს თვითონ რევოლუციური, არჩევნების ჩატარება შეიძლება იყოს რევოლუცია, როდესაც იწმინდება ველი რეალური არჩევნებისთვის, ასეთი არჩევნები რევოლუციურია. დღეს მოვიდა დრო, როდესაც ვიცით, რომ ხალხს არჩევნები აწყობს. რეალურად, დღეს ღირსების საკითხია მოთმინება. იმიტომ, რომ პიროვნებას ისტორიაში ძალიან სერიოზული როლი აქვს. დღეს, ბიძინა ივანიშვილი სერიოზულ როლს ასრულებს, როგორც პიროვნება, ადამიანი, რომელმაც თავისი ცხოვრებით აჩვენა რას ნიშნავს ტრანზიცია. იგი რეალურად მდიდარი ადამიანია, რომელმაც არათანაბარ, არასწორ პირობებში შეძლო სწორი ფული ეშოვნა. აქედან გამომდინარე, დღეს სერიოზულ სიტუაციაში ვართ, როდესაც ბრძოლა წესებისათვის გვიხდება. არა წესების გადალახვისთვის, არამედ სწორედ წესებისთვის. ეს არის არჩევნები, რითაც ხალხი თავისი ძალაუფლების ლეგიტიმირებას ახდენს.



**— რადგან არჩევნებს შევეხეთ მესამე ძალის გაჩენის შესაძლებლობაზე მინდა ვკითხოთ. ბევრი საუბრები მესმის, მესამე ძალად ზოგი შესაძლო ახალ ოპოზიციურ გაერთიანებას, ზოგი ხალხს მიიჩნევს. თავის დროზე ბატონმა ბიძინამ თქვა შუა უნდა გაიკრიფოსო. სად არის ეს შუა და რა პერსპექტივებია მესამე ძალის გაჩენის?**

— საკმაოდ საინტერესო და რთული შეკითხვაა. მე არ ვიცი, ვინ შეიძლება შეასრულოს მესამე ძალის როლი. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, მესამე ძალა მაინც იქნება მიბმული გარკვეულ მესიჯზე რეალური მატარებლის გარეშე. არსებობს სიტუაცია, როდესაც ადამიანი თვითონაა მესიჯი. ბიძინა ივანიშვილი თვითონაა მესიჯი. ვიღაცას შეიძლება ჰქონდეს სწორი ფრაზეოლოგია, მაგრამ არ ჰქონდეს ნდობა, რაც ფიგურას სჭირდება. ჩვენ ვართ იმ კულტურაში, როდესაც ჭეშმარიტება არის არა რა, არამედ ვინ. იგი ყოველთვის მიბმულია მის მატარებელთან. რაც არ უნდა სწორი იყოს ფრაზა, თუ იგი პიროვნებასთან არ არის მიბმული, ასეთი ტიპის სწორი მესიჯი ცარიელი ფრაზა იქნება. ამიტომ მესამე ცენტრი ვერ შედგება. ბიძინა ივანიშვილი არის სწორედ ის ადამიანი, რომელიც თავად არის მესიჯი.

**თამარ შველიძე**

◆

# mixeil saakaSvili premier-ministrobisTvis ki ara parlamentis Tavmjdomareobis Tvis emzadeba




ტყუილი ყოფილა გამოთქმა — ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო.

ტყუილს რომ მოკლე ფეხები ჰქონოდა, ტყუილების დიდოსტატი მიშა ასეთი გრანდიოზული და ტრიუმფალური ნაბიჯებით როგორ შემოივლიდა მთელს პლანეტას?

ტყუილს მოკლე კი არა ისეთი გრძელი, გრძელი ფეხები ჰქონია, თბილისიდან ვაშინგტონს შეგიძლია უწვდინო და მთელი დედამიწა, თავისი დემოკრატიული მთავრობებით, ლაჯებში ამოისვა ან უფრო უკეთესი, თავზე დააქქო და ვითომც არაფერი.

ასეა თუ ისეა, ბარაკ ობამამ, მიხეილ დემოკრატიის შუქურას — დემოკრატიის მშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და იქვე იმედი გამოთქვა, შენი დემოკრატიული საქმიანობით ხომ გვახარებდი და ახლა იქნებ შენი წასვლითაც გაგვახარო და კაცობრიობის ისტორიაში უკვდავი დემოკრატის შარავანდით შემოსილი შეხვიდეო.

**ეხ, სერ ობამა, თქვენ მართლა სერიოზულად ფიქრობთ, რომ სააკაშვილს დემოკრატის წოდება ისე ხიბლავს, ისე იზიდავს, რომ თქვენს მიერ დაყრილ საკენკს აკენკავს, ძალაუფლებას უმტკივნეულოდ დათმობს და პოლიტიკურ პენსიაზე გავა ნაადრევად, ოღონდ დემოკრატის სახელი დაიმკვიდროს?**

დემოკრატებად იბადებიან, ისე როგორც იბადებიან პოეტებად, მხატვრებად, მუსიკოსებად, დიქტატორებად, მანიაკებად, სადისტებად.



ბატონი სააკაშვილი იძულებულია დემოკრატის როლი ითამაშოს, თორემ ის სულ სხვა ვარსკვლავზეა დაბადებული და დემოკრატია მთელი არსებით სძულს, ამიტომ მისთვის სულერთია დემოკრატის სახელით დარჩება ისტორიაში თუ დიქტატორის და ფაშისტის სახელით!

დემოკრატია კი არა სააკაშვილს საკუთარი ბედი გასჭირვებია და მისი მთავარი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანაა როგორმე, რაღაც ფორმით შეინარჩუნოს ძალაუფლება და ამით გადაირჩინოს თავი იმ პასუხისმგებლობისგან, რომელიც მას ადრე თუ გვიან აუცილებლად მოუწევს.

* * *

**მიხეილ სააკაშვილი კიდევ ერთხელ ფიქრობს მრავალგზის მოტყუებული მსოფლიოს მოტყუებას და ამა თუ იმ ფორმით ძალაუფლების შენარჩუნებას.**

დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ სააკაშვილი აპირებს გაიმეოროს პუტინის გზა — გახდეს პრემიერ-მინისტრი, შემდეგ კი ისევ პრეზიდენტად მოგვევლინოს.

თუმცა სააკაშვილმა მტკიცედ განაცხადა, რომ ის არ იქნება ქართველი პუტინი, რადგან საქართველო რუსეთი არ არის.

ვფიქრობთ, სააკაშვილის ეს განცხადება გულწრფელია — ის არ აპირებს პუტინის ხრიკები პირდაპირ გადმოიღოს და პრემიერ-მინისტრის სავარძელში ჩაჯდეს, რომ მერე იქიდან პრეზიდენტის საკარცხულში გადაბრძანდეს.

**სააკაშვილი სინამდვილეში პრემიერ-მინისტრობისთვის კი არა პარლამენტის თავმჯდომარეობისთვის ემზადება. თუმცა ამ განზრახვას ის და მისი თანამზრახველები გულდაგულ მალავენ და აქცენტებს შეგნებულად აკეთებენ სააკაშვილის გაპრემიერებაზე.**

შეიძლება ითქვას, პრემიერობის თემა შეგნებულად შემოგდებული თემაა, რომ ამით მოხდეს ყურადღების გადატანა სხვა მიმართულებით და ბოლო მომენტამდე მიიჩქმალოს ის პროექტი, რომლითაც სააკაშვილი ხელისუფლებაში დარჩენას აპირებს.

ვინც დემეტრაშვილის თავკაცობით შეცვლილ-შეკრეჭილ საქართველოს კონსტიტუციის ბოლო რედაქციას ყურადღებით გადაფურცლავს, ადვილად მიხვდება, რომ ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, პარლამენტის უფლებამოსილების გაძლიერებას და განვრცობას ემსახურება.

ეს იმდენად თვალშისაცემია, რომ საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის დროს არაერთხელ გამოითქვა შიში, რომ არსებულ სიტუაციაში საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად ქცევა შეიძლება საზიანო და სახიფათო იყოსო.

მართალია, პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტიც კონსტიტუციის ახალი რედაქციით საკმაოდ გაძლიერებულია, მაგრამ არა იმდენად, რომ პარლამენტის გაზრდილი უფლებამოსილებები დაჩრდილოს.

**შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონსტიტუციურ ცვლილებათა „შემკვეთი“ ანუ მიხეილ სააკაშვილი ერთდროულად ორ პოსტს უკვეთავდა კომისიას საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ მოსარგებად — ერთს, პარლამენტის თავმჯდომარისას, მეორეს, პრემიერ-მინისტრისას.**

როგორც იკვეა სააკაშვილის გაპრემიერებას „ცენტრი“ არ დაუშვებს, ამიტომ სააკაშვილი იძულებულია მეორე, სათადარიგო პოსტი — პარლამენტის თავმჯდომარეობა მოირგოს.

თუმცა თუ კარგად დავუკვირდებით მოვლენათა განვითარებას, არ არის გამორიცხული, რომ პარლამენტის თავმჯდომარეობა სათადარიგო კი არა ძირითადი და უმთავრესი მიზანი იყო თავიდანვე, ხოლო გაპრემიერებაზე საუბარი შირმა და ნიღაბი ამ მთავარი მიზნის დასაფარად.

არა გვგონია, შემთხვევითი იყოს პარლამენტის ქუთაისში გადატანის გადაწყვეტილება, რომელიც შესანიშნავად ჯდება იმ ჩანაფიქრის ზოგად მოხაზულობაში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

**თუ აქ გამოთქმული ვარაუდი სწორია, მაშინ რჩება ერთი სავალდებულო რიტუალი, რომელიც სააკაშვილმა უნდა შეასრულოს — გადადგეს პრეზიდენტობიდან, ჩაუდგეს ნაცმოძრაობის სიას სათავეში, გაიმარჯვოს საპარლამენტო არჩევნებში და უმტკივნეულოდ გახდეს პარლამენტის თავმჯდომარე, რასაც ვერავინ წამოაყვედრებს — ვერც აშშ, ვერც ევროკავშირი, ვერც გაერო და ვერც ეუთო.**

ჰალალი და უსაყვედუროო, სწორედ ამგვარ ამბებზეა ნათქვამი.

პარლამენტის თავმჯდომარე მიხეილი სააკაშვილი, დემეტრაშვილის კომისიის მიერ უხვად ბოძებული ახალი უფლებებით, იქნება არა მეორე ან მესამე, არამედ ქვეყნის ნომერ პირველი პოლიტიკური ფიგურა, რომელსაც დაემორჩილება მის მიერვე შერჩეული და მისი ხელშეწყობით გაპრემიერებული და გაპრეზიდენტებული „ჩუჩელები“.

**საქართველო არ არის რუსეთი და, აქედან გამომდინარე, სააკაშვილი, პირობისამებრ, არ გახდება პუტინი, მაგრამ ის გახდება პუტინზე გაცილებით მახვილგონიერი და მოქნილი ჟონგლიორი პოლიტიკურ სცენაზე. ეს ჟონგლიორი ახალ-ახალი ეფექტური ილეთებით კიდევ ერთხელ გააოცებს დოყლაპია მსოფლიოს და სხვადასხვა მოტივებით თავმოსულელებულ მსოფლიო დემოკრატიის მამებს, რომლებიც დიდი ხანია დემოკრატიის სახელით ურცხვად აუპატიურებენ სხვადასხვა სახელმწიფოებს, მათ შორის საქართველოსაც.**

აი, ასე და ამგვარად მოხდება ეს ყველაფერი და სააკაშვილი პარლამენტის თავმჯდომარის რანგში, მალე მოევლინება ბედკრულ ქართველ ხალხს. არ გჯერათ? შეინახეთ, „საერთო გაზეთის“ ეს ნომერი და სააკაშვილი სპიკერის ჩაქუჩით ხელში რომ გამოგეცხადებათ, კიდევ ერთხელ წაიკითხეთ.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# daRvremili maspinZeli, Wkuamxiaruli stumari da ubedurieri

როგორც ეტყობა, საქართველო, ნაცრის საზოგადოების ქვეყანაა და მის ექსპორტს სააკაშვილი, ისეთ მდიდარ ქვეყანაშიც უპრობლემოდ ეწევა, როგორიც ამერიკაა!

თუმცა მშობელი ქვეყნისთვისაც არ იშურებს ნაცრის თვალებში უხვად შეყრას და ამაში მას „რუსთავი-2"-ი, „იმედი", და სხვა წვრილ-წვრილი მედია საშუალებები კვლავაც „უანგაროდ" ეხმარებიან.

მკითხველი დამეთანხმება, რომ აი, უკვე ერთი კვირაა, ზემოთხსენებულმა „დამოუკიდებელმა" ტელევიზიებმა პირდაპირ ტვინი წაიღეს ჯორჯ ბუში უმცროსის მიერ „დემოკრატიის შუქურად" წოდებული სააკაშვილისა და ამერიკის პრეზიდენტ ბარაქ ობამას „ისტორიულ" შეხვედრაზე ლაპარაკით, რომელიც თეთრი სახლის ოვალურ დარბაზში შედგა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულმა



არხებმა ის „ნიუსი" ვერ დადეს ეს შეხვედრა, სინამდვილეში, რისთვის შედგა და არც ის უხსენებიათ, სააკაშვილამდე ოვალური დარბაზი, ჩვენი მეზობელი ქვეყნების რომელ პრეზიდენტებს მასპინძლობდა?

სავარაუდოდ, „ისტორიული", ნაღვლიანი შეხვედრის ძირითად არსს ჩვენ, ქართველები (როგორც ყოველთვის) „პოსტ ფაქტუმ" შევიტყობთ და ურემიც უკვე გადაბრუნებული იქნება, მაგრამ ასევე ისტორიულად, ალბათ, ისევ აგვებნევა თავგზა და იმ გზას, რომელიც გამოჩნდება, კვლავაც ავცდებით!

15-წუთიანი შეხვედრის ყველაზე თვალშისაცემი ტელეკადრი კი ის იყო, რომ ამოდენა იმპერიის პრეზიდენტი, მისტერ ობამა ძალიან მოწყენილი გახლდათ (სტუმრისგან განსხვავებით) და ფიქრებში წასულს, არ ვიცი, ყასიდად, არ ვიცი, გულწრფელად ერთიორჯერ საქართველოს ნაცვლად – რუსეთი წამოსცდა! მოცემულ კონტექსტში ვფიქრობ, ზუსტი ფორმულირება კი იყო, მაგრამ მრავალი კითხვის ნიშანიც, სწორედ ამ ფრაზის გამო რომ გაჩნდა, ამას რა ვუყოთ, ანუ ბარაქმა მიშა რუსეთთან გააიგივა და შემთხვევითი იყო ეს თუ მიზანმიმართული, თავად განსაჯეთ!

ისე, ამერიკის დღევანდელი პრეზიდენტი, როგორც ეტყობა, წესიერი კაცია და შინაგანი ემოციების გაკონტროლება უჭირს, თორემ როდესაც ასეთი ჭკუამხიარული სტუმარი გყავს, რას იბოღმები დალოცვილო? დაანთე ბუხარი, დაყარე პურ-მურალი, ალხინე მოსულიც და გაიცინე შენც, – ძნელია?

მაგრამ, როგორც ჩანს, მისტერ ობამას ლხინისთვის არც განწყობა აქვს და არც ამერიკაში ეკონომიკური კრიზის ფონზე სურს თავქეიფა ქართველებს თავი მოაწონოს. ჰოდა, დაჯდა ჩამქრალ ბუხართან, ნიკაპქვეშ ხელი შემოიდო, ფიქრებში წასულს დაავიწყდა მედვედევ-პუტინს ელაპარაკებოდა თუ სააკაშვილს და ბოლოს, თხუთმე-

ახლა, რას ნიშნავს დიპლომატიის ენაზე ეს წინადადება, სააკაშვილის მიერ დათხოვნილმა დროებით უმუშევარმა ჩვენმა ყოფილმა ელჩებმა უცბად გაშიფრეს და მოგვახსენეს, რომ ეს ყველაფერი ხალხურ ენაზე ნიშნავს –„გუდ ბაი ვერი ფანი, კლაუნ მიშა" (ნახვამდის, ძალიან სასაცილო კლოუნო მიშა) – შენი დრო დამთავრდა და მომავალ არჩევნებზე (თუ დაგცალდა ჩატარება, ვერ ხედავ ირანთან ომს ვიწყებ და ამიტომ ვარ ასეთი დარდიანი) ნება იბოძე და დემოკრატიის ჩარჩოებში დაეტიეო!!! იქვე მისტერ ობამამ, როგორც ზრდილმა მასპინძელმა, რა თქმა უნდა, მადლობაც გადაუხადა სააკაშვილს (და საქართველოს) გაწეული სამხედრო სამსახურისთვის, ჯერ ერაყში და ახლა ავღანეთში!

ანუ, როგორც „ავი ენები" ამბობენ, ამ შეხვედრის შემდეგ მიშა ამერიკისთვის თითქმის გუშინდელი დღეა, მაგრამ, ვისთვისაც დღევანდელია, იმან რა უნდა ქნას?

ისე, ჩვენი ყოფილი ელჩებისა არ იყოს, მართლაც გამოსამშვიდობებელ გრანდიოზულ ბალ-მასკარადს არ ჰგავდა სააკაშვილის და მისი თანამეინახეების ამჟამინდელი გასეირნება ამერიკაში?

მიუხედავად დასავლური პრესის ტაქტისა, ისინი დელიკატურად მაინც აღნიშნავენ იმას, რომ სააკაშვილის ვიზიტი ამერიკაში ერთობ გაგრძელდა, მაგრამ იმავდროულად წერენ იმასაც, რომ ღარიბი ქვეყნის მდიდარი ხელისუფლება მდიდრულ ბანკეტებსა და „შინარაურულ ნადიმებზე" მხოლოდ 700 დოლარიანი ღვინით უმასპინძლდებიან ამერიკელებს და ისე იქცევიან, თითქოს, რომელიმე ნავთობით მდიდარი ქვეყნის შეიხები, ანდა ალმასის საბადოების მფლობელი ქვეყნის მეპატრონეები იყვნენო! დასავლურ პრესას, არც ის გამორჩენია, რომ „შეიხი მიშას" ქვეყანა ის ქვეყანაა, სადაც 4,5 მილიონი მოსახლეობიდან, მხოლოდ 300-400 ათასი ადამიანია დასაქმებუ-

ტი წუთის შემდეგ ისე უღიმღამოდ გაგვიცინა, არ გაეცინა, ჯობდა!

ოღონდაც ამ თხუთმეტი წუთის განმავლობაში მთავარი სათქმელი, როგორც ექსპერტებმა თქვეს, მაინც თქვა და სააკაშვილს მოუწოდა: „ამერიკის შეერთებულ შტატებს გვჯერა, რომ ხელისუფლების გადაცემას დემოკრატიულად უზრუნველყოფთო!"

ლი, 1 მილიონ 500 ათასი ადამიანი იძულებით ემიგრაციაშია წასული, მილიონამდე ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმაა დარჩენილი, ციხეები პატიმრებითაა გაჭედილი, ადამიანის უფლებები ფეხქვეშაა გათელილი, მედია არ არის ბოლომდე დამოუკიდებელი. დაწერენ იმასაც, რომ საქართველო ამერიკული საერთაშორისო სააგენტო „გალუპის" მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად (კვლევა 58 ქვეყანაში ჩატარდა) – მსოფლიოს უბედურ ერთა ჩამონათვალში „საპატიო" მე-3 ადგილზე აღმოჩნდა, რუმინეთისა და ეგვიპტის შემდეგ!!!

თუკი მიშა მართლაც მაგარია (როგორც მისი ფანები ამბობენ), მაშ რატომ დახვდნენ ასე ცივად მას ოვალურ დარბაზში გაციებული ბუხრის პირას?

ანდა, ისიც ხომ საინტერესო იყო, აეროპორტში ვინ დახვდა მას ამერიკის მხრიდან? ვინ მიაცილა იგი თეთრ სახლამდე და ვინ წარუძღვა, წინ ობამასთან შესახვედრად? რატომ არ აჩვენეს ეს კადრები „რუსთავი-2" და „იმედმა"? – გვიპასუხონ, რა?

გავიგეთ, ბატონო, რომ ეს ვიზიტი სამუშაო ხასიათის იყო, მაგრამ დეტალები, დეტალებიც გვაინტერესებდა და სალომე ზურაბიშვილისა არ იყოს – ნეტავ, სწორედ ამ უმნიშვნელო დეტალებში ხომ არ იმალებოდა ეშმაკი? მკითხველო, ქართულ ტელეარხებს „გამორჩათ" ისიც, რომ მისტერ ობამა, ვიდრე „კლაუნ მიშას" შეხვდებოდა, ცოტა ხნით ადრე იგივე ოვალურ



დარბაზში, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს, სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარქისიანს და იმ ქვეყნების დელეგაციებსაც სტუმრობდა, რომლებიც ირანის რესპუბლიკას გეოგრაფიულად ესაზღვრებიან! რაღა თქმა უნდა, შეხვდა იმ ქვეყნის პრეზიდენტსაც, რომელიც დიდი ალბათობით ირანთან მოსალოდნელ ომში ჩაერთვება და ეს ქვეყანა რუსეთი და მისი პრეზიდენტი მედვედევი იყო!

ამერიკაში ვიზიტისას მასპინძელმა მხარემ სააკაშვილი სწორედ სამხედრო ძლევამოსილებით გააბრუა და მიშას საკუთარი პირით ათქმევინა ისიც, რომ „თუ ჩვენს უსაფრთხოებას დასჭირდება, მეგობარი ამერიკა იარაღითაც მოგვამარაგებსო!" – ეს კი ყველამ ვიცით, რასაც ნიშნავს მარტივ ენაზე, მართალია, გიჟს მეძახიან, მაგრამ „სპიჩკას" ჩემი ძმაკაცები მაინც მჩუქნიან კიდევ ერთი კოცონის ასაგიზგიზებლადო!

რამდენიც არ უნდა იყბედონ მიშას მყვარებელმა ტელევიზიებმა, დაქირავებულმა აგიტატორებმა, დასუქებულმა დეპუტატებმა თუ მრავალმინიონგადახდილმა „პიარ ტექნოლოგებმა", ფაქტი ჯიუტია, სააკაშვილი ობამასთან სწორედ მაშინ ჩაიყვანეს, როცა ახლო აღმოსავლეთში კრიზისი იწყება და ამ დაძაბულობის ფონზე ძალიან სახიფათო ხდება საქართველოსთვის, როგორც თავდაცვითი სისტემების, ისე იარაღის შესაძლო გადაცემის ალბათობა!!! ვიდრე ირან-ისრაელ-ამერიკის დაპირისპირების ჩვენთვის უარყოფით

შედეგებზე დავფიქრდებით, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ „დემოკრატიის შუქურის" 2008 წლის აგვისტოს 1-დღიანი ომის დროს თბილისში განვითარებული პროცესები, ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი „დახმარება", წითელ ხიდზე გაქცეული ხელისუფლება და „დანა-ჩანგლის" ამარა დარჩენილი ხალხი, რომლისკენაც ყალყზე შემდგარი დათვი ყოველგვარი „დემოკრატიის" გარეშე ღრიალით მოემართებოდა!

როგორც მოსალოდნელი იყო, ობამა-სააკაშვილის შეხვედრის ძირითადი თემები არ გახმაურდა, მაგრამ ბრიყვისთვისაც გასაგები იყო, რომ მთავარი თემა ირანი და მოსალოდნელი კონფლიქტია!

ირანის მოსახლეობა კი, არც მეტი და არც – ნაკლები, 80 მილიონი ადამიანია, მათი რელიგიური აღმსარებლობა ისლამია და მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მიწაში მთელი მენდელეევის სისტემაა თავმოყრილი! ანუ, ირანის რესპუბლიკა თავისი მდიდარი წიაღისეული სიმდიდრეებით თვითმყარი სახელმწიფოა და როგორც მავანს ჰგონია, არც სამხედრო თვალსაზრისითაა ხელწამოსაკრავი ქვეყანა!

ძვირფასო მკითხველო! აბა, გაიხსენეთ ირანის სულიერი ლიდერის, აიათოლა ჰამენეის რამდენიმე წლის წინანდელი სიტყვები: „ვიღაც-ვიღაცებს ირანი საქართველო არ გეგონოთო?" ე.ი. რა გამოდის – საქართველო ყველას თავში ჩასარტყმელი ქვეყანაა

და ამიტომაც ნელ-ნელა გვანადგურებენ, როგორც ფიზიკურად, ისე ზნეობრივად?

მართალია, მთელი თეთრი სახლის ადმინისტრაცია გვემადლიერება ერაყის და ავღანეთის „სამშვიდობო" ოპერაციებში თანამონაწილეობისათვის, და ამჯერადაც არც ობამას დავიწყებია ეს, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ისლამით გარემოცულ საქართველოს ამით მხოლოდ საფრთხეები ემატება?

ერაყში ქართველ ჯარისკაცებს იქაური მოსახლეობა – გურჯებს ეძახდა და როგორც არ უნდა გაუკვირდეს ვინმეს, პატივისცემით ეპყრობოდნენ! მაგრამ, რადიკალურად განსხვავებული მიდგომა აქვთ ჩვენი ჯარისკაცებისადმი დღეს ავღანელ თალიბებს და სწორედ ამიტომაა, რომ თვეში ერთხელ ეს ჩვენი საჯიშე ბიჭები (რომლებსაც არაფერი ესაქმებათ იქ) ხან



ერთ სოფელში ჩამოჰყავთ გარდაცვლილი და ხანაც – მეორეში!

აკი, თავად სააკაშვილმაც მოინახულა ამერიკაში ვიზიტისას ერთ-ერთი ასეთი მსხვერპლი, გვარად ტულუში, რომელსაც კიდურის ამპუტაცია გაუკეთეს ამერიკელმა ექიმებმა?

სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ ეძახიან ამერიკას „ზედემოკრატიულ" ქვეყანას მაშინ, როცა იგივე ამერიკის კისერზეა ომები – ვიეტნამში, ერაყში, იაპონიაში, ყოფილ იუგოსლავიაში, ავღანეთში და ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდა?

მსოფლიოს კიდევ ერთხელ აღმოხდა გმინვა მაშინ, როცა „გუანტანამოს" შემზარავი კადრების შემდეგ, ახლა უკვე ავღანეთში გარდაცვლილი ავღანელების გვამებთან, შარვლის უბეგახსნილი „განმათავისუფლებელი ჯარისკაცები" იხილა ფოტოზე. გაირკვა, რომ ამერიკელები გარდაცვლილი პატრიოტების გვამებზე შარდავდნენ და იცით, რა მინდა ვიკითხო? – ასეთი „ღირებულებების" სასწავლებლად მიჰყავთ „სტუმარ-მასპინძლის" ქვეყანაში გაზრდილი ბიჭები მიშას და ვიღაც-ვიღაცებს?

განა, ჩვენ ის ქვეყანა არა ვართ, სადაც „ლომო, შე ლომის მოკლულოს" გვასწავლიდნენ? ვიმეორებ, ეს ჩვენი საჯიშე ბიჭები, ავღანეთში (და სხვაგანაც) მიცვალებულის შეურაცხყოფის სასწავლებლად დაჰყავთ?

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ამგვარი დემოკრატიის არაფერი მესმის და ძალიან გულახდილად რომ გითხრათ, არც იმ დემოკრატიის მჯერა მაინცდამაინც, მიშა რომ აშენებს საქართველოში!

თუკი ობამა, კლინტონი, მაკ კეინი და დანარჩენები ასეთი დემოკრატიისათვის იხდიდნენ მადლობას სააკაშვილთან, 21-ჯერ ქვემეხიც დააქუხეს და „მვ-22" ტიპის ვერტმფრენითაც ამიტომ „აკატავეს" მიშიკო, ბარაქალა მათ! მაგრამ ყველამ ხომ ვიცით, რომ ასე არ არის?

განა არ გახსოვთ ჰილარი კლინტონის გაოგნებული სახე, როდესაც სააკაშვილმა იგი საკუთარ რეზიდენციაში მიაბრძანა? ქალს, რომელსაც მთელი მსოფლიოს პრეზიდენტებთან ჰქონია ვიზიტები, ასეთი რეზიდენცია, სავარაუდოდ, არსად უნახავს, რადგან იცოდა, რომ ღარიბ ქვეყანაში ჩადიოდა და მოხდა კი პირიქით – იხილა მდიდარი პრეზიდენტი, მდიდრული აპარტამენტებით და სწორედ, ალბათ, ამ „უმნიშვნელო" დეტალითაც მისთვის ყველაფერი ცხადი გახდა!

ამერიკული ვოიაჟის დროს (როგორც ქართულმა არხებმა გვაუწყეს) ამხანაგი სააკაშვილი „ანაპოლისის" სამხედრო აკადემიის საპატიო სტუმრიც ყოფილა და პირადად ჩემი, როგორც რიგითი ქართველის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა მაშინ, როცა მიშამ ისეთი მამალი ტყუილი დაახეთქა, ვიფიქრე – 2008 წლის აგვისტოს ომში, ეს ფაქტები როგორ გამომრჩა და როგორ ვერ შევამჩნიე ამერიკული ავიამზიდებისა და ვერტმფრენების შემოსვლა ჩემს ქვეყანაში-თქო?

მოკლედ, საზღვაო ქვეითთა აკადემიაში მიშამ ამერიკელ მომავალ ოფიცრებს ასეთი რამ უთხრა: „ამერიკას და საქართველოს მეგობრობა მაშინ უფრო გაღრმავდა, როცა ჩემს სამშობლოში 2008 წელს დიდი, მრისხანე მტერი შემოიჯარა! ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და რა თქმა უნდა, ძლიერ მტერს სათანადო პასუხს ვერ გავცემდით, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავარსარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება შავ

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ზღვაში 6 სამხედრო ხომალდი, ჰუმანიტარული დახმარება, ამერიკული ქვეითები და ვერტმფრენებით დაგვხმარებოდა და ასეც მოხდა! როცა ამერიკელები ზღვაშიც გამოჩნდნენ და ჰაერშიც, აი, მაშინ შეჩერდა მტერი, აი, მაშინ დამთავრდა ომი!!!

ვააა, ეს როდის მოხდა, გამაგებინოს ვინმემ და მზად ვარ, ყველა ის სიტყვა, ყველა ის შეფასება და ყველა ის სტატია უკან წავიღო, რაც კი ოდესმე მიხეილ სააკაშვილისა და მისი „არწივებისათვის" მიმიძღვნია ოდესმე!

კარგი, ვთქვათ, ჩვენ ვერ დავინახეთ ეს ყველაფერი, – მაგრამ განა თვითონ ამერიკელებმა არ იციან, რომ ეს ასე არ ყოფილა და აქეთ ეხვეწებოდნენ სააკაშვილს – „რუსეთის პროვოკაციაზე არ წამოეგო, თორემ, ჩვენ ვერაფრით დაგეხმარებითო? ანდა, თვითონ კონდოლიზა რაისი არ იყო ზუსტად ომის წინ და მკაცრად არ გააფრთხილა მიშა თბილისში – ომს შენ ნუ დაიწყებო?

ხვალ, ზეგ და მაზეგ ირანთან ომი დაიწყება და სააკაშვილი ვიდრე ამერიკიდან გამოემგზავრება, კუდში დაადევნებენ ისრაელის სამხედრო უწყებების განცხადებას, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობისათვის იქნება განკუთვნილი – დავბომბოთ ირანი, თორემ ხვალ შეიძლება გვიანი იყოსო! (ასეც მოხდა და ვიდრე სააკაშვილი ამერიკიდან მიუნხენში ჩაფრინდებოდა, ისრაელმა ეს განცხადება გააკეთა) რა უთხრეს სააკაშვილს ამერიკელებმა „ოვალური კაბინეტის" მიღმა – აი, ეს უნდა გვაინტერესებდეს ჩვენ, ქართველებს (და, ისიც გვაინტერესებს, რა დირექტივები მიიღო მან პირადად ბარაქ ობამასგან, გასული კვირის 10 დღის განმავლობაში? ვის ხვდებოდა კამერების მიღმა და რაზე საუბრობდნენ ამერიკელი სამხედრო მაღალი ჩინები მიწაზე მფორთხავ მთავარსარდალთან და რას სთავაზობდა მათ თვითონ მიხეილ სააკაშვილი?

ობამა დაბოღმილი ჩანდა, სააკაშვილი – მხიარული!

უყვარს ბიჭს ომობანას თამაში და ჰე... შეეკითხეთ თუ არ გჯერათ!!!

ახლა იმაზეც ღირს დაფიქრება, რამდენიმე დღეში საქართველოს საპასუხო ვიზიტით ჰილარი კლინტონი რატომ უნდა ესტუმროს? მართალია, ჩვენი დედობილი კია, მაგრამ დამშეულებს, ძუძუ ხომ არ უნდა მოგვაწოვოს და ამხელა მანძილიც ამიტომ რომ არ უნდა გადმოიფრინოს, ხომ ყველა ვხვდებით? თანაც, ჰილარი-დედის „დისლოკაციის" ადგილად რატომ შეირჩა მაინცდამაინც ბათუმი და არა თბილისი? – ესეც ხომ საკითხავია?

სავარაუდოდ, „არჩევანი" ბათუმზე იმიტომ გაკეთდა, რომ თურქეთის მოსაზღვრე ქალაქია და თურქეთის რესპუბლიკა კი „ნატოს" წევრი ქვეყანაა! როგორც ცნობილია, თურქეთი ისლამური ირანის წინააღმდეგ ომში ჩართვას არ აპირებს, კატეგორიულად გამორიცხავს ამერიკის ბომბდამშენებისათვის სამხედრო აეროდრომებით სარგებლობის შესაძლებლობას, მაგრამ იგივე თურქებს თავისივე კაპიტალით აგებული ბათუმის აეროდრომის შეთავაზება თავისუფლად შეუძლია ამერიკელებისთვის და ამით „ნატოსთანაც" ვალმოხდილი იქნება და ირანთანაც! ანუ კრიტიკულ სიტუაციაში თურქეთი იტყვის, საავიაციო დერეფანი ქართველებმა მისცეს ამერიკელებს და ჩვენ რა შუაში ვართ თუკი საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე თურქეთის შიდა რეისებისათვის განკუთვნილი აეროპორტი, სააკაშვილმა ამერიკელებს დაუთმოო?

არც ის არის გამორიცხული, ჰილარი კლინტონმა სწორედ ბათუმში გამართოს საიდუმლო შეხვედრები თურქეთის ხელისუფლებასა და „ნატოს" დაქვემდებარებაში მყოფ თურქულ გენერალიტეტთან და რა თქმა უნდა, ამ შეხვედრების ამსახველ კადრებს, ქართული მედია ვერასოდეს, ან არასოდეს არ გააშუქებს!

ბრიყვისთვისაც ნათელია ისიც, რომ ქალბატონი ჰილარი ბათუმში „პიაცას" და „ახალი პლაჟის" დასათვალიერებლად არ ჩამოდის! ისიც ნათელია, რომ არც „სამველას" აჭარული ხაჭაპურის მისართმევად დაკარგავს დროს და სავარაუდოდ, არც იმაზე მოკვდება დარდით – მისი ვიზიტის შემდეგ ბათუმს ირანული რაკეტები „საჯილი", მოხვდება თუ რუსული „ისკანდერები"!

ნებისმიერი ქვეყანა თავისი ინტერესებით მოქმედებს – ასე იყო ოდითგან და ასე იქნება შემდგომშიც!

საქართველო კი ამ გეოპოლიტიკურ ომში რა პოზიციას დაიკავებს, სულ მალე გახდება ნათელი, როცა „მოკავშირე, მეგობარი" ამერიკა უშუალოდ მიუთითებს დასაბომბი ობიექტების კოორდინაციებს და თავის ბომბდამშენებს ირანის რესპუბლიკის მიმართულებით დაძრავს!

აკი, იოცნება სააკაშვილმა „ნაპოლისის" საზღვაო-სამხედრო აკადემიაში მსგავსი სცენარი, რომელიც მომავალ ოფიცრებთან საუბარში, როგორც რეალობა, ისე ჩამოარაკრაკა?

შავი დრაკონის წელი ძალიან ცუდად დაიწყო მსოფლიოსთვის!

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

**ირინე გოგოსაშვილი**

# Tbilisis meriis `wyaloba~ anu `gagikeTe sikeTe, sikvdilamde gikeTe~




ამჯერად, ამ ხელისუფლების ერთ-ერთი შიდა „სპონსორის", ქალაქ თბილისის მერიის ძირში კეთილი, მაგრამ ბოლოს ბოროტი ქმედების შესახებ მინდა გიამბოთ, რომელიც მოსახლეობისთვის საცხოვრებელი ფართების პირდაპირი წესით მიყიდვას ეხება...

ბინას, რომ დაგიკანონებენ, ამას რა ჯობია და მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ ამ შესყიდვის თანხას – 3 თვის განმავლობაში რომ გადაგახდევინებენ, ამას პლიუს საჯარო რეესტრში გაფორმების არცთუ მცირე თანხას რომ დაგამატებინებენ, წინ და უკან რომ რომ გარბენინებენ ათას ქვითარსა თუ საბუთზე – როგორ უნდა გაწვდე ამოდენა თანხებს, რატომ არ კითხულობენ?

თუმცა, მოდით, უფრო კონკრეტულად მივყვეთ ზემოთ აღნიშნულ პრობლემას...

თბილისს თავზე დაჰყურებს სოფ. ოქროყანა, ხოლო თავად სოფელს კი ოქროყანის აგარაკების დასახლება, რომელიც კომუნისტების დროს მინისტრთა საბჭოს ჩინოვნიკებისთვის ააგეს და ისინი ამ აგარაკებს, ზაფხულის ცხელ დღეებში სიამოვნებით სტუმრობდნენ, მაგრამ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე დღეში, მან მინისტრთა საბჭოს კაბინეტი, როგორც სტრუქტურა გააუქმა და ერთ-ერთ მიტინგზე გამოაცხადა, რომ ოქროყანის და წყნეთის სააგარაკო კოტეჯებში შეასახლებ და იმ კატეგორიის ადამიანებს, რომელნიც სტიქიისგან დაზარალდნენ იმ წლებში. იქვე გამსახურდიამ დასძინა, რომ მსურველებს იმ წუთიდანვე შეეძლოთ დაეკავებინათ აღნიშნული ფართები და ასეც მოხდა...

წლების განმავლობაში ოქროყანის და წყნეთის მოსახლეობა, ფაქტიურად, უკანონო მფლობელებად ითვლებოდნენ, რადგან მათ ეს ფართები შევარდნაძის ხელისუფლებამ (არ თუ ვერ) – არ დაუკანონა, მაგრამ ყველა არჩევნებზე დასახელებული აგარაკებიდან, მოსახლეობას აიძულებდა, ხმა მათთვის მიეცა, ხოლო სანაცვლოდ – საცხოვრებელი ფართის დაკანონებას ჰპირდებოდა! არადა, ეს ხმები უკანონო იყო, რადგან აქ მცხოვრები მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნულ მისამართზე არ იყო რეგისტრირებული!

ასე გავიდა მრავალი წელი... ბოლოს, შარშან, ეკონომიკის სამინისტროდან ოქროყანაში აზომველთა ჯგუფი ამოვიდა, აზომეს თითოეული საცხოვრებელი ბინის კვადრატულობა, სარდაფები, მიწა და გამოგვიცხადეს, რომ – ეს სამუშაოები იმისთვის ჩატარდა, რათა აქ მცხოვრებ მოქალაქეებს ბინები ოფიციალურად დაგიკანონდეთო! მართლა აზომივითი სამუშაოებიდან რამდენიმე თვეში, დასახლების ავტობუსის გაჩერებაზე გამოიკრა განცხადება, სადაც ეწერა, რომ ბინის თითოეული კვადრატული მეტრი შეფასებულია 55 ლარად და ვისაც ეს ფასი გაწყობთ, თბილისის მერიის ქონების მართვის სამსახურს დაუკავშირდითო. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ თბილისის მერიამ თანხა 30 ლარამდე შეამცირა, მაგრამ მოსახლეობას ბინის აღნიშნულ კვადრატულობაზე დაუმატეს სარდაფის კვადრატულობაც, რაც ფაქტიურად უკანონო იყო, რადგან ბინა სწორედ რომ 72-80 კვ.მ. ფარგლებშია იმავე მიწაზეა სარდაფიც და გამოვიდა ის, რომ შესასყიდი ფართის ფასმა ამის გამო ორჯერ მოიმატა, დაახლოებით 9-10 ათასი ლარის ფარგლებში.

მიუხედავად ამისა, ოქროყანის მცხოვრებნი მაინც მივედით თბილისის მერიის ქონების მართვის სამსახურში და შესაბამისი ხელშეკრულებაც გავაფორმეთ აღნიშნულ სამსახურთან იმის თაობაზე, რომ ისინი გონივრულ ვადებში, ჩვენს ხელშეკრულებებს პრეზიდენტის კანცელარიას გადაუგზავნიდნენ, ხოლო თავის მხრივ, კანცელარია, ასევე გონივრულ ვადებში უზრუნველყოფდა პრეზიდენტის მიერ თითოეულ განცხადებაზე ხელმოწერას, (პირდაპირი მიყიდვის კანონის შესაბამისად)



და ასევე გონივრულ ვადებში უკან გამოუგზავნიდა მერიის ქონების მართვის სამსახურს, რათა მათ, ასევე გონივრულ ვადებში, ჩვენთვის, მყიდველებისთვის შეეტყობინებინათ აღნიშნული.

საქმე იმაშია, რომ მერიასთან ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ მოსახლეობას დაგვირიგდა 3-ფურცლიანი ტექსტი, სადაც წერია, რომ ბინის შესყიდვის ვადა იწყება პრეზიდენტის ხელმოწერისთანავე და, რომ მთავრდება 3 თვეში! იქვე მითითებულია, საბანკო რეკვიზიტები, ანგარიშის ნომერი, მაგრამ თანხის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, ჩვენ გვეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხა 0,1 პროცენტის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ გადაცილებულ დღეზე და პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება ნასყიდობის საფასურის შესაბამის პერიოდში გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე!

ახლა არ იკითხავთ ჩვენს მიერ გადასახდელი თანხა რამდენია? ვისაც სარდაფები აქვთ, როგორც მოგახსენეთ, ბინის შესასყიდი თანხა გაუორმაგდათ და თითოეულ ასეთ ოჯახს, ზოგს 9 000, ზოგს 14-15 000, ზოგს 25 000 და ზოგსაც კიდევ უფრო მეტი აქვს გადასახდელი და ისიც 3 თვეში! უფრო სწორად, სააკაშვილის ხელმოწერის დღიდან სამ თვეში, მაგრამ, ნახეთ, რა მოიმოქმედეს უგულავას მუქთახორებმა?

თქვენს წინაშეა – სააკაშვილის მიერ 19.12.11 წელს ხელმოწერილი, პირადად ჩემთვის – ირინე გოგოსაშვილისადმი განკუთვნილი განკარგულება. ანუ, მიშამ გასული წლის 19 დეკემბერს მოაწერა ხელი და სწორედ ამ დღიდანაც ჩაირთო „სოჩიკი" ფულის გადასახდელად ჩემთვის, მაგრამ მიშამ რომ დააკმაყოფილა ჩემი განცხადება ბინის შესყიდვის თაობაზე – მე როდის გავიგე ეს? როდის და ზუსტად თვენახევრის შემდეგ ა.წ. 23 იანვარს ანუ მაშინ, როცა მერიის ქონების მართვის სააგენტომ ფოსტის მეშვეობით გამომიგზავნა აღნიშნული! ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს ფოტოზე აღნიშნული საფოსტო კონვერტის ფოტოც და რა ვქნა ახლა, დარჩენილ თვენახევარში საიდან უნდა მოვიტანო ამხელა თანხა? კარგი, ჯანდაბას ერთი ირინა გოგოსაშვილი, რომელიც წავა სადმე ისესხებს, შვილი გამოუგზავნის უცხოეთიდან, მეგობრებიც წამოეხმარებიან და ბოლო-ბოლო, სამსახური მაინც აქვს, მაგრამ რა გააკეთონ ჩემმა უმუშევარმა მეზობლებმა, რომლებსაც ასე მოკლე დროში ამ თანხის თავმოყრა არ შეუძლიათ? არადა, ოქროყანის აგარაკების დასახლებაში 80 პროცენტი უმუშევარია, ნაწილი დევნილები არიან და დღემდე არ იციან, შეასყიდებენ თუ არა მათაც ამ ბინებს! ისე, რომც შეასყიდონ, ამხელა თანხას და თანაც 3 თვეში, როგორ წარმოგიდგენიათ გადაიხდიან დაუსაქმებელი ლტოლვილები?

ქ. თბილისის მერიას და მის მერს გიგი უგულავას ფეხებზე რომ ჰკიდიათ ყოველივე ზემოთაღნიშნული, ეს იქედანაც ჩანს, რომ როდესაც აღნიშნულ პრობლემაზე თუნდაც ვინმე ნინო ოსიყმაშვილთან რეკავ, ასე გპასუხობს: „ქალბატონო, თქვენ ხელშეკრულებით გაფორმებული პირობები ხომ გაკმაყოფილებდათ?" – „კი, ბატონო, მაგრამ ხელშეკრულებაში წერია, რომ თანხის გადახდა შემიძლია 3 თვეში და არა თვენახევარში, რომელიც თქვენი დამსახურებით არა დეკემბრის ბოლოს არამედ ა.წ. 25 იანვარს მომივიდა, გამიგეთ?" – ვპასუხობ მე. – „ახალი წლები მოდიოდა გენაცვალე, გავიწყდება?" – მპასუხობს მერიის თანამშრომელი გაღიზიანებული. – „მერე, ახალი წელი 25 იანვრამდე გრძელდება თქვენთან? სამუშაო დღეები განა 3 იანვრიდან არ დაიწყო?" – ვუტევ მეც და როცა იგივე ნინო ოსიყმაშვილს ვახსენებ მის არაკეთილსინდისიერ ქმედებაში, „დედობრივი" მზრუნველობით, ოღონდაც ირონიული ტონით იმუქრება, რომ – ქალბატონო ირინე, ნუ გავიწყდებათ, რომ თანხის გადახდის ვადა 19 მარტს გეწურებათ და ჩემთან ჩხუბს გირჩევნიათ, ამაზე იფიქროთო!

აი, ძვირფასო მკითხველო როგორი „მზრუნველი", თბილისელების „კეთილდღეობაზე ყოველდღიურად მოფიქრალი" ქალაქის მერია გვყავს!

ისე, მთაწმინდა კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, თბილისის ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანია! ხოლო, ოქროყანის სააგარაკო დასახლება სწორედ რომ მის სადეპუტატო არეალშია მოქცეული!

მამუკა!!! არჩევნების წინ რომ დარბიხარ ჩვენთან და ათას დაპირებას იძლევი, რატომ არ ხვდები იმ ადამიანებს, რომლებსაც თქვენგან ბოძებული სიკეთე (ბინების შესყიდვას ვგულისხმობ) შესაძლოა, დიდ უბედურებად ექცეთ და რომლებიც, თუკი ფულს ვერ გადაიხდიან – მარტში შეიძლება გამოასახლონ იმ სახლიდან, სადაც 20 წელია ცხოვრობენ?!

„საერთო გაზეთის" ფურცლებიდან მოვუწოდებ თბილისის მერს – გიგი უგულავას, ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს უფროსს კოტე ვაშაყმაძეს და პრეზიდენტ სააკაშვილს – დაუყოვნებლივ გაზარდეთ ოქროყანაში მცხოვრები უმუშევარი ადამიანებისთვის ბინების შესასყიდი თანხის გადახდის ვადები თუნდაც 1 წლის განმავლობაში, თორემ კიდევ მოდის არჩევნები (არა ერთი) და აქ ამოსვლა აღარ გინდათ?

იმედს ვიტოვებ, აღნიშნულ პრობლემაზე სასაუბროდ და პრობლემის მოსაგვარებლად, დეპუტატი – მამუკა ახვლედიანიც გახსნის თავის საგულდაგულოდ ჩაკეტილი კაბინეტის კარებს და მოუსმენს თუნდაც მას – ვინც მხარი დაუჭირა მის კანდიდატურას არჩევნების დროს!

მე, რაღა თქმა უნდა, ამ ადამიანების ჩამონათვალში არ გახლავართ „საპატიო მიზეზების" გამო და დიდად არც თქვენთან შეხვედრა მხიბლავს „ძვირფასო" მუნიციპალებო, ჩემს პრობლემებს, როგორც ყოველთვის, უთქვენოდაც მშვენივრად გავართმევ თავს, მაგრამ ხალხს მიეცით ამოსუნთქვის საშუალება, ხალხს, რომელთა ჯიბიდან ამოღებული ფულებით ასე დასუქდით, ასე „გაკეთილშობილდით" და რომელთა ხარჯზეც, (თუ დაგცალდათ), კიდევ დიდხანს აპირებთ საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფას, გამიგეთ? თქვენთვის არ უსწავლებიათ, რომ მადლს მარილის მოყრა უხდება, ბიჭებო?

**ირინე გოგოსაშვილი**

# saakaSvilma mosvlisTanave ieRovelTa seqta registraciaSi gaatara, me ki 5 wliT cixeSi gamomketa



**გვესაუბრება გლდანის ივერიის ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილ მკალავიშვილი**

**— მამა ბასილ, თქვენ ციხიდან გამოსვლის შემდეგ გარკვეული პერიოდი დუმდით. ამ ბოლო დროს ძალიან გააქტიურდით. რას მივაწეროთ ეს?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. ჩვენთან არს ღმერთი.

ქვეყანა სიბილწის მორევისკენ მიექანება, არ შემიძლოია დუმილი და ყოველივე აქედან გამომდინარე, ვთანხმდები ჟურნალისტებს ინტერვიუებზე, რათა ვამცნო ჩემ მართლმორწმუნე ერს თუ რა სულიერ გაჭირვებაში ვიმყოფებით.

ნამდვილად, გული მტკივა, რომ საქართველო დამოუკიდებელი არ არის. ადრე თუ საქართველოს რუსეთი მართავდა დღეს ოკეანესგაღმელთა — ამერიკის ერთ-ერთი შტატი ვართ.

**— მამაო, როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ქართველ ერს მართლაც იმედად მოევლინა, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ეკლესია დაუჭერს მხარს? თქვენი აზრით, არ მოერიდებიან ხელისუფლების განაწყენებას?**

— დღეს დიდი ბრძოლა მიდის, თუ ვინ დაიჭერს პრეზიდენტის სავარძელს. ვინ იქნება პირველი პირი. ამისთვის იხარჯება კოლოსალური თანხა. დადიან ამერიკაში, რომ როგორმე საქმე მოაგვარონ ამერიკის პრეზიდენტთან, შეძრული ვარ — ამერიკაში უნდა წყდებოდეს საქართველოს ბედი? მაშინ, როცა მთელმა მსოფლიომ ჩვენგან უნდა ისწავლოს ყოველივე. ვგრძნობ, მომავალში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართება ხელისუფლებისათვის. საზოგადოება იმედს არ კარგავს, უკეთესობის მოლოდინშია და ხსნას ელის. რაც შეეხება საპატრიარქოს, ის ღმერთის საამებლად არაფერს იტყვის. ყოველთვის მოვლენების განვითარებას მიჰყვება და სასწორი რომელ მხარესაც გადაიწევა, იმ მხარეს დადგება, იმის „ნოტებზე“ აეწყობა. მათ სიმართლე არ აინტერესებთ, ასე იყო 1991-92 წლებში და როგორც ვატყობ, ასე იქნება ამჯერადაც.

**— ლაპარაკია იმაზე, რომ მომავალ პატრიარქს ხელისუფლების ჩარევით აირჩევენ. თქვენ გაქვთ სურვილი საქართველოს ეკლესიას დაუბრუნდეთ? ეკლესიაში დაუჭერენ მხარს თქვენს დაბრუნებას?**

— საქართველოს საპატრიარქოს იმ შემთხვევაში დავუბრუნდები, თუ პატრიარქი დაიცავს სჯულის კანონს, ქართველი ხალხის ინტერესებს. მზად ვარ, დავდგე ასეთი პატრიარქის სამსახურში და მეც შევმატო რაღაც მართლმადიდებლობას და ჩემს ქვეყანას.

**— მამაო, დღეს ბევრია განდგომილი, ისინი არ აქტიურობენ თქვენნაირად.**

— ანალოგიურ კითხვებს ხშირად მისვამენ. მე ყოველთვის ვერიდებოდი პასუხის მიგებას, არ მინდოდა რაიმე უთანხმოება ჩამოვარდნილიყო, მაგრამ ამჯერად დავარღვევ დუმილს და შევეხები იმ პიროვნებებს, რომლებიც მხოლოდ კომპიუტერთან ჯდომით და სხვისი ინტერვიუების განქიქებით არიან დაკავებულნი. კერძოდ, ბოსტონის დაჯგუფების წარმომადგენლები ზურაბ და გელა აროშვილები. მათ ინტერნეტში დადეს მასალა ჩემს საწინააღმდეგოდ. ამ პიროვნებების მიმართ გარკვეული პატივისცემით ვიყავი და ინტერვიუებში ყოველთვის დადებითად მოვიხსენიებდი, არ ვარ ის პიროვნება, უსაფუძვლოდ ვინმეს რაიმე ბრალი დავდო.

**— მათ თქვენ დაგდეს ბრალი?**

— აროშვილების აზრით, თითქოს მე არ დამიწყია ბრძოლა სარწმუნოების დაცვისათვის, არამედ, პირადად ვყოფილვარ გაბრაზებული ილია II-ზე. შევახსენებ აროშვილებს: ჩემი განდგომის მიზეზი ერთადერთი იყო — გამოსულიყო საქართველო მსოფლიო ეკუმენისტური საბჭოდან, შეეწყვიტათ მწვალებლებთან თანალოცვა, აელაგმათ იეღოველთა აღვირახსნილი თარეში. არ არის საკმაო არგუმენტი? აი, რატომ განვუდექი საპატრიარქოს და რატომ ვემორჩილები საბერძნეთის ძველ მესტილეთა წმიდა სინოდს.

**მე განვუდექი არა დედა ეკლესიას, არამედ უკეთურებას, რომელიც ტრიალებს დღეს სამღვდელოებაში, რომელსაც დღეს ამხელს თითქმის სრულიად საქართველო.**

აქ შეგახსენებთ ანატოლი ოპტინელის გამონათქვამს: „უკანასკნელ ჟამს ეკლესიაში აღმოცენდებიან მწვალებლობანი და განხეთქილებანი, რომელნიც მრავალთ აცთუნებენ და ბოლოს მწვალებლები გაბატონდებიან ეკლესიაში, ყველგან თავის მსახურებს დაადგენენ და ყოველნაირად შეაჭირვებენ და განდევნიან კიდეც ღვთის ჭეშმარიტ მონებს“.

**რაც შეეხება განდგომილებს, განდგომილნი ბევრნი არიან: მეუფე ქრისტეფორე წამალაიძე 10-მდე მღვდელთან ერთად, დავით გარეჯის წინამძღვარი გრიგოლ კობახიძე, ლისის ტბიდან 20 კმ.-ის დაშორებით არის სოფელი ბევრეთი. იქ არის, როგორც მამათა, ისე დედათა მონასტერი. ასევე არიან ისეთი პიროვნებები, რომლებიც თავისთვის მოღვაწეობენ და პატრიარქს არ იხსენიებენ.**

ამჟამად საფრანგეთში მყოფი მამა გიორგი სხირტლაძე. ეს ის მამა გიორგია, რომელიც 1995 წელს პეტრე-პავლეს ეკლესიაში მღვდელ არჩილ მინდიაშვილთან მსახურობდა. როცა გაიგო, არჩილ მინდიაშვილი როგორ მოუძღოდა „ომონს“ წინ გლდანის ლომისის წმიდა გიორგის ეკლესიის დარბევის დროს, იმ დღესვე განეშორა მინდიაშვილს, საპატრიარქოს და მთლიანად საქართველოს.

**— მამაო, იყვნენ ისეთი სასულიერო პირნი, რომლებიც საეკლესიო კრებებზე მხარს გიჭერდნენ?**

— რა თქმა უნდა, 7-მდე მღვდელი ვიყავით, რომლებიც ვცდილობდით მტკივნეული საკითხების მოგვარებას.

**— სად არიან ახლა ის მოძღვრები?**

— პასუხად მოვიტან ერთ მეტად საინტერესო ფაქტს. ერთ-ერთ კრებაზე მივედი დასასწრებად, ის მოძღვრები, რომლებიც ჩემი თანამოაზრენი იყვნენ პატრიარქის კაბინეტიდან გამოდიოდნენ. როცა კრება დაიწყო, ამ მღვდლებმა ჩემზე შეტევა განახორციელეს. მე მივხვდი, რომ ისინი პატრიარქმა გადაიბირა. თითქოს მე ეს ყველაფერი პირადი ინტერესებისთვის მჭირდებოდა. ვინც ამხელს, რატომღაც მას მტრად ცნობენ, პირიქით, ვინც ამხელს, ყველაზე დიდი მოკეთეა. ადრე უფრო მეტს რომ ემხილა არსებული ნაკლოვანებანი, იქნებ უკეთურება არ ყოფილიყო ეკლესიის წიაღში. ერთ-ერთ კრებაზე პატრიარქმა „წითელი კოჭიც“ კი მიწოდა.

აროშვილებს არ უნდა ეშლებოდეს, თუ სულიერებაზე სდებენ თავს, ერის საკეთილდღეოდ მოსალაპარაკებლად მტერთანაც მივა ადამიანი, საჭიროების შემთხვევაში. მათ შევახსენებდი, გადახედონ მაშინდელ საინფორმაციო საშუალებებს და მიხვდებიან, როგორ ვიბრძოდი ერთადერთი მღვდელი ამდენი უსამართლობის წინააღმდეგ. რაც შეეხება იმ სიხარულს, რომელიც გამოხატეს სააკაშვილის ხელისუფლების მოსვლით, ეს ჩემთვის შოკისმომგვრელია, ვინაიდან სააკაშვილმა მოსვლისთანავე იეღოველთა სექტა რეგისტრაციაში გაატარა, მე კი 5 წლით ციხეში გამომკეტა. ნუთუ ეს ახარებს აროშვილებს? მაშ, მათ განდგომას ფასი არ ჰქონია.

**— მამაო, გაკითხავენ სასულიერო პირნი, რომელნიც ოფიციალურ ეკლესიას არ ემორჩილებიან?**

— როგორ არა, ბევრნი მოდიან ჩემთან განდგომილნი, მათ შორის ეპისკოპოსებიც.

**— ვინ არიან ესენი?**

— როცა ამერიკაში მყოფი რუსეთის ემიგრაციული ეკლესიის მიტროპოლიტი ვიტალი გარდაიცვალა, ამ ეკლესიის დაშლა შეძლეს. ის რამდენიმე დაჯგუფად გაიყო. სწორედ ისინი, სხვადასხვა პიროვნებები მოდიან ჩემთან, მათი სურვილია, საქართველოში ჩამოყალიბდეს ანტიეკუმენისტური სინოდი.

**— თქვენ თანახმა ხართ ჩამოყალიბდეს ეს სინოდი?**

— პირადად მე დარწმუნებული არა ვარ მათ ჭეშმარიტ აღმსარებლობაში. უყურებენ ამ ულამაზეს, წვალებით აგებულ ტაძარს, მრავალრიცხოვან მრევლს და რა თქმა უნდა, დიდი სურვილი ექნებათ აქ ჩამოაყალიბონ ახალი სინოდი. არიან უმაღლესი სასულიერო იერარქები, არც ეკლესია გააჩნიათ, არც მრევლი. ჩვენ კი ეკლესიაში, განურჩევლად მამაკაცისა, თუ ქალისა, ფუტკრებივით ვფუსფუსებთ და ვახერხებთ იმდენს უფლის წყალობით, მადლიანი კაპიკებით, ყველაფერი გავაკეთოთ ღვთის საამებლად, სარწმუნოების გადასარჩენად. ვცდილობთ ჩვენი სიმართლე გავაგებინოთ ხალხს თუ როგორი ბრძოლის გზა გავიარეთ, ყველას შეუძლია ნახოს ჩვენი ეკლესიის დარბევა „იუთუბიზე“ და ჩვენი გვერდი „ფეისბუკზე“, ხოლო ისეთ ადამიანებთან, რომელთაც მხოლოდ სავარძელში ჯდომა და სხვისი განქიქება აკმაყოფილებთ, არაფერი მაქვს საერთო. ჩვენს ეკლესიაში ჩატარებულ ყველა რიტუალს ღმრთის მადლი ახლავს. იმიტომ, რომ უანგაროდ აღესრულება. სხვა ეკლესიებიდან იმედგაცრუებულნი ჩვენს ტაძარში მოდიან. პანაშვიდია, წესის აგება, ქორწინება თუ სხვა ისეთი შემთხვევებიც გვქონია, თანაც რამოდენიმეჯერ, რომ სიკვდილისწინა პერიოდში, რომლებიც იმქვეყნად თავიანთ მიცვალებულებს ესაუბრებიან, სანამ გარდაიცვლებიან, ოჯახის წევრებს ევედრებიან, წესი მამა ბასილმა ამიგოსო, როცა ამ პიროვნებებს საერთოდ არ ვიცნობთ. ასევე, გარდაცვლილნი, სანამ დაასაფლავებდნენ თავისიანებს ეცხადებიან და თხოვენ — მიდით მამა ბასილთან, წესი მან ამიგოსო. არ იფიქროთ, ჩემს პიროვნებას განვადიდებდე, პირიქით, აღვნიშნავ, რომ სასულიერო პირი ხალხს უანგაროდ უნდა ემსახურებოდეს, ეს არის მადლი ღვთის წინაშე.

**— მამაო, მოქმედი ეკლესიები მომრავლდა საქართველოში, ეს რწმენის აღმავლობას არ უწყობს ხელს?**

— ჩვენ, ხანში შესულთ გვახსოვს კომუნისტური რეჟიმი. ჩვენს მეხსიერებაში შთაბეჭდილია, როგორ გვინგრევდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ აგებულ ტაძრებს. დღეს სოკოებივით მრავლდება ეკლესიები, მადლისაგან განშორებული არიან ზედაპირული მორწმუნენი. მიგვითითებენ ევროპისა და ამერიკისკენ, ვიცხოვროთ ისე, როგორც ისინი. ქუჩაში ვერ გაარჩევ ჩაცმულობით მამაკაცსა და ქალს. ტელევიზორს ვერ ჩართავ, იქედან უზნეობის ნიაღვარი მოედინება. არ იფიქროთ, კომუნისტებს ვამართლებდე, ღმერთმა დამიფაროს, ვინც ღმერთს ებრძვის მისი დაუძინებელი მტერი ვარ, მაგრამ ფაქტს, რომ კომუნისტების დროს ზნეობა გაცილებით თავის ჩარჩოში იყო მოქცეული, ვერსად გავექცევით.

**— ამ ბოლო დროს ბევრი ეკლესია შენდება, როგორ მოგწონთ ტენდენცია, რომ აცხადებენ თანხის გადარიცხვას ტაძრების მშენებლობისათვის...**

— ამ ამბავში ვინ რა ცოდვას ჩადის, ამის განქიქებას არ დავიწყებ, მაგრამ მსგავსი რომ ბევრი ხდება, ფაქტს ვერსად წავუვალთ.

პირადად მე ხუთი ეკლესია მაქვს აშენებული და კაპიკი არავისთვის მითხოვია. მშენებლობას ყოველთვის ცარიელი ხელებით ვიწყებდი და ღვთის შემწეობით ბოლომდე მიმყავდა.

მრცხვენია, ტელევიზიის რეკლამების დროს რომ აცხადებენ ფულის გადარიცხვაზე, მეტროს სადგურებთანაც დგას ყულაბები წარწერით „ეკლესიის მშენებლობისათვის“. ნამდვილად სირცხვილია, ხალხს რწმენა ეკარგება. ბევრჯერ გაგვიგია: „ალბათ ჯიპებით რომ იარონ მღვდლებმა, იმისთვის უნდათ ეს შესაწირავებიო“.

სანამ დროა, თვალები გავუსწოროთ არსებულ რეალობას, დავდგეთ ჭეშმარიტი სარწმუნოების სადარაჯოზე. დავიცვათ უფლის მცნებები და გარწმუნებთ, ვერავინ მოგვერევა.

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# damerwmuneT, vaSingtonSi mixeil saakaSvili bednieri prezidentis STabeWdilebas ar tovebda...



*საქართველოსა და აშშ-ს პრეზიდენტების შეხვედრის შედეგებსა და იმაზე, თუ როგორ აისახება ეს ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე, „საერთო გაზეთს“ პოლიტოლოგი* ***რამაზ საყვარელიძე*** *ესაუბრა:*

## saakaSvilis amerikuli turne aSS-Si Seqmnil politikur klimats ukavSirdeboda



**— ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებთ აშშ და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრას. მიხეილ სააკაშვილმა თქვა: „ამდენი კონკრეტული შედეგით თეთრი სახლიდან არასოდეს გამოვსულვარო“.**

— ბუნებრივია, სტუმრად მყოფი ადამიანი, ხშირ შემთხვევაში, სუფრას ყოველთვის აქებს, ამიტომ ის საკითხები, რაც თანამშრომლობის დონეზე ოფიციალურად გახმაურდა მისასალმებელია. თუმცა რამდენად იყო პრეზიდენტების შეხვედრა საზოგადოების მოლოდინის შესაბამისი როგორც სახელისუფლებო, ისე კრიტიკულად განწყობილი ნაწილისთვის, სხვა საკითხია.

პირადად ჩემი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ, ფაქტობრივად, მიხეილ სააკაშვილი თეთრ სახლში სასწრაფო რეჟიმში მიიპატიჟეს. ვვარაუდობ, მიზეზი ირანის საკითხი და საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა უნდა ყოფილიყო. შეხვედრის დასრულების შემდეგ, ობამამ საქართველოში არსებული დემოკრატიის ხარისხზე ისაუბრა, თუმცა ირანის საკითხი არ გაჟღერებულა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტებს დახურულ კარს მიღმა ირანის პრობლემატიკაზე არ უსაუბრიათ.

საჯარო გამოსვლის შემთხვევაში ირანის საკითხის განხილვა უფრო გაამწვავებდა ამერიკულ-სპარსულ ურთიერთობას, ამიტომ არც გამკვირვებია, ობამა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნულ საკითს რომ არ შეეხო.

**— თქვენი აზრით, რა იყო მთავარი, რის გამოც ობამამ მიხეილ სააკაშვილი თეთრ სახლში მიიპატიჟა?**

— ვფიქრობ, ეს იყო ირანის თემა. თუმცა არის კიდევ ერთი ვერსია, რომელსაც თავად ამერიკელი ექსპერტები განიხილავენ. ისინი თვლიან, რომ მთავარი, რის გამოც ბარაქ ობამამ სააკაშვილი თეთრ სახლში მიიწვია იყო ის, რომ ამერიკელებისთვის ეჩვენებინა აშშ-ს საქართველო არ მიუტოვებია. მოგეხსენებათ, რომ ამერიკის პრეზიდენტს ყველაზე ხშირად სწორედ საქართველოს უყურადღებობისთვის საყვედურობენ, ამიტომ, შესაძლოა, სააკაშვილის ამერიკული ტურნე აშშ-ში შექმნილ პოლიტიკურ კლიმატს უკავშირდებოდეს.

**— უმრავლესობა მიღწეული შედეგით კმაყოფილია, უფრო მეტიც, თვლიან, რომ ობამას მიერ გაკეთებულმა გზავნილებმა მოლოდინს გადააჭარბა. როგორ ფიქრობთ, „ნაცმოძრაობას“ აქვს კმაყოფილების რეალური საფუძველი?**

— ხელისუფლებას საკმაოდ კარგი უნარი გააჩნია-მათ თავისი გაკეთებული ყოველთვის მოსწონთ, სხვისი საქმით კი უკმაყოფილონი არიან. ამიტომ მმართველი გუნდის მიერ გამოხატული კმაყოფილება უფრო საზოგადოების დასანახად გაკეთებული რეაქცია იყო, თითქოს საქართველოში ყველაფერი კარგადაა და აშშ ჩვენს ქვეყანას მხარდაჭერას უცხადებს.

პროფესიიდან გამომდინარე, კონკრეტულ დეტალებზე ყურადღების გამახვილება ვისწავლე. კერძოდ, სხეულის ენაზე როგორი გამომეტყველება, როგორი ქცევა ახასიათებს ადამიანს ამა თუ იმ სიტუაციაში.

**— საქართველოს პრეზიდენტის ქცევიდან გამომდინარე რა ფსიქოლოგიური დასკვნა გაკეთეთ?**

— ადამიანს უნდა დააკვირდე არა მხოლოდ საუბრისას, არამედ სხვისი მოსმენის დროს როგორ გამოიყურება. დამერწმუნეთ, ვაშინგტონში მიხეილ სააკაშვილი ბედნიერი პრეზიდენტის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებდა. ალბათ, დახურულ კარს მიღმა რაღაც ისეთი მოხდა, რომ სააკაშვილს უკმაყოფილების საფუძველი მიეცა.

**— როგორ ფიქრობთ, რას შეიძლება გაეფუჭებინა პრეზიდენტისთვის გუნება-განწყობილება?**

— ალბათ, საუბარი მიხელ სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალს შეეხო, რა თქმა უნდა, მისთვის არასასურველ კონტექსტში, შესაბამისად მისი რეაქციაც ადეკვატური იყო.

იმ ენაზე, რომლითაც ობამა საუბრობდა, ნიშნავს, რომ ხელისუფლებისთვის ძალაუფლების გადაცემა უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებით და არა ფარული მექანიზმებით.

**— როგორ ფიქრობთ, ამერიკული მხარე გამოთქვამს მზაობას 2012-2013 წლების არჩევნების შემდეგ ძალაუფლება კვლავ მიხეილ სააკაშვილს გადაეცეს?**

— მიხეილ სააკაშვილი თუ ამ ნაბიჯს გადადგამს და პრემიერობის ხარჯზე კვლავ პირველ პირად დარჩება, ცხადია, ეს კვლავ მისი ხელისუფლების გაგრძელებას ნიშნვს, რაც კანონის დარღევაა. აშშ-ი ძალაუფლების ამ ფორმით გახანგრძლივებას არაადეკვატურად უყურებს. არსებობს რამდენიმე ნიშა, რის მიხედვითაც განისაზღვრება დემოკრატიის ხარისხი. ერთ-ერთი მთავარი საკითხი ხელისუფლების მონაცვლეობაა, რათა ის არ გახდეს მონარქიის ანალოგი, რაც ხშირია ისლამურ ქვეყნებში. ამერიკის შეერთებული შტატები არაბულ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესებს მშვიდად წლების განმავლობაში აკვირდებოდა, სანამ თავად ადგილობრივი ხალხი არ ადუღდა. ამიტომ არ გამოვრიცხავ, საქართველოს შემთხვევაშიც ამერიკამ თავი დიდად არ შეიწუხოს იმაზე ფიქრით, იცავენ თუ არა ჩვენ ქვეყანაში დემოკრატიულ ღირებულებებს. თუმცა იმ შემთხვევაში თუ საქართველოში დაიცავენ დემოკრატიულ ფასეულობებს, ცხადია, ამერიკული მხარე შედეგით კმაყოფილი იქნება.

**— აშშ-ი სადაზვერვო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ სააკაშვილის გაპრემიერების შემთხვევაში რეგიონში დაძაბულობის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირდება. როგორ ფიქრობთ, რატომ დაინტერესდა აღნიშნული უწყება ამ საკითხით?**

— რა შეიძლება ითქვას ამ უწყების მიღწევებზე, ეს არის სამსახური, რომლის რეკომენდაციითაც აშშ-მა რუსეთთან დასაპირისპირებლად გაწვრთნა თალიბები, დღეს კი თალიბი ამერიკელის თავსატეხია. ამ უწყებამ გაუწია რეკომენდაცია ირანში შაჰის ცვლილებას, დღეს კი, მოგეხსენებათ, რა ეტაპზეა ირან-ამერიკის ურთიერთობები.

**— ანუ აშშ-ს სადაზვერვო დეპარტამენტი საკუთარი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს?**

— ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ იქ მომუშავე ადამიანები ჭკვიანები ნამდვილად არ არიან. ის, რომ რომელიმე ქვეყანა უშვებს კარგ მანქანას ან ფეხსაცმელს, არ ნიშნავს რომ ამ ქვეყანას შეუძლია კონტინენტური პოლიტიკის მართვა. ამიტომ დარწმუნებული ვარ, აღნიშნული უწყების რეკომენდაცია ნამდვილად ვერ გამოდგება იმისთვის — რა არის კარგი და რა ცუდი.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, მიხეილ სააკაშვილის პრემიერობა რამდენად მომგებიანი იქნება საქართველოსთვის და მთლიანად რეგიონისთვის?**

— შესაძლოა, ამ ფაქტორმა საქართველოში ახალი დესტაბილიზაციის კერა გააჩინოს. რეალურად თუ კვლავ იგივე ხელისუფლების ძალაუფლება გაგრძელდება, შესაძლოა, საზოგადოებაში ნიჰილიზმი გაჩნდეს და მოსახლეობის უმრავლესობა ემიგრაციაში წავიდეს ან სულაც ჩაერთოს აქტიურ პოლიტიკურ პროცესებში, რაც თავისთავად დესტაბილიზაციის წყარო გახდება. მიხეილ სააკაშვილი თუ ამერიკის მხარდაჭერით კვლავ ხელისუფლებაში დარჩება, ცხადია, ეს ფაქტორი ოპოზიციურ საზოგადოებაში ანტიამერიკულ განწყობილებას გააჩენს.

ბევრი თვალსაზრისით, ეს ნაბიჯი საქართველოში ამერიკის ინტერესს ამყარებს. ქართული მხარის ამ გადაწყვეტილებამ, ვფიქრობ, გაამართლა, რადგან ამერიკაში ვერ ნახავთ ვერც ერთ ოფიციალურ პირს, ვინც ამისთვის მადლობას არ გვიხდიდეს.

**— ბარაქ ობამა, ყოველ შემთხვევაში, მისი განცხადებებიდან ჩანს, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებს მხოლოდ ვარდისფერ ფერებში აღიქვამს. როგორ ფიქრობთ, ეს ქართული ოპოზიციის ბრალი ხომ არაა?**

— არა მგონია, რადგან სწორედ იმ პერიოდში გამოქვეყნდა ოპოზიციის წამყვანი ფიგურის ბიძინა ივანიშვილის კრიტიკული წერილი ისეთ მედიასაშუალებებში, რომლებიც თეთრს სახლში ადვილად აღწევენ. ამიტომ საფუძველი იმისა, რომ ობამა ოპოზიციის აზრს ვერ გაიგებდა, არ არსებობს. უკვე რამდენი წელია „ნაცმოძრაობის ქმედებებზე, მათ შორის „ვარდების რევოლუციაზე“ პასუხს ამერიკა აგებს და თქვენ გინდათ აშშ-მა საჯაროდ აღიაროს შეცდომები.

**— შესაძლოა, აშშ-მ მიხეილ სააკაშვილი გაცვალოს ბიძინა ივანიშვილზე?**

— არა მგონია, გაცვლის იდეა იდგეს დღის წესრიგში, მაგრამ თუ ანალოგიური კურსის მატარებელი ახალი ძალა მოვა, მაშინ დაკმაყოფილდება ამერიკის მოთხოვნა-ხელისუფლებები იცვლებოდეს კანონიერების ფარგლებში.

**— პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ საქართველოში ახლო მომავალში რა კონკრეტულ შედეგებს შეიძლება ველოდოთ?**

— ვვარაუდობ, საჯარო გამოსვლების დროს გაკეთებული აქცენტებით და იმითაც, რაც, შესაძლოა კარს მიღმა ხდებოდა ივანიშვილის მიმართ ხელის გადაგრეხვის პოლიტიკა შერბილდეს, ან საერთოდ, დღის წესრიგიდან გაქრეს. მეორე მხრივ, „ნაცმოძრაობა“ ეცდება არჩევნები მაქსიმალურად კანონიერების ჩარჩოში მოაქციოს და გაიმარჯვოს ისე, რომ ცოტა სასაყვედურო ჰქონდეს.

**მირანდა ნაბახტეველი**

## ქუჩის აქციებს შესაძლოა ირაკლი ალასანიას პარტიაც შეუერთდეს

პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, თბილისის საკრებულოს დეპუტატი ზურაბ აბაშიძე საპროტესტო გამოსვლებტან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის განცხადებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ქუჩის აქციებში მონაწილეობას „თავისუფალი დემოკრატებიც“ მიიღებენ. აბაშიძე მიიჩნევს, რომ ქუჩის აქციები პოლიტიკური ცხოვრების ერთ–ერთი შემადგენელი ნაწილია და არ აერთადერთი.

„ჩვენ არასდროს გამოგვირიცხავს ქუჩის აქციები. მიგვაჩნდა და ახლაც მიგვაჩნია რომ ქუჩის აქციები არის ერთ-ერთი და არა ერთადერთ შემადგენელი ნაწილი პოლიტიკური ცხოვრებისა. ასე რომ, თუ დადგება ამის აუცილებლობა და ხმების დაცვა გახდება აუცილებელი, რა თქმა უნდა, ქუჩის აქციები იქნება ერთ—ერთი პროტესტი და ჩვენ ამაში მივიღებთ მონაწილებას“, — განაცხადა აბაშიძემ. მისივე თქმით, მთავარია, ქვეყანაში მივიღოთ სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნები და ამის შედეგად შეიცვალოს ხელისუფლება.

„ხოლო, რასაც ჰქვია ინსტრუმენტები დემოკრატიული განვითარებისა, ჩვენ არაფერს არ ვუშინდებით“, — დასძინა ზურაბ აბაშიძემ.

შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა გაზეთ „ასავალ დასავალისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ თუ საჭირო გახდება, ხმების დასაცავად ხალხს ქუჩაში გასვლისკენაც მოუწოდებს.

**„მედიანიუსი“**



# romel axal detals daeTmo calke Tavi `human raiTs voCi~-s kvlevaSi

*გვესაუბრება „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილე* ***თეა წულუკიანი.***

**— ქალბატონო თეა, „ჰუმან რაითს ვოჩ“-მა კვლევები გამოაქვეყნა, რაშიც საქართველოც მოხვდა.**

— ევროპული კონვენცია ითხოვს — თუ საჯარო მოხელის ქმედების შედეგად დაიღუპება მოქალაქე, დამნაშავე არათუ მხოლოდ უნდა გათავისუფლდეს, არამედ მას სისხლის სამართლის წესით სათანადო და ადეკვატური სანქცია უნდა დაეკისროს. კვლევის შედეგებში გაკრიტიკებულია შემდეგიც — როდესაც პოლიციამ მომიტინგეების დაშლა დაიწყო, ადამიანებს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა, რომლებიც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ პოლიციელებს,უფრო მეტიც, ადგილიდან გარბოდნენ, პოლიცია კი მათ საცემრად მისდევდა. ჩვენს ხელისუფლებას გათავისებული არ აქვს ის ევროპული სტანდარტი, რომლის თანახმადაც პოლიციელს მხოლოდ მაშინ აქვს მოქალაქისთვის ფიზიკური ძალის დაპირისპირების უფლება, თუ თავად ეს უკანასკნელი იყენებს მის წინააღმდეგ ფიზიკურ ძალას. პოლიციელს ევალება იმ ზომისა და ხარისხის ძალა დაუპირისპიროს ადამიანს, რაც საჭიროა მოქალაქის მიერ გამოყენებული ძალის გასანეიტრალებლად. თუ მოქალაქემ პოლიციელს სილა გააწნა, ამის გამო არ შეიძლება მას იარაღით ან თუნდაც მუშტით დაუპირისპირდე. მწვავედაა გაკრიტიკებული ისიც, რომ პოლიცია უკვე გაქცეულ ხალხს მისდევდა. ეს გვაგონებს 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს, როცა შემოჭრილი მტერი ადამიანებს უკან მისდევდა და ფიზიკურ დაზიანებას აყენებდა.

**— 26 მაისის ღამეს პოლიცია არანაკლებ სასტიკად გაუსწორდა დამოუკიდებელ მედიას. როგორ აფასებს ამას „?უმან რაითს ვოჩი“?**

— როგორც კვლევაშია ნათქვამი, პოლიციამ აქციის დაშლის დროს ხელი შეუშალა, როგორც ქართველ, ისე უცხოელ ჟურნალისტებს მუშაობაში და მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სურათს. ასევე, კვლევაში საუბარია დევნილებზე და აღნიშნულია, რომ მათი გამოსახლება საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით მოხდა. ასევე, მნიშვნელოვანია ორგანიზაციის დასკვნა ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე. მათი აზრით, ამ შემთხვევაშიც საქართველოს სამართლებრივ სისტემას სისტემური პრობლემები აქვს. ადმინისტრაციული საქმეების განხილვა მოკლე სასამართლო პროცესების ფარგლებში ხდება, რაც არ პასუხობს სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებს. ამ პროცესების დროს დარღვეულია სამართლიანი მართლმსაჯულების ისეთი ფუძემდებლური პრინციპი, როგორიც შეჯიბრებითობა, მხარეთა თანასწორობაა. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე მბრალდებლად გამოდის მხარე —პოლიციელი, რომელმაც მოქალაქე დააკავა, იგი ბრალს დებს მოქალაქეს და სასამართლოზე მთავარ მოწმედ გამოდის. პოლიციის ჩვენებები ცალსახად გაზიარებულია მოსამართლის მიერ, რაც გაკრიტიკებულია კვლევებში. ეს ნიშნავს, რომ მოქალაქეს საშუალება არ ეძლევა მოწმეები მოიწვიოს და პოლიციელის ჩვენებას ფაქტები დაუპირისპიროს. ეს დასკვნა ადასტურებს, რომ ამ სფეროში მართლმსაჯულების ძირეული რეფორმებია გასატარებელი. დაუშვებელია პოლიციელს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდეს და ბრალმდებელი იყოს საქმეში,სადაც თავად არის მხარე. ეს საერთაშორისო და ევროპული სტანდარტის დარღვევაა.

**— ამ კვლევებთან დაკავშირებით ხელისუფლებამ განაცხადა, რომ რაღაც-რაღაცებს გაითვალისწინებს, მაგრამ იქვე აღნიშნა — ეს ავტორიტეტული ორგანიზაცია არ არისო.**

— ერთადერთი ორგანიზაცია ადამიანის უფლებების დარგში, რომლის მითითებებსა და დასკვნებსაც საქართველოს ხელისუფლება ითვალისწინებს, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოა. ეს იმიტომ ხდება, რომ საქართველოს ხელი აქვს მოწერილი ევროპულ კონვენციაზე, ამ კონვენციის 46-ე მუხლით იკისრა ვალდებულება, რომ შეასრულებს მოცემული სასამართლოს მითითებებსა და გადაწყვეტილებებს, ანუ აქვს საერთაშორისო ვალდებულება, რომელსაც ვერ გაექცევა. რაც შეეხება „ჰუმან რაითს ვოჩ“-ს იგი არის დიდი ავტორიტეტის მქონე ორგანიზაცია მთელს მსოფლიოში, მაგრამ მისი დასკვნების შესრულება სავალდებულო არ არის. თუ ქვეყანას დემოკრატიული ხელისუფლება მართავს, მაშინ იგი ამ დასკვნებს სერიოზულად ეკიდება, რაც ჩვენთან არ ხდება. ჩვენი ხელისუფლება ამ დასკვნებს მხოლოდ და მხოლოდ ირონიულ ღიმილს, კრიტიკას უპირისპირებს და არ სურს ამ დასკვნების გათვალისწინება. ამიტომ არ მაქვს მოლოდინი, რომ წლევანდელ დასკვნას მაინც გაითვალისწინებენ.

**— კვლევებში სხვა ქვეყნების მაგალითებიც მოხვდა. რამდენად ვუსწრებთ სხვა ქვეყნებს ადამიანის უფლებების დარღვევის მხრივ?**

— ევროკავშირის ქვეყნებსაც აქვთ პრობლემები, მაგრამ აბსოლუტურად სხვა ხარისხისა და სერიოზულობის. მათი პრობლემები შემოიფარგლება დევნილებით, რომლებიც მათ ქვეყნებში სხვა ქვეყნებიდან შედიან, ანუ პოლიტიკური ნიშნით დევნილები ან ეკონომიკურად გაჭირვებულნი. ეს ორგანიზაცია აკრიტიკებს ამ ქვეყნების ასეთ ადამიანებთან დამოკიდებულებას იმიტომ, რომ დაკავების ცენტრები, სადაც ეს ადამიანები იმყოფებიან გადატვირთულია, ზოგ შემთხვევაში ირღვევა მათი დაცვის უფლება და გასახლება ხდება მიუხედავად იმისა, თუ რა პირობები დახვდებათ ციხეებში მოცემულ მომენტში. ეს ბევრად განსხვავდება ჩვენი ქვეყნის პრობლემებისგან. ჩვენთან მართლმსაჯულებას დამოუკიდებლობის სერიოზული პრობლემა აქვს, რასაც ვერ ვიტყვით სხვა ქვეყნებზე. დასკვნაში ასახული ჩვენი ქვეყნის პრობლემები იმაზე მიუთიტებს, რომ საქართველოში დემოკრატია ვერ შედგა. რაც შეეხება ევროკავშირს იქ დემოკრატია არსებობს და უბრალოდ არსებობს პრობლემები, რომელიც უნდა გამოსწორდეს.

**— ჩვენთან გარდა კვლევაში აღნიშნულისა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა ადამიანის უფლებები. ბატონი ბიძინა პოლიტიკაში ახალი შემოსულია და დასკვნაში ამის შესახებ არ წერია,მაგრამ განა უფლებების დარღვევა არ არის მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა, დრაკონული კანონების შემოღება და ა.შ. ამ ფონზე რისი იმედი უნდა ჰქონდეს რიგით მოქალაქეს?**

— ბიძინა ივანიშვილის სახით პოლიტიკაში ხელისუფლებისთვის საშიში ოპონენტი შემოვიდა, რასაც ამ უკანასკნელმა მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუპირისპირა. მოსამართლეს მისცეს უფლება, ამიტომ გაბედა და მის მეუღლეს მოქალაქეობა დაუბრუნა, მაგრამ ივანიშვილის შემთხვევაში მოსამართლემ ეს ვერ გაბედა, რადგან ამის უფლება არ მისცეს. არსებობს სხვა გზაც — პრეზიდენტმა ნატურალიზაციის გზით უკანონო გადაწყვეტილება უნდა შეცვალოს და ბატონ ბიძინას დაუბრუნოს ის, რაც მას ეკუთვნის, როგორც ნამდვილ, ღირსეულ ქართველს, რომელიც მთელი ცხოვრება ქართულ საქმეს აკეთებს. პრეზიდენტი არ უნდა წყვეტდეს ვინ არის ქართველი და ვინ არა. რაც შეეხება პარტიებს, ნაც. მოძრაობამ მიიღო დრაკონული კანონი, რათა ივანიშვილმა ვერ შეძლოს ფულადი სახსრების მოხმარება ოპოზიციური პროცესისთვის. აქამდე ეს კანონები საჭირო არ იყო, რადგან ხელისუფლება სარგებლობდა იმით, რომ ოპოზიციას არ ჰქონდა ფინანსები, რითაც ადმინისტრაციული რესურსის გადაწონვას და სერიოზულ დაპირისპირებას შეძლებდა. ეს დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის არცერთ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს, რადგან იგი ერთ კონკრეტულ სიტუაციაზეა მორგებული, რომელსაც ჰქვია თუ როგორ არ უნდა დახარჯოს ბიძინა ივანიშვილმა ფული პოლიტიკურ პარტიებზე. სააკაშვილმა კონსტიტუციაც თარგივით შეკერა საკუთარ თავზე. ამგვარი კანონები არღვევს, როგორც გამოხატვის თავისუფლებას,ასევე თავისუფალი არჩევნების უფლებას. თუ საარჩევნო კონკურენტული გარემო არ იქნა და ერთ მხარეს აღმოჩნდება ხალხის ფულით უაღრესად მდიდარი ნაც. მოძრაობა, მეორე მხარეს კი ღატაკი ოპოზიცია, რა თქმა უნდა ეს არჩევნები ვერ ჩაითვლება სამართლიანად. ამ კანონების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გაგრძელდეს და შიდა და გარე ზეწოლის შედეგად გამოსწორდეს პოლიტიკური პროცესისთვის ზიანის მატარებელი ვითარება. მაგრამ ეს ბრძოლა ძალიან ძნელი იქნება, რადგან საქმე შეშინებულ ხელისუფლებასთან გვაქვს. როგორც იცით ეს კანონი გაცილებით სასტიკი იყო, მაგრამ როგორც კი ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ჩვენმა გულშემატკივარმა ადამიანებმა ხმა აღიმაღლეს,ხელისუფლებამ ნაცვლად იმისა ეთქვა, რომ ახალ ცვლილებას მივიღებთ და კანონს გავაუმჯობესებთო,ჯგუფურად თაღლითობა ჩაიდინეს.საბოლოოდ, მიღებული კანონი ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში სხვა სახით გამოქვეყნდა, რაშიც იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ხელი ურევია, რომელმაც, პრაქტიკულად საოცრება ჩაიდინა და ის კანონი იმ რედაქციით გამოაქვეყნა, რომელიც პარლამენტს არ მიუღია. მხედველობაში მაქვს კანონი, რომელსაც უკუქცევითი ძალა ჰქონდა და გადმორიცხული თანხის დაუხარჯავობის შემთხვევაში, მის უკან დაბრუნებას ითვალისწინებდა. ეს გახლავთ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ჩადენილი თაღლითობა, გაყალბება კანონის იმ რედაქციის, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა. დღეს ეს ფაქტი დაუსჯელია, მაგრამ ამ თაღლითობაზე მაშინ აგებს ხელისუფლება პასუხს, როცა მას ხალხი შეცვლის. ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, კანონის თანახმად აგებს პასუხს.

**— ბრძოლის რა ბერკეტები არსებობს, რით შეგვიძლია დავუპირისპირდეთ ხელისუფლების დრაკონულ კანონებს. თუნდაც, ხომ შეიძლება ჩვენი საერთაშორისო მეგობრები დავიხმაროთ და მივაწვდინოთ მათ ხმა.**

— დიახ, რა თქმა უნდა ასეც იქნება. დღესდღეობით დაიდო კვლევა, რომელშიც ჩვენი პარტიიდან ლევან იზორია მონაწილეობდა, სადაც ამ კანონის ძალიან სერიოზული იურიდიული შეფასებებია, ამის თანახმად უნდა შემუშავდეს ინიციატივები, რაშიც მხარდაჭერა, პირველ რიგში ჩვენს საზოგადოებას და შემდგომ გარეშე ძალებს უნდა ვთხოვოთ.

**— პროვოკაციების აცილების სურვილმა, შესაძლოა არადემოკრატიული არჩევნების ჩატარებამდე მიგვიყვანოს. რა მოლოდინი შეიძლება გვქონდეს ასეთი არჩევნებისგან?**

— ამგვარ პირობებში ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს, ოპოზიციურმა პარტიებმა ყველანაირი ღონე უნდა იხმარონ, რათა სიები დაზუსტდეს, დრაკონული კანონი გაუმჯობესდეს,წარიმართოს ჯანსაღი დაკვირვების პროცესი არჩევნებზე, როგორც შიდა, ისე გარე მხრიდან, გაყალბების შემთხვევაში გამართული იყოს საჩივრების სისტემა. მოქალაქეებმა თავისი ვალდებულებები უნდა შეასრულონ, ესაა სამოქალაქო აქტივობა, რადგან ეს არჩევნები ტარდება მათთვის, ამომრჩევლისთვის და არა პოლიტიკური პარტიებისთვის. მათ უნდა გამოიჩინონ ჩვეულებრივი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და არჩევნების დღეს არ დარჩნენ შინ. საერთაშორისო თანამეგობრობამაც დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ მხარს დაუჭერს ხალხის გადაწყვეტილებას და არა სააკაშვილს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ეს უნდა იყოს სამართლიანი არჩევნები, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ქვეყანაში დესტაბილიზაციის სერიოზული საფრთხე გაჩნდეს. ჩვენ არ უნდა გვეგონოს, რომ ამ საკითხს ვინმე ქვეყნის გარეთ გადაწყვეტს, ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა გავაკეთოთ.



**— ბოლოს მინდა ისევ „ჰუმან რაითს ვოჩი“-ს კვლევას დავუბრუნდეთ. თქვენ ახსენეთ, რომ ახალი დეტალია მასში, რას გულისხმობდით?**

— დიახ, არის ერთი ახალი დეტალი, რომელიც წინა კვლევებში არ ფიგურირებდა და ჩვენი ქვეყნისთვის უკიდურესად სამწუხაროა. დასკვნაში ნახსენებია ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში მიმდინარე მოკვლევა ომის დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც სავარაუდოდ შეიძლება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მაღალჩინოსნის მხრიდან იყოს ჩადენილი. ნახსენებია ისიც, რომ ჰააგის სასამართლოს პროკურორს მოკვლევა ჯერ არ დაუსრულებია, რათა გადაწყდეს აღიძრება თუ არა სისხლის სამართლის საქმე. ამას დათმობილი აქვს ცალკე თავი. თუ ეს ასე მოხდა— პროკურორმა ჩათვალა საჭიროდ, რომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ოფიციალური წარმომადგენელი შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში, ეს, რა თქმა უნდა საქართველოსთვის, როგორც სახელმწიფოსთვის ძალიან სერიოზული დარტყმა იქნება.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# rezo WeiSvilis azriT, stalini kretini iyo, ivaniSvili cudi politikosia, saakaSvili _ ai, Cveni mama da marCenali!

ინტერვიუ
**თემურ მირიანაშვილთან**

**— ბატონო თემურ, თქვენ ბევრი რამის მომსწრე ხართ, ბევრი რომ იცით, ხომ ვერ ამიხსნით, ცალკეული პირები რატომ ემტერებიან ბიძინა ივანიშვილს?**

— დღეს, მოგეხსენებათ, მთელი საქართველო ბიძინა ივანიშვილზე ლაპარაკობს — სადაც წახვალ, მისი სახელი ისმის. პირადად მე არ შემხვედრია რიგით ადამიანებს შორის ბატონ ბიძინაზე აუგის მთქმელი. საქმე იმაშია, რომ იგი დღეს აღიქმება საშინლად მობეზრებული და შეზიზღებული სააკაშვილს ერთადერთ ალტერნატივად. მხედველობაში არ მყავს მხოლოდ ადამიანების ის კატეგორია, რომლებიც სააკაშვილის ნაპირალით იკვებებიან. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას ბატონ ბიძინას მტრებს, ზოგიერთი ცნობილი პიროვნება. მათი რაოდენობა ძალიან მცირეა — ცალი ხელის თითებზე შეიძლება ჩამოთვალო. თუმცა საქმისთვის დიდი ზიანის მიყენება შეუძლიათ: რაკი საზოგადოებისთვის ასე თუ ისე ცნობილნი არიან, შეიძლება, ხალხის რაღაც ნაწილი შეცდომაში შეიყვანონ და აფიქრებინონ, რომ ივანიშვილს სჯობს სააკაშვილი, რომელიც საქართველოს მთელ ისტორიაში ყველაზე უარესი პოლიტიკოსია.

**— საინტერესო შეფასებაა! თქვენ, ალბათ, შეძლებთ ამის დასაბუთებას, სააკაშვილისა და ჩვენი ისტორიის სხვა უარყოფითი პოლიტიკოსების დაპირისპირება-შედარებით?**

— ეს ადვილი საქმეა. თქვენს გაზეთს შეუძლია ჩაატაროს მკითხველთა გამოკითხვა: „ვინ არის საქართველოს ისტორიაში ყველაზე ცუდი პოლიტიკოსი?" დარწმუნებული ვარ, აბსოლუტური უმრავლესობა თითქმის ყველა სააკაშვილს დაასახელებს.

**— მაშ, საზოგადოებისთვის ცნობილ იმ პიროვნებებს რა მოტივაცია აქვთ, სააკაშვილს რომ ემხრობიან?**

— სააკაშვილი პრეზიდენტია, უკაცრავად, უზურპატორია, მაგრამ ფარაონის უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. მისი ლიქნიდან გულნამცეცა ადამიანები სახელსაც გამოელიან და სახრავსაც.

**— რა სახელზეა ლაპარაკი. ხალხს თავს აძულებენ...**

— ხალხის აზრი მათ ფეხებზე ჰკიდიათ. მთავარია, ფარაონს ჩაუსხდნენ ნავში... ამ მიზნით, ზოგჯერ, ისეთ სისულელეს დაბრეხვებენ, იტყვი, სააკაშვილზე გიჟები ესენი ყოფილანო!

**— იქნებ „დაბრეხვების" ერთი მაგალითი მოგვიტანოთ.**

— ამ მაგალითების გახსენებაც უსიამოვნოა, მაგრამ რაკი მთხოვთ... მწერალი რეზო ჭეიშვილი ბევრს წერს პოლიტიკაზე. მთელი „კონცეფცია" ჩამოაყალიბა. მას თუ დავუჯერებთ, იოსებ სტალინი, რომელსაც ბევრი დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნება ისტორიაში უდიდეს პოლიტიკოსად თვლის, კრეტინი ყოფილა, ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც დღეს იმედით და სასოებით შესცქერის მთელი საქართველო — ცუდი პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც მსოფლიოს წამყვანმა ფსიქიატრიულმა კლინიკებმა დაუდგინეს დიაგნოზი, ვერ არის სრულ ჭკუაზეო — აი, ჭეიშვილის აზრით, ჩვენი მამა და მარჩენალი!



**— ბატონო თემურ, რას გულისხმობთ, ტელევიზიით რომ თქვა, რეზო ჭეიშვილმა ბიძინა ივანიშვილი წლების მანძილზე ყოველთვიურად 400 ლარს მჩუქნიდა, მაგრამ როგორც პოლიტიკოსი სუსტიაო?**

— ბიძინა ივანიშვილის ამაგი ქართველ ინტელიგენციაზე, ქართულ კულტურაზე, სულიერებაზე უნიკალური მოვლენაა! უმადური ადამიანებისგან კი, როგორც ცნობილია, ყველაფერი არის მოსალოდნელი.

**— რეზო ჭეიშვილმა ისიც თქვა, ბიძინა სადღაც შემხვდა და ვერ მიცნოო.**

— მამა უცხონდა, კონსტანტინე გამსახურდია მყავს და, მთელი საქართველო უნდა იცნობდეს.

**— სტალინს რაღას ერჩის?**

— სტალინის ლანძღვა მომგებიანია დღეს, თანამედროვე მსოფლიოში ლიბერალთა ტირანიაა დამყარებული. ლიბერალები კი სტალინს ვერ იტანენ. გული უსკდებათ მკვდარი სტალინის შიშით. ასე რომ, სტალინის ლანძღვით შეიძლება რაღაცას გამორჩე დღეს გაბატონებულ ძალებს...

**— ამიტომ დაიწუნა სოსელოს უკვდავი შედევრი „დილა"?**

— ეს ლექსი ილია ჭავჭავაძემ თავისი „ივერიის" პირველ გვერდზე დაბეჭდა. იაკობ გოგებაშვილმა „დედა ენაში" შეიტანა. რეზო ჭეიშვილი კი წერს, სისულელეაო, სად გინახავთ ია და ვარდი ერთმანეთს გადახვეოდნენო?! მითუმეტეს, რომ ვარდი მაისში ჰყვავის, ია — მარტშიო... დაუჯერებელია, მაგრამ ამას ნამდვილად წერს ცნობილი მწერალი.

**— მაგასაც რომ არ სჯერდება! მახსოვს, ქართულ ხალხურ პოეზიაზეც წერს რაღაც უაზრობას.**

— ხალხურ პოეზიაში გვხვდებაო „ია-ვარდით მოფენილი საქართველო", მაგრამ ხალხურ მელექსეებს ბევრი არ მოეთხოვებათო, პროფესიონალ პოეტს კი დაფიქრება მართებსო. სტალინის „დილა" ხომ წყალში გადააგდო, ხალხურ პოეზიაზეც აგდებულად ლაპარაკობს.

**— მაპატიოს ბატონმა რეზომ, მაგრამ აბა, ვაჩე ვაჩეიშვილი და გიგილოა შედევრი?**

— მე მინდა მას ვთხოვო, გააანალიზოს ვაჟა-ფშაველას „ფშაველი ჯარისკაცის წერილის" პირველი სტრიქონი: „გულ-მკერდიც აგიყვავდება, დედაო, ია-ვარდითა"... ვის უნახავს დედის გულმკერდზე ია-ვარდი ჰყვაოდეს?! თანაც თავიანთ სეზონზე კი არა — ერთდროულად?!



რ. ჭეიშვილი ტიციან ტაბიძის სტრიქონებზეც ილადავებს:

„მე დავიბადე აპრილის თვეში გაშლილ ვაშლების ყვავილებიდან".

ვის გაუგია, იტყვის, ადამიანი ვაშლის ყვავილებიდან დაიბადოს. მედიცინის თვალსაზრისით, ადამიანის დაბადება სულ სხვანაირად ხდება.

**— მწერალი კაცი პოეზიაზე რომ ამრიგად მსჯელობს, პოლიტიკაზე მისგან რა სიბრძნეს უნდა ველოდეთ.**

— საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ რ. ჭეიშვილი აბსურდულად მსჯელობს, ხშირად იგი შეგნებულად ცრუობს და ცილისმწამებლობს. მაგალითად, ბევრს „ლაღადებს" სტალინისა და აკადემიკოს ალექსანდრ ბოგომოლეცის ურთიერთობაზე. ბოგომოლეცი ცნობილი გერონტოლოგი იყო. იგი ამტკიცებდა, მე შევქმენი მეთოდი, რომელზე დაყრდნობითაც, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია 180 წელი იცოცხლოსო. რეზო ჭეიშვილი იმაზე „ლადაობს", რომ „კრეტინმა" სტალინმა ეს სისულელე დაიჯერა და შარლატანი ბოგომოლეცი დაიახლოვა, თავის ფავორიტად გაიხადა — სტალინს იმედი ჰქონდა, ბოგომოლეცი მეც 120 წელს მაცოცხლებსო... ეს ჭორი სტალინზე შეთითხნა ცნობილმა პროვოკატორმა აბდურაჰმან ავტორხანოვმა. რეზო ჭეიშვილმა სადღაც მოჰკრა ყური ამ ჭორს და გაიმეორა იგი, ღეჭა და ღეჭა. აკადემიკოსი ბოგომოლეცი 64 წლის გარდაიცვალა, ანუ რამდენ ხანს სიცოცხლესაც სხვებს ჰპირდებოდა, თავად იმის ნახევარზე ცოტა მეტი იცოცხლა...

**— ესეც კარგი „სალადაო" თემაა.**

— კი, მაგრამ, მწერალმა კაცმა არ უნდა იკითხო, თუ არსებობს თუნდაც ერთი ფაქტი სტალინის და ბოგომოლეცის სიახლოვისა! ან თუნდაც იმისა, რომ სტალინის საერთოდ იცნობდა ბოგომოლეცს?! ისე უნდა წერო, რაც პირზე მოგადგება?! უნდა გაავრცელო პროვოკატორების ნაბოდვარი?!

**— ავტორხანოვი რით ასაბუთებს სტალინის და ბოგომოლეცის სიახლოვეს?**

— ეს ტიპიური ანტისტალინური მონაჩმახია. თავის დროზე ავტორხანოვის წიგნი პოპულარული იყო. ეს წიგნი იმით იწყება, რომ სტალინის თავის კაბინეტში ზის და ფიქრობს. ავტორხანოვი კი მის ფიქრებს ჰყვება...

**— ავტორხანოვი გულთმისანი იყო, არა? „წაიკითხა" სტალინის ფიქრები!**

— დიახ, დიახ. სხვა არავითარი საბუთები ავტორხანოვს არ მოაქვს კვლავ დაუჯერებელ ფაქტთან გვაქვს საქმე, მაგრამ პრაქტიკულად, მთელი ანტისტალინური ლიტერატურა მსგავსი იდიოტური მონაჩმახებისგან შედგება.

**— და რას „ფიქრობს" სტალინი?**

— იგი „ფიქრობს": ეხლა შემატყობინეს, რომ ბოგომოლეცი მომკვდარა, ჩემს სიცოცხლეში არც ერთი ადამიანის სიკვდილზე არ დამწყვეტია ასე გული! იმედი მქონდა, რომ ბოგომოლეცი 120 წელიწადს მაცოცხლებდა. ახლა რაღა მეშველება! უკვე ბებერი ვარ, მალე მოვკვდები! ვაი, დედა!" და სტალინი ატირდება...

**— კი მაგრამ, სტალინს უკვე გარდაცვლილი ჰყავდა დედ-მამა, ორი ცოლი, ერთი შვილი. ბოგომოლეცის სიკვდილმა ყველას სიკვდილზე მეტად როგორ წაწყვიტა გული?**

— ეგ ბატონ რეზოს უნდა ჰკითხოთ. როგორ იჯერებს ესეთ კრეტინობას?! მითუმეტეს, როგორ იმეორებს?!

**— რეზო ჭეიშვილს იქნებ ახლობლები ჰყავს რეპრესირებული?**

— თავიდან მეც ეგ ვიფიქრე. ვიკითხე. მითხრეს, რომ ჰყავს. სტალინის თემა მას აკვიატებული აქვს. მისი იდე-ფიქსია, თუ რატომ ამოიჩემა სტალინი, ამაზე ჩემი აზრი უკვე გამოვთქვი, იმ უზარმაზარ წუმპეს, რომელიც რეზო ჭეიშვილმა სტალინის ირგვლივ დააყენა, ვერ გავწვდებით ერთ პუბლიკაციაში. ამას პუბლიკაციათა სერია დასჭირდება. ამჯერად იმით დავუსვამ წერტილს სტალინის თემას, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ რეზო ჭეიშვილს: თუ მას მიაჩნია, რომ სტალინის მიმართ მის მიერ გამოთქმული მრავალრიცხოვანი ცილისწამებიდან რომელიმეს დასაბუთება შეუძლია, სცადოს. მე კი ნამდვილად დავუსაბუთებ, რომ ყველაფერი, რასაც იგი ჩვენს სახელგანთქმულ თანამემამულეზე წერს, სიცრუეა.

**— ბატონო თემურ, დავუბრუნდეთ რეზო ჭეიშვილის დამოკიდებულებას ბიძინა ივანიშვილისადმი.**

— ვფიქრობ, ბატონი რეზო განაწყენებულია ბატონ ბიძინაზე. ზოგ მწერალს იგი 400 ლარზე მეტს აძლევს. თანაც შეხვედრისას ვერ იცნო. სამაგიეროდ, სააკაშვილი იცნობს, გვერდში იყენებს. თანხასაც, ალბათ, მეტს დაჰპირდა, სააკაშვილს ძალიან უჭირს მის მიერ „ჩარეცხილი" ინტელიგენციის მხარდაჭერა...

როდესაც კაცი თავისი, როგორც მწერლის ავტორიტეტს ეფარება და საქართველოსთვის საბედისწერო, სამკვდრო-სასიცოცხლო მომენტში სააკაშვილის შიზოფრენიული ტირანიის გაგრძელებისთვის იბრძვის, უნდა ვუჩვენოთ ხალხს ეს მწერალი, რა მწერალია: რეზო ჭეიშვილმა საოცრად ცუდად იცის ქართული ენა, თითქმის ყველა აბზაცში შეცდომებს უშვებს. მას არ შეუქმნია არც ერთი პერსონაჟი, რომელიც დამკვირვებელი იყოს ქართველი ხალხის ცნობიერებაში, ანუ გახალხურებულიყოს. ეს იგივეა, რომ ცნობილი პოეტის არცერთი ლექსი არ იყოს გახალხურებული...

**მაია ჭელიძე**

# davelodoT 14 Tebervals

*ვესაუბრებით საზოგადოებრივი მოძრაობა “ქართული ოცნების” სათაო ოფისის ხელმძღვანელს **მაია ფანჯიკიძეს**.*

**— ოვალურ კაბინეტში აშშ-საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრას ჩვენი ქვეყნისათვის პოტენციურად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამის შესახებ ერთხმად აღნიშნავს ხელისუფლებაც, ოპოზიციაც და მედიაც. რა იყო უმთავრესი ამ შეხვედრაში?**

— საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს აშშ-ში, შეხვედრას უმაღლეს დონეზე, რასაკვირველია, ძალიან დადებითად ვაფასებ. ?ოგორც არ უნდა ეცადოს ხელისუფლება, რომ ეს წარმოაჩინოს, მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებულ კეთილი ნების ჟესტად, ეს პირველ რიგში საქართველოსთვის გამოცხადებული მხარდაჭერაა, რადგანაც ამ ვიზიტით ხაზი ესმევა საქართველოს, როგორც აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორის მნიშვნელობას.

ამ ვიზიტს კიდევ იმ მხრივაც აქვს მნიშვნელობა, რომ მასზე რამდენიმე კონკრეტული საკითხი დამუშავდა. ერთ-ერთი ასეთი საკითხია საქართველოს აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის თემა. მართალია, თარიღები არ სახელდება, თუ როდის დაიწყება მოლაპარაკებები და რა სახეს მიიღებს ეს ყველაფერი, მაგრამ თავისთავად, ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკონომიკაში რაღაც დადებითი მოხდება, მთელი ქვეყნისათვის არის ძალიან კარგი.

ასევე, ხაზი გაესვა, საქართველოს, როგორც სანდო პარტნიორის მნიშვნელობას სამხედრო ოპერაციებში, რაც ასევე ძალიან კარგია. მნიშვნელოვანია ის განცხადებაც, რომ საქართველოსათვის ნატოს კარი ღიად რჩება. ეს ქვეყნის განვითარების უახლოესი პერსპექტივებია. მაგრამ მაინც, სააკაშვილი-ობამას შეხვედრისას ყველაზე აქტუალური არჩევნების შესახებ გაკეთებული განცხადებაა. არჩევნები კარს არის მომდგარი, საუკეთესო შემთხვევაში 8 თვე დარჩა. ობამას განცხადება იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიის განვითარებას და ამით არსებული რეფორმების კიდევ უფრო განმტკიცებას, მნიშვნელოვანი გზავნილია.

როდესაც აშშ-ს პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტს მოუწოდებს, ჩაატაროს დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ამ მხრივ აქამდე ჩატარებულ არჩევნებს მაინცდამაინც დადებითად არ უნდა აფასებდეს. ეს იყო ეეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილი საქართველოსათვის და კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

**— ვაშინგტონის შეხვედრას წინ უსწრებდა ბიძინა ივანიშვილის მიმართვა პრეზიდენტ ობამასადმი, რომელიც 30 იანვარს Washington Post და New Your Time-ში გამოქვეყნდა. რამდენად იმოქმედებდა ეს პუბლიკაცია უმაღლესი დონის შეხვედრის არა ფორმატზე, არამედ კონტექსტზე?**

— აუცილებლად იმოქმედებდა. ეს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცემაა შტატებში, სადაც შემთხვევით არაფერი იბეჭდება.ხელისუფლების მიმართ სიმპათიით განწყობილი ტელევიზიებიდან და გამოცემებიდან მოვისმინე ან წავიკითხე, რომ ამ პუბლიკაციაში ბიძინა ივანიშვილმა ფული გადაიხადა, სარეკლამო ადგილი იყიდა და რატომ არ დაბეჭდავდნენო? რასაკვირველია, ეს ასე არაა. ეს არის მიღებული ფორმა, ხელისუფლება მას ხშირად მიმართავს, როცა ცდილობს კონკრეტული გზავნილი ვიღაცის ყურამდე მივიდეს. განსხვავება ხელისუფლების ამ მეთოდსა და ივანიშვილის მიმართვის გამოქვეყნებას შორის ის არის, რომ ხელისუფლება ამაში ბიუჯეტის, ანუ ჩვენ ფულს იხდის, ივანიშვილმა კი — საკუთარი გადაიხადა.

მთავარი ისაა, რომ ამ თანამიმდევრობით - დავწერ, გადავიხდი და თქვენ დაბეჭდეთ, ამ გაზეთებში ვინმეს ნააზრევის გამოქვეყნება არ ხდება. ეს ორი გამოცემა ძალიან მნიშვნელოვანია შტატებში და ძალიან დიდ ყურადღებას ანიჭებს იმას, თუ ვისი ნააზრევი იბეჭდება მათ ფურცლებზე. ეს იქნებოდა სერიოზული გზავნილი ამერიკული საზოგადოებისათვის. რედაქციის მინაწერში აღნიშნული იყო, თუ ვინ არის ბიძინა ივანიშვილი, ასევე ისიც, რომ მას საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთვა, რითაც ხელი ეშლება მის პოლიტიკურ აქტიურობას. ასე რომ, შტატების პრეზიდენტი საქართველოს სრულ სურათს დაინახავდა - ხელისუფლების და ოპოზიციის ხმას.

საზოგადოება თებერვლის ბოლოსათვის ელოდება ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტას...

14 თებერვალს გადის ის 2 თვე, რომელიც არის განსაზღვრული ამა თუ იმ პირისთვის ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მინიჭების საკითხის გადასაჭრელად. 14 თებერვალს გვეცოდინება, რა გადაწყვეტილება მიიღო ხელისუფლებამ.



**— რამდენიმე დღის წინ საინფორმაციო სააგენტოებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ივანიშვილისათვის მოქალაქეობის აღდგენაზე უარის მიღების შემთხვევაში, ამ მოთხოვნაზე ხელისმომწერი ადამიანები საპროტესტო აქციებს გამართავენ. რა შედეგს მოიტანს ეს?**

— ჩემთვის ეს უცნობი ინფორმაციაა.”ქართული ოცნებისათვის” ამ იდეით ან წინადადებით არავის მოუმართავს. ყველა შემთხვევაში, დაველოდოთ 14 თებერვალს, ეს მნიშვნელოვანია ყველასათვის, უპირველესად კი - ბიძინა ივანიშვილისათვის. თუკი 14 თებერვალს უარი მივიღეთ, არა მგონია, ქუჩის აქციებით შედეგი შეიცვალოს. იურისტებთან ერთად გამოინახება სხვა გზები. ჯერჯერობით, ნაადრევია ყველა დასკვნა.



**— საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება” თითქმის 2 თვეა, რაც დაფუძნდა.საზოგადოების ნაწილი, მიუხედავად მათი პოლიტიკური გემოვნებისა, ერთიანდება მოძრაობაში. მოლოდინის რეჟიმი კვლავ მაღალია. რამდენად მისაღებია ”ქართულ ოცნებაში” იმ განაწყენებული ადამიანების ”შემობრუნება” აქტიური პროცესებისაკენ, რომელნიც უკანასკნელ წლებში ჩრდილში დგომას არჩევდნენ?**

— ანუ წინა მთავრობებისაგან განაწყენებული ადამიანების გააქტიურება რამდენად მისაღებია? ყველა ადამიანის აქტიურობა მისაღებია საზოგადოებრივი მოძრაობისათვის. არ ვიცი, ამ ნიშნით მოდიან თუ არა, რასაკვირველია, ასეთი ადამიანებიც არსებობენ. მაგრამ ეს არ არის ”ქართულ ოცნებაში” ადამიანების მოსვლის მთავარი მიზეზი. მოდიან ახალგაზრდები - 18-19 წლის ბავშვები, რომლებიც ვერ მოასწრებდნენ ხელისუფლებაზე განაწყენებას, მათ თანამდებობები არ ჰქონიათ, რომ დაეკარაგათ. ადამიანები აქ მოდიან მხოლოდ იმის გამო, რომ არ მოსწონთ ის, რასაც ხედავენ ქვეყანაში, უნდათ უკეთესი ქვეყანა და აქვთ იმედი, რომ საკუთარი აქტიურობით, ამ მოძრაობაში ჩართულობით, მიაღწევენ ცვლილებებს. მარტივი მოტივაციაა.

**— უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მსგავსი მასშტაბის საზოგადოებრივი მოძრაობა ფაქტიურად არ ყოფილა. ქართული საზოგადოება დიდხან ელოდებოდა ქართველ ლეხ კაჩინსკის, მაგრამ გამოჩნდა - ბიძინა ივანიშვილი. რა არის ის მთავარი, რაზეც აიგო „ქართული ოცნება“?**

— საინტერესო თეზისია. ასეთი ჩართული საზოგადოება მხოლოდ ეროვნულ მოძრაობაში იყო, როცა მთელი ქვეყანა ატაცებული იყო დამოუკიდებლობის იდეით, მაგრამ სხვა კონტექსტში. ახლა რაც ხდება, მართლაც უნიკალური მოვლენაა საქართველოს ისტორიაში, შესაძლოა სხვა ქვეყნებისთვისაც. საზოგადოების ყველა ფენა, ასაკის, შეხედულებების, განაწყენება-გაუნაწყენებლობის ნიშნის მიუხედავად, ცდილობს თეორიული, კონცეპტუალური ცოდნა ჩადოს იმ საქმეში, რასაც საქართველოს მომავალი ჰქვია; ცდილობს, იმუშაოს იმ საკითხებზე, რომლებზეც ადრე მხოლოდ კაბინეტებში ჩაკეტილი ჩინოვნიკები მუშაობდნენ. მათ აქვთ ის განცდა, რომელიც სურთ სხვებსაც გადასდონ, რომ თვითონ მონაწილეობენ საკუთარი ქვეყნის მომავლის შექმნაში.

**— რამდენად არიან სამუშაო პროცესში ჩართულნი ქართველი ემიგრანტები, რომელთა არაოფიციალური რიცხვი მილიონამდე ადამიანს შეადგენს?**

— ,,ქართული ოცნების” საგარეო პოლიტიკის ჯგუფში დიასპორის ქვეჯგუფს დიპლომატი კოტე სურგულაძე ხელმძღვანელობს. ჩვენ მოგვდის ბევრი წერილი, მოდის საქართველოს ბევრი მოქალაქე, რომელიც დროებით არის ჩამოსული უცხოეთიდან, გვთავაზობენ დახმარებას, იდეებს. საბერძნეთი, გერმანია, დანია, შვედეთი, კანადა - ეს არასრული ჩამონათვალია იმ ქვეყნებისა, საიდანაც ქარველები საკუთარი ქვეყნის განვითარებაში მონაწილეობისათვის მზად არიან. ჩვენ ძალიან მალე დავუკავშირდებით ამ ხალხს და სხვადასხვა გზით ჩავრთავთ საზოგადოებრივ მოძრაობაში, უცხოეთში გამოდის ქართული გაზეთები, არის ინტერნეტ-გამოცემები. ქართველ ემიგრანტებს აქვთ სურვილი, რომ ჩაერთონ არჩევნებში და უზრუნველყონ სამართლიანი არჩევნების ჩატარება, როგორც დამკვირვებლებმა, კომისიის წევრებმა და ა.შ. თუკი სტატისტიკა - 1 მილიონი ემიგრანტი, მართალია, ამომრჩეველთა რიცხვი შესაბამისად, ძალიან მაღალი იქნება, ეს დასაკარგი ხმები ნამდვილად არავისთვის არ არის.

**— როდის გახდება საზოგადოებისათვის ცნობილი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური პარტიის შემადგენლობა?**

— ჯერ დაველოდოთ 14 თებერვალს. ამ დღის შემდეგ უფრო მკაფიო კონტურებს მიიღებს ივანიშვილის გეგმები. ამ თარიღიდან ძალიან მალე გაკეთდება პირველი პოლიტიკური განცხადება სწორედ იმ კოალიციის და პარტნიორების შესახებ, რომელსაც თავის გარშემო მოიაზრებს ივანიშვილი. ყველაფერი ძალიან მალე მოხდება.

**ნინო ფირცხალავა**

## ეკატერინე ხვედელიძის პოლიტიკური პარტიის საინიციატივო ჯგუფი მომდევნო კვირაში გამოცხადდება



ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინა ხვედელიძე საქართველოში პოლიტიკური პარტიის დაარსების პროცედურებს, სავარაუდოდ, მომდევნო კვირიდან დაიწყებს.

როგორც „მედიანიუსს“ ივანიშვილის კოალიციაში შემავალი პარტიის — რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა თინათინ ხიდაშელმა განუცხადა, მომდევნო კვირის განმავლობაში ხვედელიძის პარტიის საინიციატივო ჯგუფი გამოცხადდება. რაც შეეხება იმას, თუ ვინ არიან პარტიის საინიციატივო ჯგუფის წვრები, ამ ეტაპზე ხიდაშელი მათი დასახელებისაგან თავს იკავებს.

„ყველაფერს გაიგებთ მაშინ, როცა ეს ჯგუფი გამოცხადდება“, — განაცხადა ხიდაშელმა და დასძინა, რომ ამის შემდეგ პარტია, სავარაუდოდ, მოკლე დროში დაფუძნდება.

## პუტინი ნატო-ს დაშლის მომხრეა

რუსეთის პრემიერი ვლადიმერ პუტინი ოპოზიციონერ ვლადიმერ ჟირინოვსკის ინიციატივას, რომლის თანახმადაც, რუსეთმა ევროკავშირს ნატოს დაშლის სანაცვლოდ ფინანსური მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს, არ ეთანხმება.



როგორც პუტინმა ჟირინოვსკის ინიციატივის შეფასებისას განაცხადა, ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანა რუსეთზე მდიდარია.

რაც შეეხება ნატოს დაშლის საკითხს, აქ პუტინი ჟირინოვსკის ეთანხმება.

„ნატო დღეს არავის სჭირდება. ეს ალიანსი ცივი ომის გადმონაშთია. ვლადიმერ ვოლფოვიჩ, ყოჩაღ“, — განაცხადა პუტინმა.

**„მედიანიუსი“**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# biZina ivaniSvili:

# es xelisufleba ver SeaCerebs Cvens gamarjvebas!

***ფრაგმენტები ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუდან***

„საპარლამენტო არჩევნებში წარმატების შემთხვევაში, მე და ჩემი პოლიტიკური პარტნიორები ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ სრულიად განვახორციელებთ საქართველოს მიერ დეკლარირებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს და ჩამოვაყალიბებთ მრავალპარტიულ, პოლიტიკურ სისტემას. ამიტომ, ჩვენ ვარწმუნებთ ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერებს და მთელ დემოკრატიულ თანამეგობრობას, ხელი შეუწყონ და წაახალისონ ქვეყნის სვლა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ და იმავდროულად, გამოიყენონ ყველა შესაძლო რესურსი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად ჩვენი მოქალაქეებისთვის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე“.

„დიახ, სააკაშვილმა სხვა უნდა ძალას გადასცეს ხელისუფლება და უნდა გადასცეს ყოველგვარი წესებისა და კანონების დაცვით! ნათლად იგულისხმება, რომ სააკაშვილი ნებისმიერი ფორმით, აღარც და ვეღარც უნდა დარჩეს ხელისუფლებაში! მეტიც, მგონი, მაკ კეინმაც კი უთხრა სააკაშვილს — შენ პრემიერად ვერ დარჩებიო... მათაც ასე წარმოუდგენიათ, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში აღარ უნდა იყოს“.

„ხალხს დღეს გაღიზიანება კი არა, მოფერება სჭირდება და იმის ახსნა, როგორ, რა ფორმით დავამარცხოთ ეს რეჟიმი და კონსტიტუციური, მშვიდობიანი, საარჩევნო გზით როგორ გავუშვათ პოლიტიკური არენიდან სააკაშვილის ხელისუფლება“!

„ალბათ, მოვა დრო, როდესაც დეტალურად მოვყვები, რა რეაქციაც გქონდა სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებითაც! არ მინდა, ტრაბახად ჩამითვალოს ვინმემ, მაგრამ დიახ — არც თავი მაქვს სამართლებელი! მე არ ვყოფილვარ საჯარო ფიგურა, მაგრამ სადაც ვიყავი და სადაც მიწევდა პოზიციების დაფიქსირება, საკმაოდ მკვეთრი განცხადებები მაქვს გაკეთებული! ეს არის სიმართლე და გიმეორებთ: არსებობენ ადამიანები, რომლებმაც მკაფიოდ იციან გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია და გიმეორებთ: ჩემი პოზიცია იყო ძალიან მკვეთრი და უარყოფითი! თუმცა, მე რომ ხმამაღლა დამეფიქსირებინა ჩემი პოზიცია, ეს უკვე პოლიტიკაში ჩემს შემოსვლას ნიშნავდა“!

— „ისეთივე დარწმუნებით გეტყვით, როგორც ამ რამდენიმე თვის წინ ვამბობდი: ჩვენ ორი მესამედით მოვალთ პარლამენტში! რა თქმა უნდა, შესაძლოა, კითხვები რესპუბლიკელთა ყველა წევრის მიმართ მოძებნოთ, ასეთი თუ ისეთი, მაგრამ ჩემთვის არ არსებობს ისეთი მძიმე კითხვა, რომელიც მათ ორმაგ თამაშში დამარწმუნებდა... ასეთებთან, ვინც დარჩა ქართულ პოლიტიკაში, სხვადასხვა ფორმით ყველასთან ვაპირებ თანამშრომლობას. ყველასთან, ვისაც ცრუ პოზიცია არ აქვს! მეტიც, იმათთანაც კი ვითანამშრომლებ, ვისაც შეშლია ოდესმე რაიმე და შემდეგ ულიარებია! ვისაც გულწრფელად ულიარებია და ვინც საკუთარი თავის საკეთილდღეოდ პირადი გამორჩენით, შეგნებულად არ ცრუობდა და ხალხს, საზოგადოებას არ ატყუებდა“!

„ჩემთვის პრინციპული ხაზი გავლებული იყო იქ, რომ ბურჯანაძე არ თამაშობდა. მას ჰქონდა გამოცდილება, თანამოაზრეთა კარგი გუნდით იყო წარმოდგენილი „სახალხო კრების“ სახით, მაგრამ მისი პოზიცია — ბრძოლის არენა გადაიტანოს ქუჩაში — მიუღებელია! სხვა გზა არ ჩანს — ჩვენ ერთად ვერ ვიდგებით! ძირითადი განსხვავება ჩვენი პროდასავლური პოზიციებია, რომელსაც ნინო არ იზიარებს“...

„ამერიკის ელჩთან ბასთან შეხვედრისაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: მე დარწმუნებული ვარ, რომ მოვალთ ხელისუფლებაში და ისიც ვიცი, რომ საჭირო იქნება, დაველაპარაკოთ რუსეთის ხელისუფლებასაც! რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, როცა თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებს ვამყარებთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მაგრამ არც რუსეთის ბაზრის ზერელედ ხსენებაა სასურველი რამ... უდიდესი ბაზარია... და, რაც მთავარია, რუსეთში მოღვაწეობით მილიონზე მეტი ჩვენი თანამოქალაქე ირჩენს თავს და არჩენს ოჯახებს... ეს უნდა დავივიწყოთ“?

„მე არ ვთვლი, რომ ვეხმარებოდი პირადად სააკაშვილს და მის მთავრობას! მე ვთვლიდი და გულწრფელად ვთვლი დღესაც, რომ მხოლოდ ჩემს სამშობლოს და ჩემს ქვეყანას ვეხმარებოდი! მეტიც: ხმამაღლა ვაცხადებ და ამის მოწმე კობა დავითაშვილიც არის, რომელსაც ტყუილს მართლა ვერანაირად ვერ ათქმევინებს ვერავინ და რომელიც სიცრუეში ძმასაც არ დაზოგავს: კორუფციასთან ბრძოლა ჩემი ინიციატივით მოხდა, ჩემი ოცნება იყო კორუფციის დამარცხება და რაღაც ფორმით ეს შევძელით კიდეც, თორემ დღეს კი ვუყურებთ სააკაშვილს და ვხედავთ, რასაც და როგორ აკეთებს, როგორ გაამწაროს ხალხი, სულ იმის ფიქრშია“!

„დიახ, მე გაცილებით ადრე უნდა გამეგო, ვინ იყვნენ ესენი და მაინცდამაინც 7 ნოემბერი არ უნდა გამხდარიყო ჩემთვის ამ ყველაფერზე „ფარდის ამხდელი“! სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ მე დისტანცირებას ვახდენდი სააკაშვილისგან, მაგრამ არა იმ დოზით, თურმე, რა დოზითაც საჭირო ყოფილა“!

— „ისტორიულად „სამაჩაბლო“ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის მხოლოდ ერთი ნაწილია და, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით „სამხრეთ ოსეთად“ მოხსენიება უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია. გულწრფელად გეტყვით, ახალი სახის დაპირისპირებებისგან თავი უნდა შევიკავოთ, რადგან არც საამისო ძალა გვაქვს და არც სურვილი, ასე მგონია“...

„ბევრი ზვიად გამსახურდიას სახელს ამოეფარება ხოლმე და ისე ცდილობს პოლიტიკური ქულების დაგროვებას. ის იყო პატრიოტი კაცი, რომელიც არ ცრუობდა, როგორც სააკაშვილი ცრუობს! ამას ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს... ზვიადს გულწრფელად უყვარდა სამშობლო და მისი ღვაწლი ქვეყნისთვის დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში უდიდესია! გიმეორებთ: ზვიადი ჩემთვის, გულში, გულის სიღრმეში პოზიტიური პიროვნება და პატრიოტი კაცია“!



„საზოგადოება რადიკალიზმს შეეჩვია ბოლო წლების განმავლობაში. ვთვლი, რომ, თუ მსგავსი პოზიცია აქვს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ჩემთან და ჩემი გუნდის ქმედებებთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში, მათი პოზიცია არასწორია. ისინი ანალიზს განვლილი წლების განმავლობაში მომხდარი მოვლენების ფონზე აკეთებენ, მე კი მიმაჩნია, რომ ყველაფერი სწორად კეთდება და სწორი მიმართულებით მოდის! ქართველები რომ სულსწრაფები ვართ, არც ეს არის, ვფიქრობ, ვინმესთვის უცხო, ადეკვატურად უნდა შევაფასოთ პროცესები“...

„დამშვიდდით, ყველა ნაბიჯი გათვლილია და სანერვიულო არაფერია! ყველაფერი დროულად და ძალიან კარგად იქნება! დღეს ჩვენი მუშაობის ძირითადი აქცენტი პარტიის მშენებლობაზეა გადასული. საზოგადოებრივი მოძრაობა ამ ეტაპზე ერეკლეს მოედანზე მდებარე ოფისში გააგრძელებს საქმიანობას და მის ხელმძღვანელად ჯერჯერობით მე ვრჩები, ვინაიდან არსებული კანონმდებლობის თანახმად, მოქალაქეობის არმქონე პირებს ეკრძალებათ პარტიული საქმიანობა. პარტიას ამ ეტაპზე ჩემი მეუღლე უხელმძღვანელებს, თუმცა, წეღანაც აღვნიშნე და გავიმეორებ... ვფიქრობ, რომ ჩემი მოქალაქეობის საკითხი ძალიან მალე დადებითად გადაწყდება, რადგან სააკაშვილს სხვა ალტერნატივა არ გააჩნია და აქედან გამომდინარე, პარტიის პირველი ნომერიც მე ვიქნები... თუმცა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილი ყველაფრის უფლებას აძლევს საკუთარ თავს და შესაძლოა, ერთი-ორი პროცენტით დავუშვათ ის, რომ მე ვერ მივიღებ მოქალაქეობას, ამ შემთხვევაში ჩემი მეუღლე გააგრძელებს პარტიის ხელმძღვანელობას“...

„მე ჩვენს ხალხს ვაძლევ ერთადერთი პირობას — ვიქნები განუხრელად დამცველი იმ პოზიციებისა, რაც გვაქვს! ძალიან იშვიათად ვდებ პირობას, არ მიყვარს შეპირებები და ძალიან ვერიდები ამას, მაგრამ ქართველ ხალხს ერთადერთს ნამდვილად ვპირდები — რასაც ვაცხადებ და რა მიზნებითაც შემოვედი პოლიტიკაში, განუხრელად ვიქნები მისი დამცველი! ყველა ჩემი განცხადება გულწრფელია და პირდაპირ გეტყვით: ოთხმოცდაათი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ უმრავლესობით მოვალთ ხელისუფლებაში! სააკაშვილს გაცნობიერებული აქვს ჩემი შესაძლებლობები და ამიტომაც ეშინია! როგორც გაზაფხულის მოსვლას ვერ შეაჩერებს, ისე ვერ შეაჩერებს ჩვენს გამარჯვებას ეს ხელისუფლება“!

**(გაზ. „ასავალ-დასავალი“ №6, 2012 წელი)**

# vin Zarcvavs saqarTvelos erovnul saganZurs rabedielis uZveles Sedevrs `kus yelsabams~?

თემა სახიფათოა, თუმცა არა იმაზე სახიფათო, როგორიც საქართველოს დაკარგვაა. ამ თემაზე განგაში და ხმაური რამოდენიმე წლის წინ მას შემდეგ ავტეხე, რაც ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლებმა ჩუმად მაცნობეს, რომ იქ, სურათების, სამუზეუმო კატალოგების გადანომრვა და ჩარჩოების გამალებული შეცვლა მიმდინარეობდა. (ძირითადად, გუდიაშვილისა და ფიროსმანის ნახატებზე იყო საუბარი) ამის პარალელურად, კულტურის სამინისტროსგან დაისვა "ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის **"ოქროს ფონდიდან" ქართული სიწმინდეების** გატანის საკითხიც. მანამდე კი... სანდო (საპარლამენტო) წყაროზე დაყრდნობით, დავით ლორთქიფანიძე ორ დეპუტატთან ერთად ამერიკაში გახლდათ. იქედან ჩამოსვლის შემდეგ კი საბერძნეთიდან რესტავრატორები მოიწვია. (ფაქტი საჯაროდ არ გახმაურებულა) რესტავრატორებმა, ოქროს დნობის ისეთი ტექნოლოგია ჩამოიტანეს, რა ტექნოლოგიით დამზადებული ნივთის ორიგინალისგან გარჩევა სპეციალისტისთვისაც კი სპექტრული ანალიზის გარეშე შეუძლებელია. იმთავითვე გამიჩნდა კითხვა - რატომ მაინცა და მაინც ბერძნები და არა ქართველები, ან ნებისმიერი სხვა? ვინც ხელოვნებათმცოდნე, რესტავრატორი ან უბრალოდ, ხელოვნებაში გარკვეული ადამიანია, იცის, რომ ქართული ლითონზე პლასტიკის ნიმუშებსა და ბიზანტიურს შორის (საბერძნეთი ბიზანტიის მემკვიდრეა) საერთო ბევრი აქვთ. რომელი ექსპონატის რესტავრაციისთვის იქნენ ჩამოყვანილი ეს სპეციალისტები? რატომ არ იქნენ მოწვეულნი ქართველი სპეციალისტები? (ალბათ, იმიტომ, რომ გახმაურდებოდა ის, რასაც აპირებდნენ) ჩემი საგაზეთო სტატიის შემდეგ საპატრიარქოსთან არსებული "სიწმინდეების მოძიების სააგენტო" დამიკავშირდა. მათ რის ვაი-ვაგლახით შეუღწევიათ კულტურის სამინისტროში, სადაც უპასუხეს, რომ ქართული სიწმინდეები საექსპოზიციოდ ევროპის ქვეყნებშია წაღებული. სამშობლოში უკან დაბრუნების დროდ კი მაისის თვეა მითითებული. ოღონდ რომელი წლის 2010, 2050, თუ 2080 წლის მაისია — დოკუმენტში მითითებული არ არის. ჩემი გვარის პატრონს (მოგეხსენებათ, ამაშუკელი გახლავართ), თანაც არაოფიციალურ პირს კულტურის სამინისტროში მისვლა არც კი მიცდია. ოფიციალური მოთხოვნით ვინ შემიშვებდა? ამდენად, ერთადერთ გზად ისევ პრესა, მედია და საზოგადოება რჩებოდა. პრესის ფურცლებზე ამის შესახებ ბევრჯერ დავწერე. საზოგადოებრივმა მოძრაობამ "საქართველოს გადარჩენისთვის" ამაზე აქციაც გავმართეთ "ს.ჯანაშიას სახელობის ისტორიისა მუზეუმთან" პოლიტიკურ გაერთანება "ეროვნული ალიანსი- საქართველოს სამეფოსთან" ერთად.

ამ ექსპონატების (სიწმინდეების) გატანაზე საუბარი "ვარდების რევოლუციამდე", მამაჩემის — რეზო ამაშუკელის კულტურის მინისტრის მოადგილეობის დროს დაიწყო. "რეფორმატორებს", მაშინდელ "მოქკავშირს", სიწმინდეებზე "თვალი იმთავითვე ეჭირათ". მამა და აწ მოკლული **(სწორედ მოკლული)** გურამ შარაძე, ამ თემაზე გადაცემაშიც კი მონაწილეობდნენ. სიწმინდეების გატანით მაშინ ამერიკელი გრეგ გუროვი იყო დაინტერესებული. ზუსტად არ მახსოვს ექსპონატების ჩამონათვალი, მაგრამ ბედიის ბარძიმზე (გაერთანებული საქართველოს სიმბოლო. მისგან ქართველი მეფეები ეზიარებოდნენ.) და "ლაილაშის ბიბლიის" ერთ-ერთ



გვერდზე— საუბარი ნამდვილად იყო. მამაჩემის საბოლოო პასუხი იყო, რომ ყველაფერს პატრიარქის სიტყვა გადაწყვეტდა. პატრიარქმა კი ბრძანა: "საქართველოს დიდი განსაცდელი ელის და თავისი სიწმინდეების მფარველობის ქვეშ უნდა იყოსო". (არ გამოვრიცხავ, პატრიარქი ანტიმართლმადიდებელი ხელისუფლების მომავალ ულმერთო საქციელს წინასწარ გრძნობდა?!) შესაბამისად, ეროვნული ქართული სიწმინდეები და კულტურული მემკვიდრეობა, მაშინ საქართველოში დარჩა. მაგრამ დარჩა "გუროვის მაგვართა" ინტერესი ქართული სიწმინდეებისადმი. "ნაციონალების" დანიშნული დავით ლორთქიფანიძის მიერ ჩატარებული ამ "მანიპულაციების" შემდეგ განხორციელდა გურამ შარაძეზე თავდასხმა და მკვლელობაც. ჩემი ეჭვი იმაზე, რომ ეს მკვლელობა სიწმინდეების გატანას უკავშირდებოდა — ბატონი გურამის ქალიშვილმა, რუსუდან შარაძემაც დამიდასტურა. (გურამ შარაძე მათი გატანის სასტიკი წინაალმდეგი იყო) გურამ შარაძის მკველობიდან რამოდენიმე დღის შემდეგ, ამჯერად, უკვე გრეგ გუროვის ძმის თაოსნობითა და კულტურის სამინისტროს თანხმობით, ქართული სიწმინდეები და ჩვენი ეროვნული სგანაძური გატანილი იქნა. რუსიკო შარაძემ ისიც მითხრა: "დედაჩემი იმ პერიოდში ვის არ ურეკავდა, მაგრამ არავინ გამოეხმაურაო. ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლები, რასაკვირეველია, კატეგორიულად უარყოფენ სიწმინდეებთან დაკავშირებულ მსგავს ფაქტებს. (მათ არავინ ეკითხება არაფერს. ამას კულტურის სამინისტრო და "ზემდგომი ორგანოები" წყვეტენ.) ხელისუფლებასთან "საქმის დაჭერაც" არავის უნდა. ჩემთვის რომელიღაც გაზეთიდან რომელიღაც თანამშრომელს აპასუხებინეს კიდეც: "ქალბატონი ბაია სიმართლეს არ ამბობს— წაღებული არაფერიაო". თუმცა მივყვეთ ლოგიკას. სიწმინდეები რომ გატანილია, ეს "სიწმინდეების მოძიების სააგნეტოს" კულტურის სამინისტროში დაუდასტურეს. თუ სიწმინდეები ნამდვილად საექსპოზიციოდ წაიღეს, ამაზე, პირველ რიგში, პატრიარქი და არა დავით ლორთქიფანიძის, ან კულტურის მინისტრის ნებართვა იყო საჭირო. პატრიარქის ამ საკითხთან დამოკიდებულებაზე უკვე მოგახსენეთ. პატრიარქიც ამას მთელი საზოგადოების განსახილველად აქცევდა. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისთვის და ვითომ ტურისტების მოსაზიდად, "მულიაჟი" (ასლები) უნდა წაღებულიყო და არა ორიგინალები. არავინ დაიჯეროს, რომ "ლუვრიდან", "პრადოდან" ან სხვა მუზეუმებიდან როდესმე ორიგინალები გადის საგამოფენოდ უცხოეთში. ორიგინალი ყოველთვის ქვეყანაში რჩება. ტრანსპოტრირებას კი, საუცხოოდ შესრულებული ასლი ექვემდებარება, რომლის გარჩევაც დამთვალიერებელს არ შეუძლია. თავის კულტურულ მემკვიდრეობას საფრთხის ქვეშ არც ერთი ქვეყანა არ აყენებს. ასლების დამზადების შემთხვევაში, მათი გაყიდვით ტურისტების მიერ შეძენილი თანხები კულტურის სამინისტროში შევიდოდა, მათზე მომუშავე ხელოსნებიც მიიღებდნენ გასამრჯელოს. მაგრამ ორიგინალების გაყიდვით, მილიონებისა და მილიარდების შოვნა შეიძლება და ფულზე დახარბებულ ანტიეროვნულ ხელისუფლებას ამაზე უარის თქმა გაუჭირდებოდა! ან ამ წაღებული ექსპონატების რომელიმე ქვეყნაში გამოფენის შესახებ რამე ცნობა თუ გსმენიათ? ასეთი ფაქტის შემთხვევაში, დამერწმუნეთ, ყურებს გამოგვიჭედავდნენ. თავად პრეზიდენტი იტრაბახებდა ამით. მხოლოდ ამას წინათ, ისიც გაკვრით, საინფორმაციო საშუალებებში გავიდა ცნობა ქართული კულტურის გამოფენის შესახებ. რა ექსპონატებზე იყო საუბარი, არ თქმულა.



(შესაძლებელია, ხევსურული თექებიც და ჩურჩხებიც ყოფილიყო) აქვე დავამატებ, რომ **სვანეთის სიწმინდეების** გატანაზე გახმაურებული ამბავიც, ოქროს ფონდის სიწმინდეებს და **სიწმინდეებისა და ჩვენი კულტუტული მემკვიდრეობის საქართველოდან გატანის თემას** უკავშირდება. ომიანობის დროს საქართველოს ყველა კუთხიდან ქართულ სიწმინდეებს ქართველები სვანეთში მალავდნენ. დღეს ყოველგვარი პირობების დაცვის გარეშე ღია ცის ქვეშ ე.წ. "საგანგებოდ აგებულ სათავსოებში" ჩაყრილ სიწმინდეებზე (შესაბამისად, დაკარგულზეც) პასუხისმგებელი არავინ იქნება.

საზოგადოებისთვის ცნობილი არც ის გახლავთ, "ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდიდან" რომელი და რამდენი ექსპონატი იქნა გატანილი? რა მდგომარეობაში იყო ისინი მანამდე? თუმცა საზოგადოებამ დანაშაული ჯერ კიდევ მაშინ ჩაიდინა, როდესაც ხელისუფლების მიერ, აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ბუშის ვიზიტისთვის ქართული საზოგადოებისგან დაუკითხავად, ფიროსმანის ნახატების პარლამენტში საგამოფენოდ გადატანას გაუჩუმდა.

მუზეუმის ფონდში ექსპონატების აღსაწერად შესვლა დღესაც მკაცრად შეზღუდულია. თანამშრომლების დუმილი და შიშიც გასაგებია, მაგრამ საქმე ჩემს, შენს, ან ვინმე კონკრეტული პირის ქონებას რომ ეხებოდეს, კიდევ გაიგებდა ადამიანი. საუბარი ეროვნულ საგანძურზე, ჩვენი შვილებისა და მთელი ერის კულტურულ მემკვიდრეობაზე და არა რაღაც საწარმოზე, ან ბიზნესზეა. ჯანსაღად მოაზროვნე ერის მომავალზე მზრუნავი ერი თავის კულტურულ მემკვიდრეობას თავს დაჰფოფინებს და ელოლიავება. კულტურული მემკვიდრეობისადმი ასეთი ვანდალური საქციელი არც ერთ ხელისუფლებას არ ჩაუდენია, გარდა ბოლშევიკი ათეისტებისა. ტროცკის ხელით, ზუსტად ასე გაიზიდა და გაიყიდა მართლმადიდებლური სიწმინდეები უცხოეთის მუზეუმებსა და კოლექციებში. სპექტრულ ანალიზამდე, თუ ამისი შესაძლებლობა ოდესმე მოგვეცემა, სასწრაფოდ "ეროვნული კულტურული მემეკვიდრეობის ხსნის კომისიაა შესაქმნელი". (ხელისუფლებასთან გაურიგებელი მეცნიერებისა და ისტორიკოსებისგან.) ამ კომისიამ, სანამ გასაყიდად გამზადებული საჯარო ბიბლიოთეკის შენობიდან, რომელიც ასევე კულტურული მემკვდრეობის ნუსხაშიც და გასაყიდ ობიექტთა სიაშიცაა შეტანილი, ამოღებული უნდა იქნას სწორედ კომუნისტების დროინდელი სამუზეუმო კატალოგები. რა დროსაც, ჩვენდა გასაოცრად, ყველაფერი ჯერ კიდევ ადგილზე იყო. დღევანდელი კატალოგები გადანომრილი და შეცვლილია, ამიტომ ძველი კატალოგების მიხედვით უნდა დადგინდეს, რა ექსპონატებს ფლობდა სახელმწიფო მაშინ და რა დარჩა ახლა. კულუტურის სამინისტროს მუზეუმებთან მიმართებაში მიღებული კანონების თანახმად, მომავალში რომელიმე უცხო ქვეყანაში აღმოჩენილი ჩვენი საგანძურისა თუ მუზეუმიდან გატანილი ექსპონატის გამოთხოვნის უფლება ქართულ სახელმწიფოს არა აქვს. ესეც მაშინ თუ საქართველოდან გატანილ ნივთს მუზეუმში გადავაწყდებით. კერძო კოლექციაში მოხვედრილი ექსპონატი, შესაძლოა, ვერც ვერასდროს ვიხილოთ.

„კულტურულ მემკვიდრეობას მიკუთვნებული ეროვნული საგანძური გატანილია დღეს ეროვნულად წოდებული ქართული **ისტორიის მუზეუმიდანაც**. ამ მუზეუმის თანამშრომლებმაც და ხელოვნებათმცოდნეებმაც კარგად იციან, რომ მუზეუმის საცავში ქართველ მეფეთა მიერ ომიდან ჩამოტანილი ალაფიც — შაჰის უძველესი ხალიჩები ინახებოდა. სწორედ ალაფობის გამო საცავში დაცულ ამ ექსპონატებს საესპოზიციოდ არ ფენდნენ. წყაროს (რომელმაც გამხელა არ ისურვა) ცნობით, მუზეუმიდან გატანილია, როგორც საცავში ალაფის სახით შენახული შაჰის ხალიჩები, ისე ძველი ნუმიზმატიკის ნიმუშები. (მონეტები, მათ შორის ქართულიც) ამ პიროვნების ინფორმაციით, საცავში დაცული ნივთები გატანილია არა მხოლოდ დასავლეთში, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. ფოთიდან, ხელისუფლების ქონებით დატვირთული რემოდენიმე გემის უცხოეთში გამგზავრებაზე გაზეთებიც ხომ წერდნენ?! ამ თემის გასახმაურებლად, ოპოზიციის საზოგადოებისთვის გამართულ მიტინგზეც კი მივედი, რათა ხალხისთვის სიმართლე იქედან მაინც გამეგებინებინა. ჩემი გამოსვლა ისევ "ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა..." დარჩა. არცერთი პოლიტიკური სუბიექტი "პოლიტიკური გაერთიანება ეროვნული ალიანსი- საქართველოს სამეფოს" გარდა — ამ თემას არ გამოხმაურებია. მახსოვს, უკვე საზოგადოებრივ არხზე მომუშავე ინგა გრიგოლიასაც ("იმედზე" ყოფილი თანამშრობლობის იმედით), დავურეკე და სიუჟეტის ჩასაწერად ოპერატორის გამოგზავნაც ვთხოვე, მაგრამ ესეც ამაოდ... და ეს ყველაფერი არ გახლავთ. ამავე მუზეუმში, იოანე ზოსიმეს "ქებაი და დიდება ქართულისა ენისას" მიხედვით, ძველი ქართული კალენდრის საიდუმლოზე მომუშავე პროფესორი ალეკო ცინცაძე "ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმს", რომელსაც დღეს ეროვნული მუზეუმი ჰქვია, იქ შენახული ძვ.წ-აღით Vს-ის ქართული არქეოლოგიური შედევრის- **"კუს ყელსაბამის"** სანახავად მივიდა. რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ ყელსაბამის თაობაზე ჩემი ყოფილი ლექ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# qarTvelebi da iran-amerikis dapirispireba

სამშობლომ ფერეიდნელი ქართველები ბოლო წლების განმავლობაში დაიბრუნა, თუმცა ეს იქ მცხოვრებთა მხოლოდ მცირე პროცენტია. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, ირანში ბევრად უკეთესი ხელფასები, პენსიები და ზოგადად, მოსახლეობისთვის ხელსაყრელი ეკონომიკური პირობებია. ბევრმა ეთნიკურმა ქართველმა დათმო მატერიალური კეთილდღეობა და ალალბედზე დაუბრუნდა საკუთარ ფესვებს.

ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციის გარიჟრაჟზე სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები უშუალოდ ჩავიდნენ ფერეიდანში და შეხვდნენ იქაურ ქართველობას. მაშინ აღუთქვეს, ოღონდ ჩამოდით და დანარჩენზე ჩვენ ვიზრუნებთო. რა თქმა უნდა, მაშინვეც იცოდნენ, რომ დაპირება პიარისთვის იყო და დაბრუნებულებს ბევრს ვერაფერს შესთავაზებდნენ. მხოლოდ პატრიარქმა იზრუნა და დღემდე მისი მადლი ჰფარავს ფერეიდნის ქართველობას. თუმცა ეს სხვა და არანაკლებ მნიშვნელოვანი თემაა. ახლა საკითხავია, რა ბედი ეწევათ ფერეიდნელ ქართველებს ახალი ომის პირობებში?

უკვე საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ ფერეიდნელი ქართველები აქაურებისგან შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან. არ თაკილობენ სამუშაოს. აქვთ ბიზნესის კეთების ალღო და ნიჭი. ასე რომ, ირან-საქართველოს შორის არსებული აღებ-მიცემობით, ანუ ვაჭრობითაც გააქვთ თავი. რა მოხდება თუკი საზღვრებს ჩაკეტავენ და ირანული პროდუქციის ექსპორტი აიკრძალება? საქართველოში უმუშევართა რიცხვი გაიზრდება და ისევ ქართველთა ხარჯზე. აი, ე.წ. ირანელი ქართველი გვარად გოგოჩანი ისფაჰანში ცხოვრობდა, იქ დიდი სახლი დარჩა, ხოლო თავად, ცოლ-შვილით საქართველოს მოაშურა. ამბობს ბედნიერია, რომ ფესვებს დაუბრუნდა. ირანში სახლი სულ მცირე 80 ათას დოლარად არის შეფასებული, მაგრამ....და ეს მაგრამ სწორედ მოსალოდნელი დაძაბულობის ფონზე იჩენს თავს. და ვინლა იყიდის იქ უძრავ ქონებას?

მეორე ფერეიდნელი ქართველი ახალდაქორწინებულია, მას იქაურ ბანკში აქვს მცირედი დანაზოგი რამდენიმე თვეში ბინის თანხას მოუყრიდა თავს, მაგრამ... როგორც ამბობენ, ირანის ქუჩებში პოლიცია სიტუაციას მკაცრად აკონტროლებს და დოლარებზე ვაჭრობის შემთხვევაში „დამნაშავეებს“ ციხეებში ერეკება. ახლა ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ჩვენი ხელისუფლება ირანელებთან ვაჭრობა-ურთიერთობების ხიბლშია და რაც შეიძლება მეტი მოგების მიღებაზეა „გამაცადინებული“, ხოლო დაძაბულობის პირობებში, აი, სპარსები კი უკვე ნამდვილად არ გაიხსენებენ საქართველოს. ასე რომ, ირანელ, თუ ადგილობრივ ქართველობას პირში ჩალაგამოვლებულს დაგვტოვებენ. თუკი მივეცით ჩვენ სამშობლოში ბიზნესის კეთების საშუალება, ახლა ამ გემრიელი ლუკმის მათთვის წაგლეჯვა, ალბათ, ჩვენც უნდა გაგვიჭირდეს.

არადა, საღვთო ომი ისეთი რამაა, საზღვარგარეთ(ამ შემთხვევაში საქართველოში) სარფიანი შემოსავალიც, იქაურად რომ ვთქვათ, არამია. ასე წარმოიდგინეთ, იქაურ ქართველობაშიც საკმაოდ არიან მორწმუნე მუსულმანები და მუჰამედის რჯულადდებულის დასაცავად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ კიდეც. ისიც აღსანიშნავია, ამ ომის პირობებში მცირეწლოვანის მსხვერლიც შეიწირებაო, ასე სწმათ და შვილებს ისლამის ერთგულებას ბავშვობიდან უნერგავენ. (არც თუ კარგი პერსპექტივაა...)საბედნიეროდ, ზოგადად, ფერეიდნელი ქართველები ფანატიკური მორწმუნეები ნაკლებად არიან.

ხოლო თუ საკითხი ასე დაისმის, ამერიკა ურჩევნიათ და შესაბამისად, ამ დაპირისპირებაში მათ მხარეს დადგებიან, თუ ირანის?ალბათ, ეთნიკური ქართველისათვის სულ ერთია რომელი შეიწირავს, ანუ, ანდაზის არ იყოს — მგელი შეჭამს, თუ მგლისფერი ძაღლი. არც ისეა საქმეა, თუკი ირანმა ქართველობას რამე სიკეთე გაუკეთა სულ გამოწვლილვით გადაუხადეს. კარგი მეომრობის გარდა, განვითარებული გონებაც დაუფასდათ გურჯებს და აგერ აქამდე, თუკი რამე სიკეთე კეთდება სპარსეთში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც, ეთნიკური ქართველები აქტიურად არიან ჩართული პროცესში.

ძნელია დაივიწყო, რა გზა გამოიარეს წინაპრებმა, სანამ ფერეიდანში დამკვიდრდებოდნენ, როგორ ეწამენ სარწმუნოებისათვის და რატომ ვერ მიიღო საბოლოოდ ირანმა იმავე რანგის მოქალაქეებად, როგორც სპარსელებია. ოღონდ.... ფერეიდნელებს ღალატი არ სჩვევიათ და ისტორიულ, თუ თავსმოხვეულ სამშობლოში მხოლოდ ურთიერთობების აღდგენა-გაუმჯობესებაზე ზრუნავენ.

ასე, მაგალითად, ახლახან სამშობლოს დაბრუნებული ფერეიდნელი შეშფოთებულია, რომ ირანში ქართული საელჩო, ლამის, მხოლოდ ნომინალურად არსებობს. რამდენიმე თვის წინ აჩვენეს ფილმი ქეთევან დედოფლის წამებაზე. რა თქმა უნდა, ისტორია გაყალბებული იყო. ხოლო განსაკუთრებით საგულისხმო ფინალი გახლდათ, სადაც ქეთევან დედოფალი თვითმკვლელობით ასრულებს ცხოვრებას. ისტორიის ამგვარ გაყალბებას ქართული საელჩო, რასაკვირველია, ჩვეული დუმილით შეხვდა.

ახლახან ირანის ისლამურ რესპუბლიკას მიუმართავს საქართველოს ოფიციოზისთვის მეჩეთების გახსნის მოთხოვნით. აქ უკვე მხოლოდ პატრიარქს აღმოაჩნდა წინდახედულება და საპირისპიროდ შეაგება, თუკი ფერეიდნელ ქართველებს მშობლიურ ენაზე სწავლის საშუალებას მისცემთ, იქ სკოლებს გაგვახსნევინებთ, მაშინ დავთანხმდებითო. რა თქმა უნდა, ირანის ოფიციოზი ამ ნაბიჯზე არ წავა, შესაბამისად, არც ჩვენ გვევალება მეჩეთების გახსნა.

ხოლო პატრიარქმა, სანამ ირან-ამერიკის დაპირისპირება დღეისთვის არსებულ ფაზამდე მივიდოდა სამების ეკლესიაში იქადაგა ირანში მცხოვრები ქართველების სამშობლოში დაბრუნების აუცილებლობა. შესაძლოა, მათი უმრავლესობა ფესვებს მართლაც დაუბრუნდეს, თუმცა რას იზამენ ეთნიკური სპარსელები? რა ნიშნით გამოარჩევს ჩვენი ხელისუფლება ეთნიკურ ქართველებსა და სპარსებს? მისცემს მათ თავშესაფარს, თუ ისევ ამერიკის მაამებლობის გზას დაადგება და ამით სისხლ-ხორცზე უარს იტყვის? ეს არის კითხვები, რაზეც საქართველოს ხელისუფლებას პასუხი დღევანდელ ვითარებაში უკვე უნდა ჰქონდეს.

რაც შეეხება ფერეიდნელ ქართველებს, მათი მდგომარეობის უკეთ გასაგებად ითქმის სწორედ ორი „დედის“ ხელში ბავშვი მშიერი რჩებოდაო. თუკი ირანში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებში მენტალური პრობლემები იჩენს თავს, არც სამშობლოში გრძნობენ თავს დალხინებულად და მეტიც, დაჩაგრულები არიან, რადგან საქართველომ მათი მიღება-დამკვიდრებისთვის ზრუნვაზე უპირატესად, ბურების დასახლების პრობლემა მიიჩნია

**ნათია ხუციშვილი**

---

ტორის (ბრწყინვალე არქეოლოგის) დავით ლოქრთქიფანიძის მამის ოთარ ლორთქიფნანიძის 1986 წელს გამოცემულ "ძველი კოლხეთის" წიგნშია მოთხრობილი. გათხრებს თავად ბატონი ოთარი ხელმძღვანელობდა. თუმცა დიდი სიმონ ჯანაშიას შვილიშვილის, სიმონიკა ჯანაშიასგან განათლების სისტემის იავრქმნაში მონაწილეობის შემდეგ გასაკვირი აღარაფერია. ამბობენ, "გენი ისვენებსო". კუს 94 ფიგურისაგან შემდგარი ყელსაბამი მზის სიტემის კალენდარს ისეთი სიზუსტით გადმოსცემს, რომ თანამედროვე მსოფლიოს მეცნიერთა გაკვირვებას იწვევს. წარმოიდგინეთ, პროფესორ ცინცაძის გაკვირვება, როდესაც 94-ის ნაცვლად ადგილზე, კუს 82 ფიგურა დახვდა. თავიდან იმის თქმა დააპირეს, რომ ეს რაოდენობა თავდაპირველია. მას შემდეგ, რაც ალეკო ცინცაძემ ზუსტი რაოდენობა "ძველი კოლხეთის" ილუსტრაციაში გადაამოწმა და ამაზე განგაში ატეხა, უთხრეს დაიჭყლიტა და შევინახეთო! "რას უნდა დაეჭყლიტა" მუზეუმში დაცული უნიკალური ექსპონატი? თავისით ის ვერ დაზიანდებოდა. შემდეგ ბატონ ალეკოს დონაძის "რეალტვ" ესტუმრა სიუჟეტის ჩასაწერად და უთხრეს: — "რას იტყვით, თუ 94-ის ნაცვლად 95 აღმოჩნდებაო?". "რაც უფრო მეტია ფიგურა, ეს ქართული კალენდრის სიძველეს ადასტურებსო", — უპასუხა ბატონმა ალეკომ. საიდან უნდა აღმოჩენილიყო და რატომ კუს ზედმეტი ფიგურა, როცა ორიგინალში მისი რაოდენობა-94 ცალია? ოთარ ლორთქიფანიძემ თავიდანვე დაადასტურა და მის წიგნშიც და ფოტოზე ეს რაოდენობაა დაფიქსირებული? კიდევ რამდენი ზედმეტი ფიგურა შეიძლება აღმოჩნდეს "საჭიროების შემთხვევაში"? ვის მიერ და რა მიზნითაა ეს ზედმეტი ფიგურები დამზადებული? არის თუ არა ის ძვ.წ.აღ-ის V ს-ის "ყელსაბამი კუს" ავთენტური დეტალი თუ შემდგომაა დამზადებული? ამ ფაქტის შემდეგ ექსპონატზე პასუხიმგებელი მუზეუმის თანამშრომლები თავის დირექტორიანად არა თუ მოსახსნელი, პასუხისგებაში მისაცემნი არ არიან?

"ქართული ოცნების" კულტურის ჯგუფში ამ თემის გამოტანამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. მე კი, როგორც ჟურნალისტმა, ამ თემის გასაჯაროება საკუთარი პასუხისმგებლობით თავზე ავიღე. **იგივე სააკაშვილი ასეთ მომენტს ხელიდან არ გაუშვებდა და მთელ საქართველოში სულ უბან-უნბან ჩამოირბენდა ფოტოებით — ნახეთ ხელისუფლება, ხალხის კულტურულ მემკვდრეობას როგორ ყიდისო?!** გასაყიდ ობიექტთა რიგში,



კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი **საჯარო ბიბლიოთეკის შენობაცაა** იქ დაცული **უამრავი ხელნაწერით, სამეცნიერო ნაშრომებითა და უნიკალური წიგნებით!** კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილ **"პიონერთა და მოსწავლეთა" ყოფილ სასახლეს** სტატუსი უკვე შეუცვალეს, სპორტის დეპარტამენტზე გადამისამართდა და "ახალი მფლობელიც", როგორც ამბობენ, ნინო ანანიაშვილიც ჰყავს. შენობის ამჟამინდელი მეპატრონის გასარკვევად საჯარო რეეტრში მისულ "ქალთა სამოქალაქო მოძრაობა თამარიონისა" და საზოგადოებრივი მოძრაობა "საქართველოს გადარჩენისთვის" წარმომადგენლებს, იმდენი საბუთი და თანხა მოგვთხოვეს, რომ უმუშევარი ადამიანებისთვის ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ასევე გაურკვეველია დასანგრევად გამზადებული და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში, ყოფილი **იმელის შენობისა და მისი კარ-ფანჯრების** ბედიც. შენობის კარ-ფანჯრები მისი მაღალმხატვრული და ანტიკვარული ღირებულების გამო კულტურის სამინისტროს "სოთბის აუქციონმა" მოსთხოვა. გაუგზავნა სამინისტრომ ეს სახელურები "სოთბის", თუ თავად "გამოუყვანა წირვა" — უცნობია. ფაქტია, რომ იმ დროს, რა დროსაც ნახევარზე მეტი საქართველო შიმშილობს, ჩვენი, ქართველი ხალხის კუთვნილი უნიკალური ქონება დღეს ადგილზე აღარ არის. არავინ ინტერესდება და არც ინფორმაცია არსებობს იმაზე, თუ რა ბედი ხვდება წილად საქართველოს ტერიტორიაზე გამალებით მიმდინარე **არქეოლოგიური გათხებისას მოპოვებულ ნივთებს**. რომელი კომპანია (უცხოური თუ ქართული აწარმოებს გათხრებს) ლამის ყოველდღიური ინფორმაციები გადაიცემა, რომ უნიკალურ აღმოჩენებთან გვაქვს საქმე. გავიხსენოთ, ეგვიპტისა და ათენის არქეოლოგიური კვლევებისას წარმოებული გათხრები. იქ მოპოვებული არტეფაქტები სულ სხვადასხვა ქვეყნების მუზეუმებმა დაიტაცეს. ასე იქნება ჩვენს შემთხვევაშიც. ეს ნამარხი ნივთები კი ჩვენი ისტორია და წარსულია.

**ბაია ამაშუკელი**

# siRaribis zRvarze myofebs vakeSi dasaflaveba ar ekuTvniT?!



***ამა წლის „საერთო გაზეთის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულ წერილს „საფლავი მომპარეს ცხრა მიცვალებულიანად“ რედაქციაში მერიიდან ზარი მოჰყვა. ქალბატონი თეა წერილის ავტორთან დაკავშირებას ითხოვდა. აღმოჩნდა, რომ წერილის ავტორთან საუბარი სურდა შ.პ.ს „ჰერმესის“ დირექტორს ბატონ ვალერიან სხიერელს. არავინ შემხმიანებია.***

***ქალბატონი მზია ალიხანაშვილი ცხრა მიცვალებულის სამარხის შესაძლო დაკარგვითა და ახლადგარაცვლილი ძმის საიქიო უბედობითაც დამწუხრებული კვლავ დაგვიკავშირდა.***

**მზია ალიხანაშვილი:** — „ეს რა უბედურებაა! თქვენმა გაზეთმა მთლად გამიფუჭა საქმე! „ჰერმესში“ ვიყავი და უარი მითხრეს ჩემი წინაპრების საფლავების დაბრუნებაზე... თურმე, რახან სიღარიბის ზღვარზე ვართ, ადვილი დასაბრიყვებელი ვყოფილვართ. იცით, რა მითხრეს, თუ ესეთი გაჭირვებულები ხართ, ვაკეში რად გინდათ სასაფლაოო. მე ვუთხარი, ეს ოხერი სასაფლაო, ადგილი როცა აიღეს, ჯერ ხომ მე არ ვიყავი საერთოდ დაბადებული, მეორეც, სიღარიბე რა შუაშია, აქაა ჩემი დის, ბებიის, ბაბუის, დეიდის საფლავებიმეთქი...

**— ეს ვინ გითხრათ.**

— **მაქსიმე ბერიშვილმა,** ვაკის სასაფლაოს დირექტორმა და „ჰერმესის“ ადვოკატმა **დავით ლინჩიკმა...**

ქალბატონ მზიას ძმის ორმოცზე სასაფლაოზე გავყევი, — სიმართლე რომ ვთქვა, ბოლომდე ვერ ვიჯერებდი მის ნაამბობს.

გავოცდი, ისეთი ამბები მოვისმინე.

სამუშაო აქვთ, ერთ-ორ კაპიკს ოჯახის შესანახად შოულობენ, ამდენად, მათ ვინაობას ვერ დავასახელებ, მაგრამ მომიყვნენ, რომ ქალბატონი მზიას „ჰერმესთან“ სადავო სასაფლაოს ადგილის ღირებულება, სულ მცირე, 5 000 დოლარიდან იწყება და კი, ბატონო, კარგი კლიენტის გამოჩენის შემთხვევაში, კარგა ზემოთაც ავაო. ეგ რა არის, ცენტრია, მაგრამ „ვერა რეჩკას“ (მდინარე ვერეს) ნაპირზე ვიღაც ბერძენმა ტერიტორია იყიდა, ეხლა თითო ადგილს 5 000 დოლარად ჰყიდის, მეოთხე მიცვალებული წინა კვირას დასაფლავდაო. მე ნანახი მაქვს შ.პ.ს „ჰერმესის“ რუკები, რომელიც ინტერნეტშია განთავსებული, სადაც აღნიშნულია თავისუფალი და დაკავებული ადგილები. რასაც თქვენ მეუბნებით, ეს რანაირად ხდება-მეთქი? — ძალიან კარგადო.

**ვაკის სასაფლაოს მომსახურე პერსონალი:** — „რომელ სასაფლაოსაც შეიგულებენ გასაყიდად, ანუ რომლის პატრონიც გარკვეული ხანი არ გამოჩნდება, სპეციალურად გვანაგვიანებინებენ, თუ კიდევ არ გამოჩნდა, მერე უკვე განაცხადს აკეთებს დირექცია „უპატრონო“ საფლავის არსებობაზე და დამთავრებულია საქმე. გადახედეთ სასაფლაოებს და თქვენ თვითონ მიხვდებით, რამდენი გასაყიდი სასაფლაოა რიგში.“

რაღა დამრჩენოდა, უნდა „გადამეხედა“ და რა ვქნა, მართლაც არაერთი ნაგვით გაძეძგილი საფლავი ვნახე ერთ ადგილზე გაუნძრევლად მდგომმა, ერთი, სულაც, სადავო სასაფლაოს გვერდზე.

**სასაფლაოს მომსახურე პერსონალი:** — „აი, დაბლა სასაფლაოა, ადრე მიცვალებული ესვენა, გადაასვენეს უკვე და რა გგონიათ, ეს აღნიშნულია სადმე? ის ადგილი დაკავებულადაა გატარებული, მაგრამ სინამდვილეში, ხელმეორედ გაიყიდა უკვე და კარგ ფასად. აი, აქ, რუსეთიდან ჩამოსვენებული კაცია, ორადგილიანია, 7000-ად გაიყიდა. სასაფლაოს დირექტორი, შეიძლება, მარტო თვითონ ჭამს მკვდრებით ფულს, მაგრამ რა ვიცი, აბა... „ჰერმესში“ ისეთები სხედან, არ მგონია, გამოაპაროს ეს ამბავი ვინმემ, სასაფლაოს დირექტორი და ღარიბი, გაგიგიათ? „ჰერმესის“ წინა დირექტორი, მებონია, რურუას დეიდაშვილი თუ მამიდაშვილი იყო, ვერის სასაფლაოს დირექტორი — სიძე. ახლა, ვინ ვისი რა არის, არ ვიცი, მაგრამ ე.წ „სასაფლაოების ბიზნესი“ იყო და არის, — მოდი და გაიგე, ესენი ვიღას ნათესავები არიან...“

ქალბატონმა მზიამ მითხრა, ხომ გეუბნებით, რატომ არ გჯერათ, რა ხდება სასაფლაოზე, სად არის ვაკის სასაფლაოს წინა დირექტორი, ის ხომ არ იზამდა ამას, ჯემალი, და ამიტომ ვერ იტანენ „ჰერმესშიო“.

— ჯემალი სად არის-მეთქი, — არ ვიცი, ციხეში იყო, მაგრამ ახლა მგონი გამოუშვესო.

სასაფლაოს მომსახურე პერსონალმა ყური მოჰკრა ამ საუბარს და უკითხავად მოგვიყვნენ, მეზობელი მიუგზავნეს, ფული დაუნომრეს და ასე გასკვანჩეს, ეს მათხოვარი მაქსიმე კი თავზე დაგვასვეს, აუტანელი კაციაო.

სიმართლე რომ ვთქვა, სასაფლაოების ამბავში დიდად ვერ ვერკვევი, მაგრამ მკითხველს როდესაც ერთგვარ იმედად ეგულები, შესაძლებელი უნდა გააკეთო...

**მზია ალიხანაშვილი:** — მაქსიმემაც და ლინჩიკმაც იქით დამადეს ვალი, რა, ჩვენ ვანაგვიანებთ საფლავებსო? მეც მივახალე, პირადად თქვენ რატომ დაანაგვიანებთ, დაავალებთ ან სასაფლაოს მუშებს, ან დამლაგებლებს და ისინი ანაგვიანებენ-მეთქი, — ხომ მოისმინეთ აქ მომუშავისგან იგივე....

№49 აწერია საბუთს, 2012 წლის 20 იანვრით არის დათარიღებული, რითაც უარი მითხრეს რომ ჩვენს კუთვნილ სასაფლაოზე დავკრძალოთ ჩემი ძმა. ახლა ამას შეხედეთ, 2009 წლის 18 მაისს არის გაცემული „ჰერმესის“ მიერ საბუთი, აი, ნომერიც №061760 და აწერია, „ვაკის ძველ ადგილზე დასაფლავების უფლება“. ახლა შემდეგი წაიკითხეთ: „გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 28 ივლისის №11-4 გადაწყვეტილების მე-7 მუხლის II პუნქტის შესაბამისად, საფლავში, როგორც წესი, შეიძლება იყოს არაუმეტეს 6 სამარე. გამონაკლისი დასაშვებია განსაკუთრებულ შემთხვევაში მმართველის გადაწყვეტილების და სანიტარული დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისის მერიის თანხმობის საფუძველზე. ამასთანავე, ამავე წესის მე-6 მუხლის I პუნქტის თანახმად, ყოველი გარდაცვლილის დაკრძალვა ცალკე სამარხში გარდა ზემოდან დაკრძალვის შემთხვევისა. ყოველ სამარხზე გაანგარიშებული და გამოყოფილი უნდა იქნას 2,5 კვადრატული მეტრი ტერიტორიისა. საფლავებს შორის დაშორება გრძელ მხარეს არ უნდა იყოს 1 მეტრზე ნაკლები, ხოლო მოკლე მხარეებს შორის 0,5 მეტრზე ნაკლები. მარგო ქარქუსაშვილის 2009 წელს დაკრძალვის რეგისტრაციის საარქივო მონაცემებით დასტურდება, რომ ის დაიკრძალა ოთხადგილიან სამარხში, სადაც უკვე დაკრძალული იყო 3 მიცვალებული. მაშასადამე, მარგო ქარქუსაშვილის დაკრძალვის შემდეგ, მიცვალებულთა რაოდენობა შეადგენდა უკვე ოთხ ნეშთს.“ ნახეთ, რა წერია, როგორც თქვენ მიუთითეთო, სამარხში დაკრძალულია ექვსი მიცვალებულიო.

**— ამებნა თავ-გზა, ასეა მართლა?**

— ხომ ნახეთ, რამხელა სასაფლაოა ჩვენი, ესენი, როგორც აწყობთ, ისე უთითებენ... ბებიაჩემი სადაც არის დაკრძალული, ის არის ექვსადგილიანი, ხოლო სადაც მარგოა, დეიდაჩემი, ის არის სამადგილიანი და კიდევ ერთი თავისუფალი ადგილია. წლებს შეხედეთ, რა? მერე რომ მიუთითებენ საფლავებს შორის დაშორებაზე, ჩემი მიცვალებულები, ზოგი სხვის ტერიტორიაზე მოხვედრილან და ზოგი სავალი ბილიკის გადაღმა და სხვებისა ჩემთან? ან რა ჩემი ბრალია ამათი ახალ-ახალი კანონების გამოგონება, ამათივე ნებართვით და მითითებით არ არიან დაკრძალული ჩემი მიცვალებულები? შემდეგ სიღარიბის ზღვარზე თუ ხარ, ვაკეში საფლავი რათ გინდაო რომ მეუბნებიან, ეს მიცვალებულების სულების წინაშე ცოდვებით დამძიმებულები, 1937-ში, როდესაც ბაბუაჩემი, პირველი მიცვალებული დაიკრძალა, დაბადებულები იყვნენ საერთოდ? სახელმწიფოს ასეთმა მიდგომებმა გამაღარიბა, თორემ რა მჭირს ამათი მასხრად ასაგდები! გარდა ამისა, სადაც ჩემი ძმა იძულებით დაგვაკრძალინეს. „ჰერმესი“ რომ ამბობს, ორადგილიანი გამოვუყავითო, ხომ ნახეთ, ის ორადგილიანია? გვერდზე რომ ასვენია მუმლაძე, აბა, თქვენ მითხარით, სამარხებს შორის 1 მეტრი მაინც არის დაშორება?

ესენი თვლიან, რომ როგორც სახელმწიფოს მიერ „ღარიბად“ ცნობილი, ჯერ, ადვოკატს ვერ ავიყვან და მერე, ბოლომდე ვერ მივყვები. რას ჰქვია, ჩემი მიცვალებულები ვიღაცას მივუგდო?

მეორე მხარისთვისაც რომ მომესმინა, რა თქმა უნდა, ქალბატონ თეას დავუკავშირდი მერიაში, მაგრამ შ.პ.ს „ჰერმესის“ დირექტორის, ბატონ ვალერიან სხიერელის ნაცვლად, მისი მოადგილე ბატონი მიხეილ ქადაგიშვილი შემომეხმიანა.

როგორც ქალბატონი მზია ბრძანებს, არ არის ასეო და ბატონმა მიხეილმა ოფიციალური პასუხი მომწერა:

***ქალბატონ მაია ჭელიძეს***

*მოქალაქე მზია ალიხანაშვილის ინტერვიუსთან დაკავშირებით განვმარტავთ, (პირველ ინტერვიუზეა საუბარი - მ.ჭ) რომ 2011 წლის დეკემბრის თვეში ქალბატონმა მზია ალიხანაშვილმა მომართა შ.პ.ს. „ჰერმეს“-ს და მოითხოვა მისი გარდაცვლილი ნათესავის დაკრძალვა ვაკის საქალაქო სასაფლაოს ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, როგორც თავად მოქალაქის მიერ წარმოდგენილი არასრულყოფილი დოკუმენტაციის, ასევე საწარმოს საარქივო მონაცემებში დაცული ინფორმაციის შესწავლის შედეგად ვერ დადგინდა იმ მიწის ნაკვეთის მფლობელობის ფაქტი, რომელსაც მზია ალიხანაშვილი უთითებდა მისი განცხადებით საგვარეულო სამარხად, ხოლო მეორე საგვარეულო სამარხში რესურსის არარსებობის გამო დაკრძალვის განხორციელება შეუძლებელი იყო რამოდენიმე მიზეზით, კერძოდ:*

*4-ადგილიან სამარხში, საწარმოს საარქივო მონაცემების მიხედვით უკვე დაკრძალულია 4 მიცვალებული (ხოლო თავად მზია ალიხანაშვილის მითითებით, 6 მიცვალებული) და არ არსებობდა თავისუფალი სამარე. ხოლო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბოლო დაკრძალვიდან გასულია მხოლოდ 2 წელი, საწარმომ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით, მიზანშეუწონლად მიიჩნია აღნიშნულ სამარხში ზემოდან დაკრძალვის განხორციელება და მოქალაქე მზია ალიხანაშვილს გარდაცვლილი ნათესავის დასაკრძალად იმავე ვაკის სასაფლაოს ტერიტორიაზე უფასოდ გამოეყო ახალი 2 ადგილიანი საფლავი, სადაც განხორციელდა კიდეც დაკრძალვა.*

**პატივისცემით, დირექტორის პირველი მოადგილე მიხეილ ქადაგიშვილი.**

რა თქმა უნდა, ქალბატონ მზიას გავაცანი ბატონი მიხეილის პასუხი.

**მზია ალიხანაშვილი:** — მე ერთს ვეუბნები, ეგენი მეორეს ამბობენ. მე ერთ ადგილს ვუთითებ, ეგენი სხვა ადგილზე წერენ... „ჰერმესში“ რომ ვიყავი, ჩემნაირად გამწარებული ბიჭიც იყო და ლინჩიკმა სასწრაფოდ გამარიდა, გაიყვანა. შევცდი, რომ ტელეფონის ნომერი არ გამოვართვი...

ვაკის დეპუტატ ვატო ნაცვლიშვილთან მინდოდა შესვლა და ჯერ მიღება არ აქვსო. ვაკის გამგებელთან, ბატონ **დავით ბურდულთან** შევედი. მან დამაწყნარა, სხიერელიც შეაქო, არ არის ცუდი პიროვნება, მაგრამ მათ თავიანთი რაღაც ნორმები აქვთო. რომ ვუთხარი, ყველა საბუთი წესრიგში მაქვს-მეთქი, მითხრა, კანცელარიაში დატოვე განცხადებასთან ერთადო. ესენი რომ ამბობენ, ნათესაური კავშირი არ დგინდებაო, როგორ არ დგინდება, რომ კონსტანტინე დედაჩემის მამაა და ჩემი ძმა დედაჩემის შვილი, სხვებზე აღარ ვამბობ. ათ სამუშაო დღეში რაღაცას მეტყვიან, ალბათ...

მე, როგორც ჟურნალისტი, უკვე უძლური ვარ. ამ საკითხის გარკვევას და მოგვარებას, ალბათ, ცოტა სხვა პროცედურები და სხვა ორგანოების დაინტერესება სჭირდება...

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მსოფლიო პრესის მიხედვით

# genocidi, rogorc politikuri skalpeli politikuri qirurgebis xelSi

**სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებას სიმძაფრე შესძინა საფრანგეთის სენატში შეტანილმა კანონპროექტმა, რომელიც სომეხთა გენოციდის უარყოფის გამო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გულისხმობს. ექსპერტები ბჭობენ, რას მოუტანს ეს ინიციატივა რეგიონს. შეგახსენებთ, რომ სომეხთაგენოციდის აღიარება არ არის პრეცედენტი კავკასიის რეგიონის ცხოვრებაში და უნდა ვივარაუდოთ, რომ არც უკანასკნელი იქნება. სხვადასხვა „ხარისხის“ გენოციდი რეგიონისთვის გაფთრებულ ბრძოლაში შესაძლოა, ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტი გახდეს.**

### ქართული ინიციატივა

კავკასიელი ხალხის გენოციდის აღიარების პირველი ფაქტი ქართული ინიციატივა იყო. 2011 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა გენოციდად აღიარა კავკასიის სისხლიანი ამბები, რომლითაც ჩერქეზებისთვის დასრულდა XIX საუკუნის ნახევარსაუკუნოვანი კავკასიური ომი.

ჩერქეზთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, 15 წლის განმავლობაში, ასეთსავე აღიარებას კრემლისგანაც ითხოვდნენ. ქართველთააინიციატივაზე კრემლს მართალია, ჰქონდა რეაქცია, მაგრამ საკმაოდ თავშეკავებული.

ზოგიერთი ექსპერტი და ანალიტიკოსი შეეცადა, ამ თემით საერთაშორისო სკანდალი აეგორებინა — ჩერქეზებს ხომ უცხოეთში გავლენიანი მრავალმილიონიანი დიასპორა ჰყავს. ბევრს მიაჩნდა, რომ საქართველოს პარლამენტის ეს გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა ჩრდილოეთ კავკასიაში ვითარების არევას და ამ რეგიონში რუსეთის ავტორიტეტის შესუსტებას.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს ამ ნაბიჯს „რუსეთის კავკასიის აფეთქების“ მცდელობად აფასებდნენ. მაშინ თავიანთი გულისწყრომა ვერ დაფარეს სომხებმაც, რომლებიც წინა საუკუნის განმავლობაში გამუდმებით ითხოვდნენ 1915 წლის ტრაგედიის გენოციდად აღიარებას. სომხურმა მხარემ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას ულოგიკო და უსაფუძვლო უწოდა: „პოლიტოლოგიასა და ისტორიაში უცნობია ჩერქეზთა გენოციდის ამბები და საქართველოსგან ამის აღიარება რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯია“.

ამის ფონზე, ამერიკელებმა ჩერქეზთა გენოციდის აღიარება მოიწონეს. გავიხსენოთ, თუ რას ამბობდა ამერიკის უსაფრთხოების საბჭოს ადმინისტრაციის დირექტორი უილიამ კორტნი: „მოსკოვი ვერ ახერხებს, რაიმე წარმატებას მიაღწიოს და ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული მრავალრიცხოვანი კონფლიქტები მშვიდობიანად მოგვარდეს. ვიმედოვნებ, საქართველოს პარლამენტის ეს გადაწყვეტილება რამენაირ ზეგავლენას მოახდენს მათზე“.



### ფრანგული ინიციატივა

ეს საკითხი ის-ის იყო ჩაცხრა, რომ რეგიონის პოლიტიკური ცხოვრება ააფორიაქა საფრანგეთმა, რომელმაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრა ყველას, ვინც ჩერქეზთა გენოციდს არ აღიარებს. საფრანგეთის ინიციატივაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველად თურქებს ჰქონდათ მძაფრი რეაქცია. თურქეთის ელჩმა საფრანგეთში საფრანგეთ-თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ გააკეთა განცხადება, რაც საფრანგეთს შესაძლოა, 5 მილიარდი დოლარის დანაკარგად და დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტად დაუჯდეს. თანაც, ეს ნაბიჯი „სარკოზის წინასაარჩევნო კამპანიის“ ნაწილად შეაფასეს, ანუ ამ კანონპროექტის მიღებით საფრანგეთის პრეზიდენტი საფრანგეთში მცხოვრები 800 ათასი სომეხის ხმის მოპოვებას ვარაუდობს.

სომხეთის რესპუბლიკის ოფიციალური პირები იმედოვნებენ, რომ ფრანგული ინიციატივა ხელს შეუწყობს თურქეთისა და სომხეთის დაახლოებას — თუ დასავლეთის ქვეყნების ზეგავლენით თურქები სომეხთა გენოციდს აღიარებენ, ეს ფაქტი მათ მდგომარეობას არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიო არენაზეც გააუმჯობესებს; მსოფლიო საზოგადოებრიობა ხომ სომეხთა გენოციდის შესაძლო აღიარების მომხრეა.

„ამ პოლიტიკური ვნებების ფონზე, ოსმალეთის იმპერიაში, კამბოჯაში, რუსეთსა თუ რუანდაში დაღუპული მილიონობით ადამიანის თემა „ქირურგთა“ ვიწრო წრისთვის არის ერთგვარი პოლიტიკური სკალპელი, რომელსაც არც ისე მარჯვედ იყენებენ“, — ეს სიტყვები თურქ მწერალსა და ჟურნალისტ ალი ბაირამოღლუს ეკუთვნის.

საფრანგეთის თურქული დიასპორის ხელმძღვანელი დემირ ონგერის შეფასება კი ასეთია: „სომეხთა გენოციდის საკითხი რომ არ ყოფილიყო, სომხური ლობი არც იარსებებდა; ეს თემა მათთვის შემოსავლის ერთგვარ წყაროდ არის ქცეული. მათ შემუშავებული აქვთ გეგმა — პირველ ეტაპზე ითხოვენ გენოციდის აღიარებას, შემდეგ — თურქეთისგან კომპენსაციის მიღებას ელიან, ხოლო ბოლო, მესამე ეტაპზე — უკვე ტერიტორიულ პრეტენზიებს წაუყენებენ თურქეთს“.

### მაგალითი გადამდებია

საქართველოს და საფრანგეთის ინიციატივების კვალდაკვალ, როგორც მოსალოდნელი იყო, „უფრო პატარა გენოციდების“ აღიარების განცხადებების ნაკადი გაჩნდა. თავიანთი ტრაგედიის შეხსენება სცადეს ზოგიერთმა აფრიკულმა და აზიურმა ხალხებმა. მათ შორის არიან მცირერიცხოვანი ტომები — ტუტსის მონათესავენი, კამბოჯის პატარ-პატარა ეთნოსები...

კავკასიის ხალხებმაც წამოაყენეს თავიანთი პრეტენზიები. მაგალითად, ახლახან „ინგუშთა ევროპულმა ასოციაციამ“ თხოვნით მიმართა ქართველებს, საბჭოთა პერიოდში ინგუშთა მასობრივი რეპრესიები გენოციდად აღიაროს. „ამ ფაქტის გენოციდად აღიარება ნამდვილი ჰუმანიზმისა და ისტორიული სამართლიანობის გამოვლენა იქნება“, — ნათქვამია საქართველოს პარლამენტისთვის გაგზავნილ მიმართვაში.

ანალიტიკოსები კავკასიის სხვა ხალხებისგანაც ელიან მსგავსი სურვილების გამოხატვას. არ არის გამორიცხული, უახლოეს ხანში სამხრეთ ოსეთიდან კრემლში გაიგზავნოს დოკუმენტები თხოვნით, აღიარონ საბჭოთა პერიოდში ქართველების მხრიდან ოსთა გენოციდი. თავიანთი ხალხების გენოციდის აღიარების შესახებ განცხადებებს უნდა ველოდოთ ჩეჩნებისგან, აფხაზებისგან, ლეკებისგან და კავკასიის სხვა ხალხებისგან. მსგავსი განცხადებების სიმრავლე სოჭის 2014 წლის წინა პერიოდშია მოსალოდნელი.

ამგვარად, ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით, საქართველომ კავკასიურ „პანდორას ყუთს“ თავი ახადა. ჯერჯერობით, ძნელია იმის პროგნოზირება, თუ რას მოუტანს ეს რეგიონს შორეულ პერსპექტივაში. საუკუნეების განმავლობაში ერთად მცხოვრები ხალხების დაპირირისპირებამ რა შედეგებიც მოიტანა, ამის მაგალითად გამოდგება ბალკანეთი. თუკი კავკასიური სცენარიც ამოქმედდება, სახიფათო პერსპექტივა გარდაუვალია.

**echomsk.ru**

# `arabuli gazafxulidan~ `rusul gazafxulamde~

„არაბული გაზაფხულის“ კვალდაკვალ, მასმედიაში გაჩნდა ცნება — „რუსული გაზაფხული“, რომელიც რუსეთში სახელმწიფო სათათბიროს დეკემბერში ჩატარებულ არჩევნებს მოჰყვა. ამ აქციების კომენტირებისას, ამერიკელი რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი, რომელმაც 2008 წელს ქვეყნის პრეზიდენტობა უშედეგოდ სცადა, სოციალური ქსელის მეშვეობით რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადი-




მირ პუტინს აფრთხილებს — უახლოეს ხანში „არაბული გაზაფხული“ რუსეთშიც შემოაღწევსო. სხვათააშორის, მაკკეინის მიმართვა იწყება ასე: „ძვირფასო ვლად...“

ამის პასუხად, პუტინმა მკაცრად გააკრიტიკა მაკკეინი და გამოთქვა ვარაუდი, რომ „მას გონება აერია“ (ან გააფრინა). ამის შემდგომ მაკკეინმა კიდევ ერთი კომენტარი გამოაქვეყნა. მას მოჰყავს თჰე ჰუფფონგტონ პოსტ-ის სტატიის სათაური — „პუტინი მასხარად იგდებს საპროტესტო აქციების მონაწილეებს და ჯონ მაკკეინს „შერეკილს უწოდებს“. „ძვირფასო ვლად, განა ამაზე არ გაფრთხილებდი პირადად მეც?“ — კვლავ იმეორებს თავის პასაჟს ამერიკელი სენატორი.

**vz.ru**

***რუსეთი იძულებულია, გააძლიეროს თავისი ბაზები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რადგან საქართველოს ხელისუფლება საკუთარი ქვეყნის მილიტარიზაციას ეწევა, აცხადებს რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი.***

„ახლა ისინი ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ შესწევთ ძალა, ყველაზე ძლიერად დაიცვან ამ ორი პატარა სახელმწიფოს ინტერესები და შესაბამისად, რუსეთის ინტერესებიც. იქ არსებული შეიარაღება საკმარისია იმისათვის, რომ ნებისმიერ დამპყრობელს სათანადო ზიანი მიაყენოს და ეს მათ შესანიშნავად ესმით, მათ შორის ამ შეშლილ სააკაშვილსაც“ — ეს განცხადება ქვეყნის მეთაურმა თავის მომხრეთა საზოგადოებრივ კომიტეტთან შეხვედრისას გააკეთა.



# ruseTi afxazeTsa da samxreT oseTSi samxedro bazebs kidev ufro aZlierebs

ამ შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ წამოჭრა საქართველოს რემილიტარიზაციის საკითხი და სთხოვა მედვედევს, არ დაივიწყოს, თუ რა საფრთხე მოდის ამ ქვეყნისგან. მედვედევმა დაარწმუნა თავისი მომხრე, რომ რუსეთში სამხედრო მშენებლობის გეგმების დამუშავებისას საქართველოს პოტენციალის აღდგენას ითვალისწინებენ.

„გულწრფელად თუ ვაღიარებთ, ეს მილიტარიზაცია ეგრეთ წოდებული ხუთდღიანი ომის შემდეგაც არ შეჩერებულა. მეტსა გეტყვით — ჩვენ გვქონდა მონაცემები, რომ პრაქტიკულად მაშინვე, ამერიკის ადმინისტრაციის, ზოგიერთი სხვა ქვეყნის, სხვათა შორის, ჩვენი უახლოესი მეზობლების დახმარებითაც, საქართველოს შეიარაღების სხვადასხვა სახეობა მიეწოდებოდა“, — აღნიშნა მედვედევმა.

„სწორედ ამიტომ იძულებული ვართ, გავაძლიეროთ ჩვენი სამხედრო ბაზები, რომლებიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშია განლაგებული“, — დასძინა პრეზიდენტმა. ამასთან, მან აღიარა, რომ რუსეთი ვერ აუკრძალავს სხვა სახელმწიფოებს, საქართველოს იარაღი მიჰყიდოს. „ამის შესახებ დაუფარავად ვლაპარაკობთ. არც იმას დაგიმალავთ, რომ ზოგიერთი ქვეყნის ლიდერს ამ თემაზე საგანგებოდ ველაპარაკე: „რატომ იქცევით ასე? ეს ხომ სახიფათოა“. მიუხედავად ამისა, ამის აკრძალვა ჩვენ არ შეგვიძლია და სამომავლოდაც გვმართებს ამის გათვალისწინება. ეჭვი ნურავის შეეპარება, თითქოს ეს სისუსტეა. გარწმუნებთ, ყველაფერი წესრიგშია“, — განაცხადა დმიტრი მედვედევმა.

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა**
**გულბაათ ჭავჭავაძემ.**

# ugulava da `Telasi~, miSa da `visoli~ fuls texaven, anu rogor ateroreben nacteleviziebi wasvlis msurvel Jurnalistebs



ცნობილი ამბავია, ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა. ისეთებიც, რაც არსად მოსულა. როგორც ჩანს, ეს ამბავი სხვებზე უკეთესად თბილისის არჩეულმა მერმა იცის და ისე იქცევა, როგორც სიტუაცია უკარნახებს. ბოლო მოქმედებით თუ ვიმსჯელებთ, გიგი უგულავამ არა მარტო ის იცის, რომ ბევრი ფული ცოტას სჯობია, არამედ, ისიც, რომ ეს ფული მალე ძალიან დასჭირდება და მის დაგროვებაზე აქედანვე უნდა იზრუნოს. ამჯერად, არ ღირს იმის კითხვა, რისთვის ჭირდება უგულავას ბევრი ფული? შეიძლება, ზუსტი პასუხი ვერ გავცეთ, თუმცა მაინც მივყვეთ ფაქტებს.

## უგულავა „თელასის“ დახმარებით ფულს ტეხავს

წინა ნომერში „საერთო გაზეთი“ წერდა იმის შესახებ, რომ „თელასმა“ აბონენტებისთვის ქვითრების დარიგება ორი კვირით დააგვიანა. როგორც თვითონ აცხადებდნენ, საჯარო რეესტრიდან ელოდებოდნენ მობინადრეთა ჩაწერის სრული სურათის მიღებას. შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, მაგრამ მთავარი ძაღლის თავი სხვაგან აღმოჩნდა დამარხული. „თელასმა“ არა უბრალოდ შეაფერხა ქვითრების დარიგება, არამედ, გადაცილებული ორი კვირის განმავლობაში დახარჯული ელექტროენერგიაც ზედ მიამატა და ისე დაურიგა აბონენტებს. მაგალითად, თუ წინა თვეებში დანახარჯის აღრიცხვა ხდებოდა ოც რიცხვში, ამჯერად, ეს პროცედურა ჩაატარეს მომდევნო თვის პირველ რიცხვებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეებს ერთჯერადად ბევრად გაზრდილი გადასახადის გადახდა მოუწიათ. ჯერ ერთი, გაიზარდა კილოვატ-საათების მაჩვენებელი, რამაც ხშირ შემთხვევაში 300-ს გადააჭარბა და შესაბამისად, მაქსიმალური ტარიფი ამოქმედდა. მეორეც, მოგეხსენებათ, როცა დენი წერს, იწერება ნაგავიც. თბილისელებმა ფაქტობრივად, აქაც ორჯერ მეტი თანხა გადაიხადეს.

უგულავას მაქინაციებით თითო ოჯახიდან მერიამ სულ ცოტა 20-25 ლარი მაინც ამოიღო დამატებით. გადაამრავლეთ ეს რიცხვი ოჯახების რაოდენობაზე და ნახავთ, ერთი ხელის მოსმით, რამდენი მილიონი გააკეთა არჩეულმა მერმა. ოღონდ ნუ შეგვეკამათებით, რომ უგულავამ არაფერი იცის და „თელასი„ მოხალისე ქველმოქმედია, რომელსაც ძალიან უნდა, დასუფთავების სამსახურს ფული აშოვნინოს. საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ამგვარი „წვრილმანი“ მაქინაციები ბოლო დროს იშვიათი არ არის. რატომ უნდა უნდოდეს არჩეულ მერს არჩევნების წელიწადს კიდევ უფრო გაამწაროს საკუთარი თანაქალაქელები? ფულის შოვნის წყაროები და შესაძლებლობები შემცირდა და იმიტომ. ერთადერთი უშრეტი წყარო ამ ქალაქში ღარიბი მოსახლეობაა და უგულავასაც რა ენაღვლება, შოულობს, როგორც შეუძლია. ჩვენში დარჩეს და, ეს ბიჭი ისე ირჯება, არ არის გამორიცხული, ეს ფული მარტო თავისთვის უნდოდეს. ჭკვიანია, მეორე ვადით არჩევას ეგ ველარ მოესწრება და რა ქნას, ფულიც აღარ იშოვოს?! გასაქცევად რომ გაუხდება საქმე, მერე ხომ არ დაიწყებს ჩალიჩს. მით უფრო, რომ ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა და არავის არაფერი უკვირს.

## თუ ბიჭიკე!

ნაცმოძრაობას, როგორც ჩანს, გული ცუდს უთქვამს და ყველამ ერთად თუ არ იყოჩაღა, შესაძლოა, წლის ბოლომდე ნაციონალური პარტიის ბუნდღა აღარ დარჩეს. თუ საზოგადოებამ ბოლომდე გაიცნობიერა, რომ სააკაშვილი ქვეყნის მმართველი ვერანაირი ფორმით ველარ იქნება, უკანონოდ მოქმედების უფლებას კი დასავლეთი არ მისცემს, ფაფუ, ნაცმოძრაობა და გამოჩენილი ნაციონალები. მოგვჭამა ყველამ ერთად ჭირი. მოსასწრები სწორედ ახლაა და ხელისუფლება ნაცნობი ხერხებით ცდილობს საზოგადოების დატერორება-დაშინებას. ეს ერთადერთი იარაღია, რაც ხელში შემორჩათ. ნაცებს ისევე ეშინიათ ახალი დამოუკიდებელი ტელევიზიის გამოჩენის, როგორც გასული წლის ოქტომბერში ივანიშვილის გამოჩენამ შეაშინათ. ამიტომ ყველანაირად ცდილობენ, ეს საქმე ან საერთოდ ჩაიშალოს, ან კარგა ხნით გაჭიანურდეს.

ვიდრე ტერორის ამბავს შევეხებით, მოკლედ იმის შესახებ, რომ ბიუჯეტს მართლა გაუჭირდა და ტელევიზიებმაც ქამრების შემოჭერა დაიწყეს, უფრო სწორად, დააწყებინეს. მაგალითად, „ალანია“, ანუ რეგიონ-ტივი, პირველ კავკასიურ არხს შეუერთეს. ეს უკანასკნელი წრუბელასავით აზის ბიუჯეტს და საზოგადოებრივ მაუწყებელს და იოლად გააქვს თავი. თავდაცვის სამინისტროსთან არსებული „საქართველო“ რუსთავი-2-ს მიუერთეს და ბევრი გადაცემა შეკვეცეს. „იმედში“ ახალი წლიდან ხელფასების დარიგება პრობლემური გახდა და საერთოდაც, არავინ იცის, ვის და რას მიუერთებენ ამ, ვითომ დამოუკიდებელ ტელევიზიას.

ამის მიუხედავად, სახელისუფლებო ტელევიზიების ვერც ერთი თანამშრომელი ვერ ახერხებს, დატოვოს ძველი სამსახური და ახლადგახსნილ ტელევიზიაში გადავიდეს, სადაც ბევრად კარგ პირობებს სთავაზობენ. მიზეზი ხელისუფლების ტოტალური ტერორია. ყველა ნაციონალური არხიდან ბევრი ცნობილი სახე აპირებდა წამოსვლას, მაგრამ ყველას თითო „ფეხის დასაჭერი“ ადგილი მოუძებნეს. მაგალითად, ძალიან ცნობილ ტელეწამყვანს „იმედიდან“ (გვარის დასახელებისგან ამჯერად თავს შევიკავებთ) გაუხსენეს, რომ მის ძმას პირობითი სასჯელი ჰქონდა და წასვლის შემთხვევაში, უკან, ციხეში შეაბრუნებდნენ. გასულ კვირას ყველა ტელევიზიაში ჩაატარეს გაფართოებული თათბირები, სადაც ხელმძღვანელებმა არც თუ ორჭოფულად გააფრთხილეს თანამშრომლები: ვინც დატოვებს ტელევიზიას და ივანიშვილისკენ გაიხედავს, მისი არა თუ ოჯახის, ახლო სანათესაოს ყველა წევრს დაატოვებინებენ სამსახურს, გაუხსენებენ ძველ ცოდვებს, ან უკან ციხეში შეაბრუნებენ. სახელისუფლებო არხების ჟურნალისტები ახალი ტელევიზიის გახსენებაზე ნერწყვებს ყლაპავენ, მაგრამ ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავენ. იციან, აუსრულებენ დანაპირებს.

## ძალიან დამოუკიდებელი მარეგულერებლის ოინები

ჯერ არ გახსნილ ტელევიზიასთან ბრძოლის კიდევ ერთი ბერკეტი ხელისუფლებისთვის კომუნიკაციების მარეგულირებე-



ლი ეროვნული კომისიაა. მოგეხსენებათ, ეს ვითომ დამოუკიდებელი სტრუქტურა ნაციონალების ფავორიტების დასაქმების ადგილია. კომისიის წევრის ყოველთვიური ხელფასი 10-14 ათას ლარს აჭარბებს და იქ მოხვედრა სააკაშვილთან შეთანხმების გარეშე შეუძლებელია. ადვილი წარმოსადგენია, ეს ხალხი ნაცების დაძახილზე როგორი შემართებით ილვაწებენ.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ახალი ტელევიზია შპს „იგრიკას„ მიერ მიღებული ლიცენზიით აპირებს მაუწყებლობის დაწყებას. არხის მთავარი ხიბლი ის იქნება, თუ დამფუძნებლები შეძლებენ და მთელი საქართველოს მასშტაბით მოახერხებენ მაუწყებლობას. ამისათვის კომპანიამ მარეგულირებელს დამატებით სთხოვა სარელეო ხაზზე გასვლის ნებართვა, რითიც შესაძლებელი იქნებოდა, პრაქტიკულად საქართველოში ყველა ოჯახს ოთახის ანტენით მიეღო მაუწყებლობა. ბუნებრივია, სატელიტური ანტენის შეძენის საშუალება ბევრს ხელმოკლეობის გამო არ გააჩნია. თებერვლის დასაწყისში უნდა შეკრებილიყო მარეგულირებელი კომისია და სარელეო ხაზის საკითხი განეხილა, მაგრამ კვორუმი არ შედგა. სხდომაზე მხოლოდ ორი წევრი გამოცხადდა.

კანონი უფლებას აძლევს კომისიას, რომ ტელევიზიის საკითხი ორი თვის განმავლობაში განიხილოს და გადაწყვიტოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სარელეო ხაზის გამოყენების უფლებას ტელეკომპანია კიდევ ორი თვის განმავლობაში ვერ მიიღებს. კომისია რამდენჯერმე შეიკრიბება და კვორუმი ყოველთვის არასაკმარისი იქნება. ასე იქნება ეს, რადგან მარეგულირებელი კანონმორჩილი კი არა, მიშამორჩილია და თუ ჭკვიანად არ იქნებიან, 14 ათასი ლარიც, როგორც ნაციონალები, ფაფუ, ერთ დღეში გაქრება. მიშას ხომ ჰგონია, რომ მამამისის ქონებას არიგებს და როგორც უნდა ისე იქცევა. სამწუხაროდ, ხშირად ჩვენც იგივე განწყობა გვაქვს და მის მოწყალებას ისე ველოდებით, როგორც ცის მანანას უდაბნოში.

## ნამეტანი გაუჭირდა „ვისოლს“, ნამეტანი

რაკი ხელისუფლების ფინანსურ გაჭირვებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთ ახალ ამბავსაც უნდა შევეხოთ. ახლახან საქართველოს ნავთობპროდუქტების სექტორმა განვლილი წელი შეაჯამა და ხელგაშლილი კაცივით, ჯილდოები ჩამოარიგა. ბაზარზე მოქმედმა ყველა კომპანიამ რაღაც ნომინაციაში გაიმარჯვა. ყველაზე მდიდარი და ლიდერი „სოკარ ჯორჯია“ აღმოჩნდა. ისე, სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვით ნაცებისა და ზოგადად, ხელისუფლების გასაგონად. „დამოუკიდებელი“ ტელევიზიები სხვის სახეებს რომ დასდევენ და შევარდნაძის კადრებს ეძებენ ოპოზიციურ მოძრაობებში, კარგად გახედონ „სოკარის“ მეწილეებსა და ხელმძღვანელებს. მაგალითად, კომპანიის წილის მფლობელი და დირექტორი დავით ზუბიტაშვილი, რომელმაც დაჯილდოებაზე მთავარი პრიზი მიიღო, შევარდნაძის ყოფილი მინისტრია და არა ერთ ფინანსურ სკანდალში იყო გახვეული. მერე რა, სააკაშვილს ასე უნდა და ვერც ვერაფერს ხედავს და ვერც ვერაფერს ამჩნევს. თუმცა ეს, ისე, სასხვათაშორისოდ.

მთავარი სათქმელი ის არის, რომ დიდი „წარმატების“ მიუხედავად, ბოლო დროს სააკაშვილების პირად კომპანია „ვისოლს“ ფინანსურად გაუჭირდა. უფრო სწორად, აღარ ჰყოფნით ის შემოსავლები, რასაც დღემდე ღებულობდნენ. კომპანიამ მარტივი გამოსავალი იპოვა: ბენზინს იპარავს. ამ თემით მაშინ დავინტერესდით, როცა ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე ინციდენტს გადავაწყდით. მძღოლი უმტკიცებდა მომსახურე პერსონალს, ბაკში 40 ლიტრი ჩადის, რამდენიმე ლიტრი ისედაც მესხა და 42 ლიტრი როგორღა ჩაეტიაო. ამის მერე გამოვიკითხეთ, და აღმოჩნდა, რომ იგივე პრობლემა ბევრს აწუხებს. „ვისოლის“ სადგურებში შეხლა-შემოხლამ იმატა. შესაძლოა, მომსახურე პერსონალი არც არაფერ შუაშია, რადგან გულწრფელად ირწმუნებიან, არ ვიცით, დანადგარები ასე უჩვენებსო.

ეგრეა, ეგრე. ამ ქვეყანაში არავინ არაფერი იცის და ყველა უკანონობას მხოლოდ დანადგარები უჩვენებენ. მიშა და უგულავა კი გულაობენ და ისეთი პირი უჩანს, გასაქცევ ფულს აგროვებენ. ჩვენს ხარჯზე, რაღა თქმა უნდა.

**მანანა გეგიძე**



# ratom icvleba socialurad daucveli ojaxebisaTvis saxelmwifo daxmarebis miniWebis kriteriumi?

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების მინიჭების კრიტერიუმი ყოველწლიურად იცვლება. თუ გასულ წლებში ოჯახის საკუთრებაში მყოფი საბჭოთა წარმოების მაცივარი, ტელევიზორი ან მობილური ტელეფონი მნიშვნელოვანი ღირებულების საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთად ითვლებოდა, ახლა მათ თავიანთი ღირებულება დაკარგეს და ბენეფიციარის ქონების აღწერისას ამ ნივთებს "ფუფუნებად" აღარ თვლიან. ქონების აღწერისას აღარ აღინუსხება იურიდიული პირის მიერ ნაჩუქარი ნივთები, იმ შემთხვევაში თუ ოჯახს ნაჩუქრობის დამადასტურებელი დოკუმენტი ექნება — თუ ხელმოკლედ ცხოვრობთ და თქვენი ახლობელი ან მეზობელი რაიმე არასაბჭოური წარმოების ნივთს გაჩუქებთ, მჩუქებელს უნდა სთხოვოთ, რამდენიმე საათიც (საუკეთესო ვარიანტში) დაკარგოს და ნოტარიუსთან გამოგყვეთ, რათა ნაჩუქრობის დოკუმენტი გააფორმოთ, რასაკვირველია, თან უნდა იქონიოთ რამდენიმე დღის სადილის (და დღევანდელი კანონმდებლობით დადგენილი საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, ვახშმისაც) თანხა, რადგან ნაჩუქრობის დოკუმენტის ოფიციალურად გაფორმება უფასო არ გახლავთ. ამის შემდეგ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ აცნობოთ შესაბამის ორგანოს თქვენი მდგომარეობის უკეთესობისკენ ცვლილება, (თუმცა სავარაუდოდ, ქულებს არ დაგაკლებენ, რადგან თან ნაჩუქრობის დოკუმენტი გექნებათ), თუ თავად არ აცნობეთ სააგენტოს, პერიოდულად მდგომარეობის გადასამოწმებლად მოსული სოც. აგენტი შეამჩნევს ნივთს და ახსნა-განმარტების მიცემა მოგიწევთ.

საქართველოში დაახლოებით 150 000 ოჯახი იღებს სოციალურ დახმარებას. რასაკვირველია, ყველას თანაბრად არ ეხმარებიან, ქულების მიხედვით, ზოგი გარკვეულ თანხას იღებს, ზოგიც მხოლოდ დაზღვევას და ზოგიც სტატუსს და ამ სტატუსის დახმარებით საზოგადოებრივი ტრანსპორტით 0,20 ლარად მგზავრობს. ურწმუნოებისათვის, პირად მაგალითს მოვიტან: ჩემი შვილი ქ. თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში სწავლობს. მის კლასში 5 ბავშვი სოციალურად დაუცველი ოჯახიდანაა, თუმცა არც ერთს არ ეყო ქულები განათლების სამინისტროსგან სახელმძღვანელოების მისაღებად. არადა, თვეების განმავლობაში მთავრობა თავს იწონებდა იმ ფაქტით, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებს სახელმძღვანელოები უფასოდ დაურიგდათ.

სოციალურ ქსელზე ამოვიკითხე, შრომისუუნარო, 79 წლის ინვალიდს, რომელიც სამი კვადრატული მეტრის ფართში რკინის ჯიხურში ცხოვრობს, სოციალურმა აგენტებმა რკინის ჯიხური მუდმივ საცხოვრებელ ადგილად არ ჩაუთვალეს და დეკლარაციის შევსებაზე უარი უთხრესო. საწუხაროდ, ამ ინფორმაციის გადამოწმება ვერ მოვახერხე, მაგრამ გადავწყვიტე, გამერკვია რეალურად როგორ ხდება დეკლარაციის შევსება და ე.წ. "ქულების" მინიჭება. მოვიძიე ორი ოჯახი, რომელთაგან, ორივეს ჰქონდა განაცხადი დატოვებული დეკლარაციის შევსებაზე სოციალური სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში, თუმცა, ერთმა მოახერხა დეკლარაციის შევსება და დახმარების მიღება და მეორემ — ვერა.

შევადარე ამ ორი ოჯახის პირობები: ერთი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს, ბინაც არ ეთქმის, სულ ერთი ოთახია, ორი ცხოვრობენ, დედა და შვილი, შვილი მოსწავლეა და გაკვეთილების შემდეგ გახანგრძლივებულ ჯგუფში რჩება, რადგან დედა მცირედანაზღაურებად სამსახურში მუშაობს და ვერც ბავშვის გამოყვანას ახერხებს გაკვეთილების დამთავრების შემდეგ სკოლიდან და ვერც ძიძის აყვანას. გაჭირვებით ახერხებენ ქირის გადახდას და თავის გატანას. თუმცა, კინაღამ დამავიწყდა, ტელევიზორი აქვთ, თან არა საბჭოური წარმოშობის, ანუ ის, რომელიც ჯერ კიდევ ითვლება "ფუფუნების" საგნად. მართალია, ტელევიზორი ნაჩუქარია, მაგრამ ნაჩუქრობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნიათ. ამის მიუხედავად, მარტოხელა დედამ მაინც "გარისკა" და შეიტანა განცხადება დეკლარაციის შევსებაზე, რადგან "გამოცდილმა სოც. დაუცველებმა" უთხრეს, მთავარია, მაცივარი არ უნდა გქონდესო.

მეორე ოჯახი სამოთახიან საკუთარ ბინაში ცხოვრობს. ოჯახში 5 სულია, აქედან 4 მუშაობს, მეხუთე დიასახლისია. ერთი სახელმწიფო სამსახურში მუშაობს, დანარჩენი სამი კერძოში. პარადოქსია, მაგრამ სოციალურად დაუცველი ოჯახების 150 000-იან სიას ზუსტად ეს ოჯახი დაემატა, როგორ მოახერხეს? საკმაოდ მარტივად, ამოწერეს შვილები ბინიდან, აგენტს გამოუცხადეს, მხოლოდ ცოლ-ქმარი ვცხოვრობთ აქ და არ ვმუშაობთო (ქმარი კერძო სამსახურში მუშაობს) და ეტყობა, ბენეფიციარის ნათქვამი ან არ მოწმდება ან ვერ მოწმდება. მთავრობისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვის დაეხმარება, მთავარია, რიხით შეუძლია თქვას, რომ 150 000 ოჯახს ეხმარება, ხოლო სოციალური სააგენტოს თანამშრომლები, სავარაუდოდ, კვალიფიციურობით არ უნდა გამოირჩეოდნენ, მათთვის საკმარისია, საბჭოური გამოშვების და ახალი ტელევიზორი განასხვაონ; მაცივარი "ამოიცნონ"; ათამდე თვლა იცოდნენ (ოჯახის წევრები უნდა გადაითვალონ, ყველა სახეზეა თუ არა) და წერა-კითხვა - წერა — დეკლარაციის შესავსებად სჭირდებათ და კითხვა — ნაჩუქრობის საბუთების წასაკითხად.

რაც შეეხება მეორე ოჯახს, ალბათ მიხვდით, რომ დახმარება ვერ მიიღო. ვერ მიიღო, რადგან დეკლარაციის შევსება ვერ მოხერხდა, ქალი მუშაობს, აგენტი კი ზუსტად სამუშაო საათებში მოდის, თან როდის მოვა, არ იცი, პირველ მოსვლაზე აგენტმა მეზობლისაგან გაარკვია, რომ ოჯახი ნამდვილად იქ ცხოვრობდა და მაშინვე წავიდა. რასაკვირველია, ბენეფიციარისთვის არც დაურეკავს და არც ის გაურკვევია, რომელ სათებში იქნებოდა სახლში. ქალმა გადაწყვიტა სოციალური სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში მისულიყო ისევ თხოვნით, იქნებ, როცა სოციალური აგენტი მოვა, დამირეკოს და სამსახურიდან გავეთავისუფლებიო. დაპირდნენ, თუმცა ტყუილად, ისევ იგივე განმეორდა. მარტოხელა დედა იძულებული გახდა ორკვირიანი უფასო შვებულება აეღო სამსახურში, და სახლში ელოდა აგენტს, რადგან მესამე მოსვლა, თურმე, ბოლო მოსვლაა. მოვიდა აგენტი, ამჯერად დედა სახლში დახვდა, მაგრამ ბავშვი იყო სკოლაში და სოციალურმა აგენტმა სახეზე რომ ვერ იხილა მოზარდი, დეკლარაციაში ვერ შევიტანო-გამოაცხადა. არადა, დედას სწორედ ბავშვის გამო სურდა ამ საბუთის აღება, ხშირად ავადმყოფობს და დაზღვევა დამეხმარებოდაო. აგენტი ისევ დეკლარაციის შეუვსებლად წავიდა. დაიბარა: თუ დეკლარაციის შევსება ისევ გნებავთ, თავიდან შემოიტანეთ განცხადება (რადგან, ეს უკვე ჩემი მესამე მოსვლა იყო და შესაბამისად, ძველი განაცხადი გაუქმდაო) და ოჯახის ყველა წევრი სახლში დახვდით სოციალურ აგენტსო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქალს თავიდან უნდა აეღო უფასო შვებულება და შვილსაც სწავლა უნდა გაეცდინა. არადა, არც კი იცი, როდის მოვა აგენტი, სამ დღეში თუ სამ კვირაში. დამეთანხმეთ, ამ დეკლარაციის შევსება საკმაოდ ძვირი უჯდებოდა ამ ოჯახს, მით უფრო, რომ ნახევარი თვის სარჩო უკვე ისედაც ტყუილუბრალოდ დაკარგეს და... ხელი ჩაიქნიეს. დამშვიდობებისას, მინდოდა მათთვის მეთქვა — ყველაფერი კარგად იქნება! — მაგრამ ვერ შევძელი...



სახლისკენ მომავალი, გზად პრეზიდენტის ესკორტს გადავეყარე. რამდენიმე წუთით მოძრაობა შეაჩერეს. ვიდექი და თბილისელებს ვუყურებდი. იდგნენ უტყვად, უსიტყვოდ, კუშტი სახეებით, სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ მანქანების ხმაური არღვევდა. ეს არ იყო მონური სიჩუმე, ეს სიჩუმე იმის ნიშანი იყო, რომ მე ვიცი, შენ იცი და ჩვენ ვიცით...

**თამარ კუშელავა**

---

teleNEWS

**ლაშა ნაცვლიშვილი:** რაც შეხება სააკაშვილისა და ობამას შეხვედრას, ჩემის აზრით, შეფასებისას მოხდა გადაჭარბება ორივე მხრიდან. თუმცა გადაჭარბება მოხდა მოლოდინებში; ერთი ნაწილი ელოდით, რომ ობამა ადგილზე მოხსნიდა მიშას და ეტყოდა, რომ შენ დირექტორი ველარ იქნები, მეორე ნაწილის მოლოდინი კი - ობამა ეტყოდა, კიდევ გიგრძელებ უფლებამოსილებასო. როგორც ერთ მხარეს, ისე მეორე მხარეს იმედგაცრუება ელოდა და ეს ასეც მოხდა. ვფიქრობ, რომ ამ შეხვედრით რაღაც განსაკუთრებული - ცუდი ან კარგი არ მომხდარა; საქართველომ მიიღო თავისი სტრატეგიული პარტნიორის კიდევ ერთი საჯარო დადასტურება საკითხების ძალიან ფართო სპექტრზე - თავდაცვა და უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა, ეკონომიკური საკითხები და რაც მთავარია, დემოკრატიული ფასეულობები, ხელისუფლების არჩევითობა და ცვალებადობა. ახლა სჭირდება ჩვენს დემოკრატიას კონსოლიდაცია. დამოუკიდებელ საქართველოს ჰყავს მესამე ლიდერი; პირველი ლიდერი ჩვენ შეიარაღებული გზით დავამხეთ, მეორე ლიდერი საკონსტიტუციო ვადებში ვერ წავიდა, თუმცა ეს იყო მშვიდობიანი უსისხლო ცვლა, და ახლა ჩვენ გვჭირდება პრეცედენტი - გვყავდეს პოლიტიკური პენსიონერი პრეზიდენტი. ეს იქნება დემოკრატიული ტრადიციის შექმნა. ეს პრეცედენტი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ფორმალური საშუალებები, რომელსაც ეძებს საქართველოს ხელისუფლება, ეძებს საბაბს, როგორ მომატყოს ბედისწერა, კანონი, ტრადიცია და დარჩეს ხელისუფლებაში. ამერიკის მესიჯი ყოველთვის არის ის, რომ ისინი ყველა ზომას იხმარენ და დაეხმარებიან ქართველ ხალხს, რათა არ დაუშვან სააკაშვილის პუტინიზაცია. ამ დისკუსიის ოპონენტები, ანუ ხელისუფლების წარმომადგენლები აპელირებენ და ეკვილიბრისტიკა მიდის ამ ტერმინისა, რომ პუტინი მხოლოდ ფორმალურად გახდა პრემიერი და ა.შ. რითაც არსი არ იცვლება. მინდა მოვიყვანო ალექსეი ვენედიქტოვის ინტერვიუ, რომელსაც პუტინის თანამოაზრეს ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. სხვათა შორის, ის ცნობილი პუტინის ინტერვიუ საქართველოსა და აკუნინზე იყო პასუხი ვენედიქტოვის მწვავე კითხვებზე. მინდა აღვნიშნო, რომ ვენედიქტოვმა შარშან ზაფხულს ინტერვიუ ჩაწერა კახა ბენდუქიძესთან, რომელიც ასევე ლაპარაკობდა რუსეთის ლიბერალიზაციაზე. რასაც მოგვიანებით ბიძინა ივანიშვილს ასე აყვედრიდა ნაციონალური მოძრაობა. ხოლო ივანიშვილის ნათქვამი რომ მართლდება და რუსეთში ლიბერალიზაციის პროცესი დაიწყო, ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ფედერალურ არხებზე, თოქ-შოუებში მონაწილეობას იღებს ისეთი ხალხი, როგორიცაა რიჟკოვი და ნემცოვი. ეს დაახლოებით ისეთი ნონსენსია „ტაბულაში" იგორ გიორგაძემ რომ ბლოგი წაიყვანოს. ფედერალურ არხებზე თოქ-შოუში არასისტემური ოპოზიციის გამოჩენა ეს არის სისტემური ცვლილებების ინდიკატორი. რა თქმა უნდა, იქ არის საარჩევნო კამპანია და პუტინს სჭირდება ხელისუფლებაში დაბრუნების ლეგიტიმაცია... ისევ ვენედიქტოვის ინტერვიუს დავურქმევთ: „ მე მგონია, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი აშენებს აზიურ სინგაპურს, სადაც მოქალაქისა და ტურისტებისათვის ყველაფერი ხელსაყრელია მანამ, ვიდრე ის არ არის დაკავებული პოლიტიკით და არ მიიწევს ხელისუფლებისკენ. როგორც კი ის იწყებს ხელისუფლებისკენ სვლას, მაშინ ამხანაგი ლი პოულობს საშუალებას, არ გაუშვას ის ხელისუფლებაში. ამაშია მთელი არსი. ანუ თუკი იქ არის დემოკრატია (საქართველოში) ის სინგაპურული დემოკრატიაა. პრობლემები არის ოპოზიციაშიც, პრობლემები აქვს ბიზნესმენებს, რომლებიც აფინანსებენ ოპოზიციას, სპეცსამსახურებში მოსმენა-თვალთვალთან დაკავშირებით და ა.შ. ანუ ასეთი აღმოსავლური დემოკრატიაა. და მთავარი, პრობლემაა კონსტიტუციის ცვლილებებთან დაკავშირებით. ის ცვლილებები, რომელიც შედის კონსტიტუციაში, რათა საპრეზიდენტო რესპუბლიკა გადაიქცეს ნახევრადსაპრეზიდენტო ან ნახევრადსაპარლამენტო რესპუბლიკად, ყოველივე ეს ზუსტად ჰგავს იმ ამბავს, რომელიც 2006-ში განიხილებოდა ძველ მოედანზე, რათა ამხანაგი პუტინი გამხდრაიყო მთავრობის მეთაური არა საპრეზიდენტო, არამედ ნახევრადსაპრეზიდენტო-ნახევრადსაპარლამენტო რესპუბლიკაში. აი, თქვენი საპრეზიდენტო რესპუბლიკა. პრეზიდენტი ამთავრებს მეორე ვადას და არ შეუძლია მესამედ იყაროს კენჭი და ალბათ, გახდება პრემიერი. ძალაუფლების ცენტრი ინაცვლებს. ქართული კონსტიტუციის ცვლილებები უკვე ცნობილია. არჩევნები 2013-შია. მაგრამ თუ საზოგადოება დემოკრატიულია, პრეზიდენტის წასვლასთან ერთად საჭიროა კი კონსტიტუციის შეცვლა პარლამენტის სასარგებლოდ?! რატომ? რისთვის? მე ვიცი ეს ცვლილებები და ის ცვლილებებიც!"



მოდით, ისევ სააკაშვილისა და ობამას შეხვედრას დავუბრუნდეთ. ახლახან გამოქვეყნდა თომას დე ვაალის ინტერვიუ. მიხეილ სააკაშვილს აქვს საშუალება აირჩიოს ვაშინგტონის გზა ან პუტინის გზა. მე უფრო ძალიან მაინტერესებს, ჩვენი, ქართველი ხალხის არჩევანი რა არის?! მიხეილ სააკაშვილს არჩევანი გაკეთებული აქვს, ის ცდილობს, დარჩეს ხელისუფლებაში. ჩვენ თუ მივცემთ ამის საშუალებას, ის დარჩება ხელისუფლებაში და ამას ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებს გარედან, რადგან ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხს შეიძლება ფერუმარილი ესმებოდეს გარედან, მაგრამ საკითხი წყდება იმ ქვეყანაში იმ ქვეყნის მოქალაქეების მიერ, სადაც ეს ხელისუფალი ოპერირებს. მთავარი „ბრალდება" რომელიც ბატონ ბიძინა ივანიშვილს წაუყენეს იყო ის, როცა მან თქვა, რომ პუტინი რუსი ხალხის არჩევანიაო. და ამაში აბსოლუტურად ვეთანხმები. რადგან არანაირი მნიშვნელობა არა აქვს დემოკრატია ხელისუფალი თუ ავტორიტარი, სანამ ეს ხელისუფალი მართავს ქვეყანას და მოქალაქეები ეგუებიან არჩეულ თუ თავსმოხვეულ ლიდერს, ის არის მათი არჩევანი. მიხეილ სააკაშვილი ჩვენი ყველას არჩევანია. მუბარაქი იყო ეგვიპტელი ხალხის არჩევანი, ვიდრე ეგვიპტელი ხალხი ეგუებოდა ამას. ჩვენ რა თქმა უნდა გარკვეული ტრამვა ჩვენი არჩევანის დომინანტურობისა ხელისუფლების ფორმირების პროცესში მივიღეთ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, როდესაც ჩვენ განცდა გვქონდა, რომ ჩვენ ეს კაცი არ აგვირჩევია პირველ ტურში, მან მოიპარა არჩევნები და „გაუპრავეს" ეს საქციელი დასავლეთიდანაც, აღმოსავლეთიდანაც და ჩრდილოეთიდანაც. შესაბამისად, ეს ტრავმა დღემდე გამოგვყვა და აბსოლუტურად გასაგებია ჩვენი მოქალაქეების ეჭვი, ხომ არ მოხდება ისევ მსგავსი პრეცედენტის გამეორება. ანუ ხომ არ მოიპარავს ისევ არჩევნებს სააკშვილი. ამ ხელისუფლების ლეგიტიმაცია, ანი და ჰოე, არსი, ქარიზმა ხომ სააკაშვილშია. მიშა აძლევს იმ საქმეების კეთების უფლებას ოპერატიული სამსახურების მუშაკებს, რაზეც ადრე ვილაპარაკეთ და სწორედ მიშა იწვევს შიშს ხალხში.

აბსურდია იმის მტკიცება, რომ მიხეილ სააკაშვილს და ნაცმოძრაობას მხარს უჭერს 75%, მაგრამ ასევე აბსურდია იმის თქმაც, რომ სააკაშვილს არ ჰყავს მხარდამჭერები. ისეთ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო სუფსიდიაზე ძალიან ბევრი ადამიანია დამოკიდებული, იშვიათიად ხდება, რომ ხელისუფლების მხარდამჭერთა ოდენობა ჩამოსცდეს 15-18%. ხოლო 18-20% ზემოთ რასაც ახერხებს ასეთი ტიპის ხელისუფლება, ეს არის პროპაგანდის, რეპრესიის და მოწინააღმდეგე ბანაკში დეზორგანიზაციის, ნიჰილიზმის შეტანის გზით. სააკაშვილს და ნაცმოძრაობას აქვს თავისი საქმე. შესაბამისად, ჩვენ, ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც ირაზმება ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ, უნდა გვქონდეს ჩვენი დღის წესრიგი. უნდა მოვემზადოთ ინფრასტრუქტურულად, ემოციურად, ადამიანურად, ფინანსურად, რომ გავაკეთოთ არჩევანი და დავიცვათ ეს არჩევანი. ხოლო პოლიტიკოსების ამოცანაა, რომ ცვლილებებზე ორიენტირებულ საზოგადოებაში არ შეიტანონ ნიჰილიზმი, არ გახლიჩონ ის. ერთმანეთის კინკლაობას არ გადააყოლონ. ბიძინა ივანიშვილის ფრთებქვეშ და ქართველი ამომრჩევლის ხარჯზე ურთიერთანგარიშსწორებას ყველამ უნდა დაანებოს თავი.

დღეს შეიძლება ითქვას, რომ ტექნოლოგიები მუშაობს მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. ინგლისური ენის მასობრივი სწავლების ინიცირებას ხელისუფლების მხრიდან აღმოაჩნდა მეორე მხარეც, როდესაც პროპაგანდისტულმა მანქანამ სცადა გაეყალბებინა ობამა-სააკაშვილის პირდაპირი დიალოგის თარგმანი, ძალიან ბევრი მოქალაქე აღმოჩნდა, რომელიც მიხვდა ამ სიცრუეს. ანუ საკაშვილი რომ ხელისუფლებაში დარჩეს, ამისათვის საქართველომ უნდა განიცადოს დეჰაიტაკიზაცია, რაც შეუძლებელია.

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# yvelaze xalxmravali dasaflavebi

**ყველაზე მასშტაბურად აიათოლა ჰომეინის დასაფლავება ითვლება. დიდი ხანი არ არის, რაც ფხენიანში ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ირის დასაფლავების ცერემონიალი ვიხილეთ. მაგრამ, მოდით, ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, თანმიმდევრობით მივყვეთ და წინა საუკუნის გრანდიოზული დასაფლავებები გავიხსენოთ.**



## ვლადიმერ ლენინი

დაიბადა 1870 წელს 22 აპრილს, გარდაიცვალა 1924 წლის 21 იანვარს.

სერიოზული დაავადებების ნიშნები 1922 წლის მაისში გამოუვლინდა. 1923 წლის მარტიდან მუდმივად ცხოვრობდა მოსკოვის სიახლოვეს, გორკაში, საიდანაც მართავდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს ქვეყანაში. 1924 წლიდან მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა, 21 ანვარს 18.59 წთ-ზე ლენინი გარდაიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევით. გამოსათხოვარი პანაშვიდები ბელადთან 5 დღეს მიმდინარეობდა საბჭოების სასახლის სვეტებიან დარბაზში. 27 იანვარს ბელადის ცხედარი მავზოლეუმში გადაასვენეს, მავზოლეუმი სპეციალურად იქნა აგებული წითელ მოედანზე, დასაწყისისთვის დროებით, 1930წლიდან კი მუდმივად მავზოლეუმად გადაკეთდა. ლენინის ცხედარი დღემდე მავზოლეუმში განისვენებს. გარდაცვალებიდან პირველი ექვსი კვირის განმავლობაში მისი ცხედარი 100 000 ადამიანმა მოინახულა. იმ ხანებში მოსკოვში 1,5 მლნ ადამიანი ცხოვრობდა.

## მუსტაფა ქემალ ათათურქი

დაიბადა 1881 წლის 12 მარტს, გარდაიცვალა 1938 წლის 10 ნოემბერს.

1923 წელს 29 ოქტომბერს ქემალი გახდა თურქეთის პრეზიდენტი და დაიწყო არისტოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, ეს იყო მისი რეფორმის პირველი ნაბიჯები. ქვეყანაში ყალიბდებოდა მრეწველობა და საბანკო სისტემები, ნაწილდებოდა მიწები და განვითარების ახალ სისტემებზე გადადიოდა ქვეყანა.

ჯანმრთელობის გაუარესების პირველი ნიშნები ათათურქს 1937 წელს აღენიშნებოდა, 1938 წელს ექიმებმა ღვიძლის ციროზის დიაგნოზი დაუსვეს, რაც ქრონიკული ალკოჰოლიზმით იყო გამოწვეული. მიუხედავად ამისა, ქემალი აგრძელებდა მოღვაწეობას თურქეთის განვითარებისთვის



სიცოცხლის ბოლო დღეებამდე. იგი 10 ნოემბერს გარდაიცვალა, 9საათსა და 5წუთზე. მისი სიკვდილი საერთოეროვნულ გლოვად იქცა. სამგლოვიარო ცერემონიალში მონაწილეობდა არა მხოლოდ დიპლომატიური კორპუსი, არამედ რამდენიმე უცხოური სამხედრო ნაწილიც, მათ შორის რუსეთის სამხედრო ნაწილებიც.

## ფრანკლინ დელანო რუზველტი

დაიბადა 1882 წლის 30 იანვარს, გარდაიცვალა 1945 წლის 12 აპრილს.

იგი აშშ-ის 32 პრეზიდენტი იყო. ერთადერთი მმართველი, რომელიც ოთხჯერ აირჩიეს პრეზიდენტად. იგი ხელმძღვანელობდა შეერთებულ შტატებს დიდი დეპრესიის დროს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

პოლიტიკით 1910 წლიდან არის დაკავებული. რუზველტი დემოკრატიული პარტიის ლიდერი იყო. გახლდათ სენატორი და საზღვაო მინისტრის თანაშემწე. ნიუ-იორკის გუბერნატორის პოსტი ორჯერ ეჭირა. 1932 წელს მან საპრეზიდენტო არჩევნებში ჰერბერტ ჰუვერს მოუგო და შემდეგ სამჯერ გახდა პრეზიდენტი – 1936 წელს, 1940 და 1944 წლებში. გაატარა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, რაც აუცილებელი იყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების პერიოდში. მეორე მსოფლიო ომის დროის ის იყო ერთ-ერთი ლიდერთაგანი ანტიჰიტლერული კოალიციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსების ინიციატორი.

1921 წელს რუველტი პოლიომიელიტით დაავადდა და სიცოცხლის ბოლომდე ინვალიდის ეტლს იყო მიჯაჭვული. 1945 წლის 12 აპრილს რუზველტი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა.

სამგლოვიარო ცერემონია არაჩვეულებრივი იყო. ცხედარი არავისთვის უჩვენებიათ, დასაფლავებამდე კუბოსთვის თავი არ აუხდიათ, სანამ უორმ სპრინგსიდან (ჯორჯიას შტატი) ჰაიდ-პარკში



(ნიუ-იორკის შტატი) არ გადაასვენეს, სადაც დაკრძალეს კიდეც. გზებზე, სადაც პრეზიდენტის ცხედარი ჩაატარეს, ათასობით ამერიკელი იყო გამოფენილი, რომლებიც გულწრფელად გლოვობდნენ პრეზიდენტის გარდაცვალებას.

## მაჰათმა განდი

დაიბადა 1869 წლის 2 ოქტომბერს, გარდაიცვალა 1948 წლის 30 იანვარს.

მაჰათმა განდი იყო ინდოელი ხალხის ერთ-ერთი იდეოლოგი და ხელმძღვანელი ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ ქვეყნის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში. იგი არის არაძალადობრივი წიააღმდეგობის ფილოსოფიის შემქმნელი.

პოლიტიკაში 1919 წელს ჩაერთო, ხოლო 1921 წელს ინდოეთის ნაციონალურ კონგრესს ჩაუდგა სათავეში. 1934 წელს პოსტი დატოვა მოწინააღმდეგებთან იდეოლოგიური უთანხმოებების გამო. იგი საზოგადოების კასტობრივ დაყოფას ეწინააღმდეგებოდა.

1947 წელს ბრიტანული ინდოეთისა და თვით ინდოეთსა და პაკისტანის განცალკევების შემდეგ, რამაც რელიგიურ-სახელმწიფოებრივი აჯანყება გამოიწვია დაპირისპირებულ მხარეებს შორის, მაჰათმა განდმა შიმშილობა გამოაცხადა, რამაც განაპირობა ორ მხარეს შორის მშვიდობის დამყარება.

1948 წლის 20 იანვარს მის სიახლოვეს ბომბი აფეთქდა, მაჰათმა გადარჩა, მაგრამ 10 დღის შემდეგ, საღამოს ლოცვისას საკუთარ სახლთან ახლოს, ბაღში ესროლეს. ინდოელი ხალხი მასთან გამოსამშვიდობებლად მას შემდეგ მივიდა, რაც განდის ცხედარი ტრადიციისამებრ აბრიალებულ კოცონზე დაწვეს. მასთან გამოსამშვიდობებლად 6 მილიონამდე ადამიანი მივიდა.



## იოსებ სტალინი

დაიბადა 1879 წლის 21 დეკებერს, გარდაიცვალა 1953 წლის 5 მარტს.

სტალინი გახლდათ ერთპიროვნული ლიდერი მეორე სამამულო ომის პერიოდში, ეკავა უმაღლესი მთავარსარდლის პოსტი, სახელმწოფო შეიარაღებული კომიტეტის თავმჯდომარე, ის იყო ინციატორი სსრკ-ში შექმნილიყო ბირთვული იარაღი თავდაცვისუნარიანობის გასაუმჯობესებლად, მასვე უნდოდა დაემყარებინა სოციალისტური წყობა აღმოსავლეთ ევროპაში.



ქვეყანას სიცოცხლის ბოლო დღეებამდე მართავდა.

1953 წელს სტალინს დაუსვეს სხეულის მარჯვენა ნაწილის დამბლის დიაგნოზი, 5 მარტს, 21 საათსა და 50 წუზე სსრკ-ს ლიდერი გადაიცვალა. ექიმების საბოლოო დასკვნა იყო – სტალინი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა.

6 მარტს სტალინის ცხედარი საბჭოების სასახლის სვეტებიან დარბაზში გადაასვენეს. გამომშვიდობების ცერემონიალი 3 დღეს გრძელდებოდა. 2 მილიონი ადამიანი ემშვიდობებოდა ბელადს. 9 მარტს იგი მავზოლეუმში გადაასვენეს. 1961 წელს 1 ნოემბერს ღამით სტალინის ცხედარი მავზოლეუმიდან გამოიტანეს და კრემლის კედელთან დაკრძალეს.

## ჯონ ფიცჯერალდ კენედი

დაიბადა 1917 წლის 29 მაისს, გარდაიცვალა 1963 წლის 22 ნოემბერს.

იგი ამერიკის 35-ე პრეზიდენტი იყო. პირველი კათოლიკე პრეზიდენტი ამერიკის ისტორიაში, რომელიც დემოკრატიული პარტიიდან გახლდათ წარდგენილი.

კენედის პერიოდში დაიძლია კარიბის კრიზისი. ვიეტნამში შევიდა აშშ-ის რეგულარული სამხედრო ძალები.



ჯონ კენედი გარდაიცვალა ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობისგან. მას ვინტოვკიდან ესროლეს დალასში (ტეხასის შტატი) 12 საათსა და 30 წუთზე, როდესაც საპრეზიდენტო კორტეჟი – პრეზიდენტი კენედი და მისი მეუღლე ჟაკლინი ელმ-სტრიტზე იმყოფებოდნენ.

დალასში სტუმრობა მომავალი, 1964 წლის საპრეზიდენტო არჩვენების კამპანიის ნაწილი იყო. მკვლელობაში ლი ჰარვი ოსვალდი დაადანაშაულეს. ჯონ კენედის დაკრძალვა ვაშინგტონში 25 ნოემბერს შედგა. კაპიტოლიუმში მასთან გამომშვიდობების მსურველთა რიცხვმა 200 000 მიაღწია. კაპიტოლიუმიდან კენედის ცხედარი წმ.მათეს ეკლესიაში გადაასვენეს, იქედან კი სამგლოვიარო მესის შესრულების შემდეგ არლინგტონის მემორიალურ სასაფლაოზე, სადაც მისი საფლავია დღეს.

### შარლ დე გოლი

დაიბადა 1890 წელს 22 ნოემბერს, გარდაიცვალა 1970 წელს 9 ნოემბერს.

იგი იყოს საფრანგეთის არმიის გენერალი, მეხუთე რესპუბლიკის დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი.



დე გოლი პირველი და მეორე მსოფლიო ომების მონაწილე იყო. 1940 წელს 18 ივნისს მან საფრანგეთის მოსხლეობას მოუწოდა შეწინააღმდეგებოდნენ ჰიტლერულ ოკუპაციას, რაც დაედო საფუძვლად ორგანიზაცია „თავისუფალი საფრანგეთის" ჩამოყალიბებას.

ომის შემდგომ ნახევარი წელიწადი იგი ქვეყნის დროებითი მმართველი იყო. თანამდებობიდან წავიდა პოლიტიკური სკანდალების შემდეგ და 1958 წლამდე ის მოქმედი ხელისუფლების ოპოზიციაშია. 1958 წლის 21 დეკემბერს ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ საყოველთაო არჩევნებში გაიმარჯვა და მეხუთე რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა. თანამდებობა 1969 წლის 27 აპრილს დატოვა.

1970 წელს 9 ნოემბერს შარლ დე გოლი თავის კოლომბე-დე-ლეზ-ეგლიზში გარდაიცვალა. მიზეზად აორტის გახლეჩვა დასახელდა.

პარიზში, ღვთისმშობლის ეკლესიაში გადასვენების შემდეგ 12 ნოემბერს სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს. მის გამოსამშვიდობებლად ათასობით ფრანგი მივიდა.

### ფრანცისკო ფრანკო

დაიბადა 1892 წელს 4 დეკემბერს, გარდაიცვალა 1975 წლის 20 ნოემბერს.



გენერალისიმუსი, მინისტრთა საბჭოს წევრი, ესპანეთის დიქტატორი 1939-175 წლებში.

1910 წლიდან არმიაშია და მსახურობს. ესპანეთის უცხოურ ლეგიონში. ის იყო ყველაზე ახალგაზრდა გენერალი ქვეყნის ისტორიაში (გენერალი გახდა 1925 წელს).

1936 წელს 29 სექტემბერს საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, როგორც ნაციონალისტების ახალგაზრდა ლიდერმა და მიიღო კაუდილიოს, ანუ ბელადის ტიტული. 1939 წლის 1 აპრილს მან რესპუბლიკელებზე საბოლოო გამარჯვება გამოაცხადა და იქცა სამხედრო დიქტატორად.

ფრანკოს მეთაურობით ესპანეთმა მეორე მსოფლიო ომის დროს ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა.

კაუდილიოს ინიციატივით ომში დაცემულთა მემორიალი გაიხსნა, რაც ესპანეთის სამოქალაქო ომში დაცემულთა საპატივცემულოდ გააკეთა ფრანკომ.

1973 წელს პარკინსონით დაავადებულმა ფრანკომ მინისტრთა საბჭო დატოვა, ოღონდ ტიტული კაუდილიო შეინარჩუნა.

1975 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა, გარდაცვალების მიზეზად წყლულის გასკდომა დასახელდა. სხვა ინფორმაციით, ცდილობდნენ მისთვის ოპერაციის გაკეთებას, მაგრამ მოულოდნელად მდგომარეობა გაუუარესდა.

ფრანკოს დაკრძალვა სახელმწიფო მნიშვნელობის მოვლენად იქცა, მადრიდის ცენტრიდან ომში დაცემულთა მემორიალამდე ათასობით ესპანელი ემშვიდობებოდა დიქტატორს.

### მაო ძე დუნი

დაიბადა 1893 წლის 26 დეკემბერს, გარდაიცვალა 1976 წლის 9 სექტემბერს.

იგი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დამაარსებელი იყო. ჩინეთის ცენტრალური კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე.

1917 წლიდან პოლიტიკაშია. 1921 წლიან ჩინეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებელთა რიგებში დგას. 1930 წლიდან ჩინეთის კომუნისტების ერთ-ერთი გამორჩეული ხელმძღვანელია. 1940 წლიდან კი ქვეყნის ფაქტობრივი ლიდერი. იგი გახლავთ ე.წ. „კულტურული რევოლუციის" იდეოლოგი.

1971 წლიდან მაო ძე დუნი პარკინსონის დაავადებით დასნეულდა და იშვიათად ჩნდებოდა ხალხში. მაო შუაღამისას გარდაიცვალა 1976 წლის 9 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც სამჯერ გადაიტანა გულის ინფარქტი.



დასაფლავებაზე მილიონი ადამიანი მივიდა.

ერთი წლის შემდეგ მისი დაბალზამებული სხეული პეკინში ტიანანმენის მოედანზე მავზოლეუმში გამოიტანეს, რათა მსურველებს კვლავ შეევლოთ თვალი საყვარელი მაოსთვის.

### აიათოლა მუსავი ჰომეინი

დაიბადა 1900 წლის 17 მაისს, გარდაიცვალა 1989 წლის 3 ივნისს.

აიათოლა ისლამური რევოლუციის ლიდერი იყო ირანში, ხოლო შემდეგ 1979 წლიდან 1989 წლამდე ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი.

პოლიტიკაში 1920 წლის შუა ხანებიდან ჩაერთო. წამოაყენა იდეა შექმნილიყო ირანში თეოკრატიული მმართველობა. 1 თებერვალს ქვეყანაში დაბრუნდა 14-წლიანი დევნილობის შემდეგ, ჩამოაყალიბა მოძრაობა ისლამური რევოლუციისთვის შაჰი მუჰამედ რეზა ფეჰლევის წინააღმდეგ.

ჰომეინი ხელძღვანელობდა ქვეყანას ირან-ერაყის ომის პერიოდში. ის არის „დამნაშავე" ირან-აშშ-ის ურთიერთობის დაძაბვაში, 1979 წელს დააპატიმრეს ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები თეირანში. (52 დაკავებული 444 დღის შემდეგ გაათავისუფლეს).

ინფარქტის შემდეგ აიათოლა ოჯახთან ერთად ცხოვრობდა თეირანის სიახლოვეს პატარა ქალაქში. 1989 წლის მაისში კუჭ-



ნაწლავის სისტემის დაავადების გამო ოპერაცია გაუკეთეს, რის შემდეგაც მისი მდგომარეობა გართულდა, ათი დღის შემდეგ კი აიათოლა ჰომეინი გარდაიცვალა. ის საბოლოო განსასვენებლამდე სხვადასხვა ინფორმაციით, 10-დან 17 მილიონამდე ადამიანმა მიაცილა. დაკრძალულია მავზოლეუმში, რომელიც ბეხიშტე-ზაჰრას სასაფლაოსთან ახლოს მდებარეობს, იქ სადაც დაკრძალული არიან ირანის ისლამური რევოლუციის დროს დაღუპული მეომრები.

### პრინცესა დაიანა

იგი 1961 წლის 1 ივლისს დაიბადა, გარდაიცვალა 1997 წლის 3 აგვისტოს.

დაიანა უელსის პრინცის, ბრიტანეთის



სამეფოს მემკვიდრის პირველი ცოლი იყო. აქტიურად მოღვაწეობდა საქველმოქმედო და სამშვიდობო საქმიანობაში.

დაიანა უინსტონ ჩერჩილის შორეული ნათესავი გახლდათ.

1981 წლის 29 ივლისს ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრს გაჰყვა ცოლად. ორი წლის შემდეგ წყვილს პირველი შვილი უილიამი ეყოლა, კვლავ ორი წლის შემდეგ კი მეორე ვაჟი ჰარი (ჰენრი). 1992 წელს ქორწინება გაუქმდა, 1996 წელს კი განქორწინება ოფიციალურად გაფორმდა მისი უდიდებულესობა ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II ინიციატივით.

1997 წელს 31 აგვისტოს დაიანა ფრენსის სპენსერი პარიზში ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მანქანაში მასთან ერთად დოდი ელ ფაიედი, ეგვიპტელი მილიარდერის ვაჟიც იჯდა. ოფიციალური ვერსიით, მანქანის მძღოლს ალკოჰოლის გადაჭარბებული დოზა ჰქონდა მიღებული. 6 სექტემბერს დაიანა სპენსერების საგვარეულო სასაფლაოზე დაასაფლავეს ელტორპში.

სამგლოვიარო ცერემონია ბუკინგემის სასახლიდან დაიწყო და მთელ ლონდონში გაიშალა. ლედი დისთან გამოსამშვიდობებლად მილიონობით ადამიანი მიდიოდა. ტელევიზიით კი ცერემონიალს თვალს 2,5 მლრდ ადამიანი ადევნებდა თვალს.

### იოანე პავლე II

დაიბადა 1920 წლის 18 მარტს, გარდაიცვალა 2005 წლის 2 აპრილს

იგი რომის 264-ე პაპი იყო, გახლდათ სლავური წარმოშობის პირველი პონტიპიკოსი რომის კათოლიკურ ტახტზე.



მისი ნამდვილი სახელი და გვარი იყო კაროლ ვოიტილა, იგი პოლონეთში დაიბადა. მღვდლად ხელი დაასხეს 1946 წელს 1 ნოემბერს, 1967 წელს კარდინალი გახდა. 1978 წლის ოქტომბერში კი პაპად აირჩიეს და უწოდეს სახელი იოანე პავლე II. თავისი 27-წლიანი პაპობის პერიოდში მან 104 საზღვარგარეთული ვიზიტი განახორციელა. 1989 წლის 1 დეკემბერს ისტორიაში პირველად მან ვატიკანში მიიღო საბჭოთა კავშირის ლიდერი მიხეილ გორბაჩოვი.

1994 წელს, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები ირწმუნებიან, რომის პაპი თანდათანობით პროგრესირებადი პარკინსონით დაავადდა. დაავადებამ მძიმე ფორმები 2001 წელს მიიღო, 2005 წლის ზამთარში კი დაავადება კრიტიკულ ფაზაში გადავიდა. 27 მარტს მან ვერც კი შეძლო გამოსულიყო და მიემართა მორწმუნეებისთვის. პაპი 2 აპრილს გარდაიცვალა, 21 საათსა და 37 წუთზე, დიაგნოზით სეპტიკური შოკი და გულსისხლძარღვთა დაავადებები.

დაკრძალვა გაიმართა 8 აპრილს, სამგლოვიარო ლიტურგიას 300 000 ადამიანი ესწრებოდა. პაპი სამუდამო განსასვენებლამდე 4 მილიონმა ადამიანმა მიაცილა.

### კიმ ჩენ ირი

დაიბადა 1942 წლის 16 თებერვალს, გარდაიცვალა 2011 წლის 17 დეკემბერს

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეორე ლიდერი. კორეის შრომის პარტიის გენერალური მდივანი, უმაღლესი მთავარსარდალი.

კორეის „მუდმივი პრეზიდენტის" კიმ ირ სენის ვაჟი კიმ ჩენ ირი პოლიტიკურ საქმიანობაში 1961 წლიდან ჩაერთო. იგი კორეის შრომის პარტიაში გაწევრიანდა. და 1994 წლიდან თითქმის ყველა საპასუხისმგებლო პოსტი ეკავა კორეაში. მამის სიკვდილის შემდეგ სამწლიანი გლოვის გასვლისთანავე მემკვიდრეობით ჩაუდგა სათავეში ქვეყანას, თუმცა ფორმალურად მაინც თვითონ მართავდა. მისი მმართველობის პერიოდში ქვეყანამ ორჯერ გამოსცადა ბირთვული იარაღი.

კარგა ხანს იტანჯებოდა გულისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით. მისი სიკვდილის ოფიციალურ მიზეზად გულის შეტევა დასახელდა. კორეის მაღალი ხელმ-



ძღვანელობა ირწმუნება, რომ კიმ ჩენ ირი თავის ჯავშანმანქანაში გარდაიცვალა, როცა ქვეყნის მორიგ ინსპექტირებას აწარმოებდა. სამხრეთ კორეის დაზვერვა კი ირწმუნება, რომ ჩენ ირმა საკუთარ სახლში დალია სული.

20 დეკემბერს კიმ ჩენ ირის ცხედარი მინის სარკოფაგში ჩასვენებული კიმსუსანის მავზოლეუმში დააბრძანეს, სადაც განისვენებს მისი მამის ცხედარიც. ქვეყნის მეთაურთან გამოსამშვიდობებლად 5 მლნ. კორეელი მივიდა.

### ვაცლავ ჰაველი

დაიბადა 1936 წლის 5 ოქტომბერს, გარდაიცვალა 2011 წლის 18 დეკემბერს.

მწერალი, დრამატურგი, უფლებათა დამცველი, ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი პრეზიდენტი და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი.

თავისი კარიერა ლიტერატორის რანგში 1955 წელს დაიწყო. 1968 წლიდან „პრაღის გაზაფხულის" დღეებში უფლებათა დამცველის სახით წარუდგა ჩეხ ხალხს. იგი გახლავთ „ქარტია 77"-ის ერთ-ერთი ავტორი, სადაც მოცემული იყო ჩეხი დისიდენტების საპროგრამო დოკუმენტები. სამჯერ იყო მოსამართლე (1977, 1079, 1989 წლებში). 1989 წლის 29 დეკემბერს პრეზიდენტად აირჩიეს. ორი სახელმწიფოს – ჩეხეთისა და სლოვაკეთის გაყოფის შემდეგ 1993 წლის 2 თებერვალს ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს. მხარი დაუჭირა ნატოს შეიარაღებული ძალების იუგოსლავიაში შესვლას, 2011 წელს ინიციატივით გამოვიდა არ დაეჯილდოებინათ ვლადიმერ პუტინი „კვადრიგას" პრემიით.

იტანჯებოდა ზედა სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებით, სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ქალაქგარეთ გრადეჩკაში, იქვე გარდაიცვალა 18 დეკემბერს 2011 წელს.



მის გამოსამშვიდობებელ ცერემონიალს რამდენიმე ათასი ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის ევროპის ქვეყნების ლიდერები. რუსეთის ხელმძღვანელობა არათუ არ დაესწრო, მწუხარებაც კი არ გამოუთქვამს ჩეხეთის პრეზიდენტის გარდაცვალების გამო.

ჩეხეთის მთავარ კრემატორიუმში ჰაველს გაჰყვნენ ასობით ნათესავი და მეგობარი.

მოამზადა
ანა ვადაჭკორიამ

## მოგზაურობა სამშობლოში


ცხირეთის ციხე

# Tevdoreee!.. tiris erTi Citi

### თეძმის ხეობა

**ახალქალაქი თეძმის ხევებში შემავალი გზების გასაყარზეა და თავისებური შტაბ-ბინაც ამიტომ დავიდეთ აქ. ერთაწმინდიდან ახალქალაქში დაბრუნებულები ახლა უკვე გოსტიბესკენ მივეშურებით. დაახლოებით 5 კილომეტრში, გზიდან ხელმარჯვნივ ციხის ნანგრევები გამოჩნდება და ჩვენც მისკენ ვუხვევთ.** ეს **ცხირეთის** ცნობილი ციხეა, ტერიტორიას კი, რომელსაც მანამდე გავდივართ, ურბეხანი რქმევია. იგი, თურმე, ციხის მისადგომებთან შესაჩერებელ, მოსასვენებელ ადგილს წარმოადგენდა. მანქანა ერთი პატარა ტბის იქით ველარ მიდის — ზევით ტყიანი აღმართი იწყება. ტბასთან კამეჩის მცირე მროწლე და მოხუცი მწყემსია. არ ვიცი, ვინ როგორ, მე კი კამეჩს ყველაზე კეთილშობილ და ბიბლიურ პირუტყვად მივიჩნევ. ასე მგონია, იგი შესაქმეთა მე-5 დღეს იმიტომ მოავლინა ღმერთმა წყლიდან ხმელეთზე, რომ ადამისათვის მოხნულ-მოწესრიგებული ედემი დაეხვედრებინა.

ციხის ნაშალი, ტბა, კამეჩები და მოხუცი მწყემსი — უკეთესი ბიბლიური სურათი სად უნდა ნახო! თანაც, ისიც ვიცი, რომ სადღაც აქვე არქეოლოგებმა ქვის ხანის ადამიანის სამეურნეო იარაღებსაც მიაკვლიეს...

— ცხირეთზე ისე არ ახვიდეთ, აქაური წყალი რო არ გასინჯოთ, — გვირჩევს მწყემსი და როცა ჩვენს გაკვირვებულ გამოხედვას იჭერს, დაუმატებს — განა ტბაზე გეუბნებით რო, აგრე, ტყის პირზე ცივი წყაროა. ეგრე უთქვამთ, ვინც მაგ წყალს დალევს, მუხლში ქარი არ ჩაუდგებაო.

აბა, ციხეზე ასვლის წინ ამ რჩევის გაუთვალისწინებლობა იქნებოდა?!

აღმართი არც ისე გრძელი და დამღლელი გამოდგა, როგორც შორიდან ჩანდა. გადაადგილება ციხის ტერიტორიაზე უფრო გვიძნელდება — ხეებსა და ჯაგნარს ერთავად შთაუნთქავს ნაგებობა და გალავნის ერთი კედლის გარდა არაფერი ჩანს. სოზარ გულბანი შტატივზე შემოდგმული კამერით აღმა-დაღმა ებლოტება, მაგრამ ორი კადრის გარდა ვერაფერს იღებს. არადა, სათქმელი ბევრია.


დრის ციხე

**ისტორიული წყარო ამბობს, რომ ეს ციხესიმაგრე X საუკუნეში „წმ. შიოს კუბოს შემონაყარი ოქრო-ვერცხლით“ აუგია შიო-მღვიმის მონასტრის წინამძღვარ მიქაელს** (მისი სახელი შიო-მღვიმეში ნათლისმცემლის ტაძრის დასავლეთ ფასადზეა ამოკვეთილი ჯვრის გვერდით). ეს იმას გვეუბნება, რომ უმეფობის ხანაში ამ ტერიტორიაზე არსებული სოფლები, ფავნელ ერისთავთა კეთილი ნებით შიო-მღვიმის სამონასტრო კუთვნილება გამხდარა და მიქაელს მათი დაცვა განუზრახავს. **ამ ფაქტს ადასტურებს X საუკუნის საბუთი „ნასყიდობის დაწერილი ფავნელისა მღვიმის მონასტრისადმი“.**

მოგვიანებით ცხირეთი ქართლის მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია გახდა, რასაც იოსებ თბილელის „დიდმოურავიანიც“ ადასტურებს. ქვემო ქართლიდან თრიალეთის ქედზე გადმოსული ყირიმელი თათრები სწორედ ცხირეთში მყოფ ლუარსაბ II-ზე და გიორგი სააკაძეზე აპირებდნენ თავდასხმას, როცა კველთელმა მღვდელმა თევდორემ საკუთარი სიცოცხლის ფასად გზა აურია მათ და სხვა ციხესთან მიიყვანა. ჩვენ თევდორეს მოწამებრივი სიკვდილის ადგილსაც მოვინახულებთ, მაგრამ მანამდე გოსტიბეში ვართ ასასვლელი.

გოსტიბებმდე სოფელი **ცხავერია.** ზევით დამოწმებული „ფავნელის დაწერილის“ თანახმად, სოფლის ძველი სახელი „ცხვერეთი“ ახლანდელისგან დიდად არ განსხვავდება და იგი ციხესთან უფრო უნდა იყოს დაკავშირებული, ვიდრე ცხვართან.

მინდორში თივით დაზურგული, კამეჩებშებმული ურმების ნახვა იმედიანად განგვაწყობს — გასული საუკუნის 70-იან წლებში აღორძინებული სოფელი, როგორც ადრე გვეუბნებოდნენ, ხელახლა მთლად არ ყოფილა დაცლილი. კიდევ უფრო სასიამოვნოა შორიახლოს მთიბავი მამა-შვილის ხილვა. მარტო მეწველი ხუთი ძროხა გვყავსო, — გვეუბნებიან.

2002 წლისთვის ცხავერში 20 კომლი ცხოვრობდა.

სოფლის სიძველეზე, ბუნებრივია, მისი ეკლესია მეტყველებს ხოლმე. ღვთისმშობლის ეკლესია და ნასახლარი დღევანდელი ცხავერიდან სამხრეთით, დაახლოებით, ერთ კილომეტრშია. ამ ადგილს კაჩაანთ უბანი ჰქვია. ტიმპანიანი არქიტრავით გადახურული საყდრის კარი მწვანე ტუფის ქვისაა. ძეგლი, რომელიც საერთო ნიშნებით IX-X საუკუნეებისა უნდა იყოს, ძალიანაა დანგრეული.

გოსტიბე ცხავერიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით, 7-8 კილომეტრშია მდინარე გოსტიბულას გაყოლებაზე.

გოსტიბულა აქ შეურქმევიათ პატარა მდინარისთვის, თორემ იქ, სადაც იკვს ჩაუვლის და თეძამს ერთვის, შაბწყალად იცნობენ. გოსტიბეც ახალაღორძინებული დასახლებაა, ოღონდ ცხავერზე გაცილებით დიდი.

სოფელში ერთი კოშკი და ორი დარბაზული ეკლესიაა. კოშკი ოთხსართულიანია და გვიანი შუასაუკუნეების ნაგებობაა. ეკლესიებიდან ერთ-ერთი — **„სამება“** ნასოფლარის სასაფლაოზე. ტყის პირზეა. ეს დარბაზული საყდარი ნაგებია კარგად პირგათლილი, მაგრამ არასწორი მართკუთხა ფორმის დიდი ლოდებით, რასაც, თითქოს, ქვათა წყობის თარაზულობისთვის შეუშლია ხელი. მიუხედავად ამისა, მოყვითალო-მომწვანო პერანგით შემოსილი საყდარი საკმაო ეფექტს ახდენს. ტაძარს ნაირგვარი კონფიგურაციისა და კვეთის უამრავი ჯვარი აბნევია ფასადებზე. მათგან სამს თან ახლავს ასომთავრული წარწერა. ერთ მათგანზე, ოთხსტრიქონიან წარწერაში, ნახსენებია საყდრის ამგები **„დავით გალატოზი“.** ზოგადი ნიშნებით „სამება“ X-XI საუკუნეების ძეგლია. მის გადაღებას ძალიან ართულებს ხარაჩოები.

გოსტიბეს მეორე ეკლესიაც ძველ სასაფლაოზეა, ოღონდ ნასოფლარ **კაბერში.** იგი გზიდან ოციოდ ნაბიჯზეა და შეუნიშნავი არ დაგრჩებათ, რასაც მისი ზომებიც (12,7X11,9 მ) განაპირობებს. სამწუხაროდ, ეს ეკლესიაც ხარაჩოებში გვხვდება და გადაღება გვიძნელდება. განსაკუთრებით რთული მისადგომია დასავლეთ ფასადზე, ლამაზად გაფორმებულ ქვის დაფაზე, ამოკვეთილი მოზრდილი ასომთავრული წარწერა. მასში ნახსენები არიან **გიორგი მეფე, მელქისედეკ კათალიკოსი, სოფრონ ბედიელი მთავარეპისკოპოსი და ამშენებელი, ვინმე ასად სანივაჯის ძე. აქვეა თარიღი 1014-1027 წლები,** რაც სრულიად მოიცავს გიორგი I-ის მეფობის ხანას და ემთხვევა სვეტიცხოვლის მშენებლობის პერიოდს. გაკვირვებას იწვევს ერთი გარემოება: რატომ აქვს ტაძრის საკურთხევლის, ეკვდერისა და სამკვეთლოს აფსიდებს ნალისებრი მოყვანილობა, რომელიც განვითარებულ შუასაუკუნეებში აღარ გვხვდება? ჩნდება ეჭვი, რომ კაბერის „წმინდა გიორგის“ კედლები ადრეშუასაუკუნეების სამეკლესიანი ტაძრის ზეძირკველზეა აყვანილი. ისევე როგორც „სამება“, „წმინდა გიორგიც“ არასწორი მართკუთხა ფორმის ლოდების პერანგში ზის. დასავლეთ ფასადზე ერთი უშველებელი ლოდიც გვხვდება. **ვფიქრობ, რომ ორსავე შემთხვევაში, წყობის თარაზულობის საგანგებო დარღვევით, ჩვენ საქმე გვაქვს სადა კედლების მხატვრული ამეტყველების ერთ-ერთ ხერხთან (ასეთი რამ ნანახი მაქვს ასპინძის რაიონის აფნიის ამავე ეპოქის ეკლესიაშიც).**

გოსტიბიდან თეძმის სანაპიროზე მოკლე გზით დაშვება სარისკო გამოდგა. სოფელ ჭყოპიანამდე გზა მართლაც საგრძნობლად შევიმცირეთ, მაგრამ ლამის გადავიჩეხეთ და დროშიც ვერაფერი მოვიგეთ.

**ჭყოპიანი** დღევანდელი მოგზაურობის ბოლო პუნქტია და იმავე ამბებთანაა დაკავშირებული, რითაც ცხირეთის ციხეში ყოფნით დავიწყეთ თხრობა — თევდორე კველთელის თავდადებასთან.

ოსმალეთის ლაშქარში გაერთიანებულმა ყირიმელმა თათრებმა მანგლისის სიახლოვეს შეპყრობილი თევდორე მღვდელი მეგზურად დაიყენეს და შიდა ქართლში გადმოსვლასთან ერთად ცხირეთის ციხეზე მისასვლელი უმოკლესი გზის სწავლება დაავალეს. **„არვინ დავრჩებით უკვდავათ, ვინც რომ დედითგან ვიშვითა“,** — გაიფიქრა მღვდელმა და ქვეყნის გადასარჩენად თავი გაწირა, გზიდან მარცხნივ გადაუხვია თავქვეზე დაეშვა და ცხირეთის ნაცვლად **„ერთაწმინდაზე ჩაუძღვა, გზა ჩავლო ქვენადრისანი“.** როგორც სავარაუდოა, ერთაწმინდისკენ მიმავალი გზიდან, თევდორემ თეძმის გაღმა ნაპირზე აღმართული მრისხანე დრის ციხე დაანახვა მტერს და ცხირეთად ის შეატყუა. თევდორეს საქციელი მოგვიანებით გაიგეს და თავი მოკვეთეს. ვდგავარ თეძმის ნაპირზე, დრის







გოსტიბეს კოშკი და „სამების“ წარწერიანი ქვები

ზღაპრული ციხის ქვეშ და თვალით დავეძებ ადგილს, სადაც თავი მოკვეთეს თევდორეს.

... ერთ ეპოქაში სამშობლოსთვის შეწირული ორი უმანკო სული — ყმაწვილი პაატა და მღვდელი თევდორე. ორი მოკვეთილი თავი — ერთი ირანიდან ჩამოტანილი და თეძამზე, „ესტატეწმინდაში“ დაკრძალული, მეორე აქვე, თეძამზე დაცემული და საიდუმლოდ დავანებული.

დიდება შენდა, უფალო, რამდენი მსხვერპლი გაიღო შენმა მადიდებელმა ერმა, ვფიქრობ და ჩქარი ნაბიჯით, შეუსვენებლად მივიწევ ზევით, დრის მრისხანე ციხისკენ, სადაც, კოშკებთან ერთად, პატარა მწვანე საყდარიც მეგულება. აქ ადრეც ვყოფილვარ, როცა 1989 წელს, მეგობრებთან ერთად, ცხენებით დოესის მინდორი გადმოვჭერი და თეძმის აყოლებით კლდეკარი გადავიარე. მაშინ ასე არ დავკვირვებივარ ციხესა და მის ტაძარს, ამ კოხტა ნაგებობას.

... საკურთხევლის წინ ღრმა თხრილია, რომელიც, შეიძლება თეძამზეც ჩადიოდეს. სანთელს ნიშში ვანთებ და საყდრის წინ ვჯდები. გარშემო ტყე შრიალებს, ივნისის სიო დაჰქრის და ფოთლებს ეჩურჩულება. შოთა ნიშნიანიძის სტრიქონები მახსენდება:

**„თრიალეთის ტყეში, როცა დღეა მშვიდი,**

**— თევდორეეე!...**

**— თევდორეეე!...**

**ტირის ერთი ჩიტი“.**

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**





გოსტიბე. კაბერის „წმ. გიორგი“ და მისი მთავარი წარწერიანი ქვა

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

*მთვარისა კევლიშვილი.*

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



* * *

**— გთხოვთ განგვიმარტოთ, არის თუ არა ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი გარდაცვლილი მამის მემკვიდრე მაშინ, როცა გარდაცვლილს ჰყავს შვილები რეგისტრირებული ქორწინებიდან?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის 1309-ე მუხლი. ამ სახის შეკითხვა ხშირად შემოდის „საერთო გაზეთის“ რედაქციაში, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს საკითხი თანამედროვე საქართველოში აქტუალურია.

შვილები, რომლებიც დაუქორწინებელი მშობლებისგან დაიბადნენ, როგორც წესი, კანონით მემკვიდრეები არიან დედის გარდაცვალების შემდეგ, ანუ აქ იგულისხმება შემდეგი: ბავშვი დედის მემკვიდრეა უდაოდ, რადგან დედამ შვა შვილი და ეს დავას არ იწვევს. მამის მემკვიდრეობის საკითხი ამ მხრივ განსხვავებულია. ქორწინებისგარეშე შობილი ბავშვები მამის გარეშე მემკვიდრეები იქნებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამობა აღიარებულია აწ გარდაცვალილის მიერ ნებაყოფლობით ან მამობა კანონით დადგენილი წესით იყო აღიარებული. აქვე გეტყვით, რომ თუ ასეთი შვილი მამაზე ადრე გარდაიცვლება, მაშინ მის შვილებს — ანუ შვილიშვილებს წარმომადგენლობის უფლებით შეუძლიათ მოითხოვონ წილი იმ სამკვიდროდან, რომელსაც მათი მამა მიიღებდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო.



გარემოება, რომ არსებობენ რეგისტრირებული ქორწინების დროს დაბადებული შვილები, არ ცვლის ვითარებას. ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი ისეთივე მემკვიდრეა მამის, როგორც რეგისტრირებული ქორწინების დროს დაბადებული შვილები. კანონით მემკვიდრეობის დროს სამკვიდროდან თითოეული მათგანის წილი თანაბარია. შემაქვს სამოქალაქო სარჩელი სასამართლოში განქორწინების თაობაზე. გარდა განქორწინებისა, ვითხოვ ალიმენტის გადახდას შვილების სასარგებლოდ და ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ნახევარს. რამდენი უნდა გადავიხადო სახელმწიფო ბაჟი?

— სახელმწიფო ბაჟის მინიმალური ოდენობა რაიონულ სასამართლოში არის 100 ლარი, ანუ თქვენ განქორწინების საქმეზე უნდა გადაიხადოთ 100 ლარი;

როდესაც მოსარჩელე მოპასუხისგან ითხოვს ალიმენტის გადახდას, ის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდება, ანუ ალიმენტის მოთხოვნის ნაწილში თქვენ სახელმწიფო ბაჟს არ გადაიხდით.

ზოგადად, ბაჟის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ღირებულების ქონებრივი სარგებლის მიკუთვნებას ითხოვთ. თქვენ ითხოვთ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ნახევარს. თქვენ ბაჟის სახით უნდა გადაიხადოთ ქონების ნახევრის ღირებულების 3 პროცენტი.

* * *

**— ჩემი მეზობელი ქალი არის ქრონიკული ალკოჰოლიკი, ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, ქმარიც ალკოჰოლიკია. ისინი ბავშვების განვითარებაზე აშკარად უარყოფით გავლენას ახდენენ. საბრალო ბავშვები ხან ერთ მეზობელთან აფარებენ თავს, ხან მეორესთან, მშობლების გაუთავებელი ჩხუბის გამო.**

— საქმის კურსში უნდა ჩააყენოთ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. შესაძლოა, დადგეს მშობლების უფლების ჩამორთმევის საკითხი. როგორც ჩანს, ორივე მშობელი ქრონიკული ალკოჰოლიკია. ეს გახლავთ საკმარისი საფუძველი, იმისათვის, რომ სასამართლო წესით მათ ჩამოერთვათ მშობლის უფლება.

* * *

**— მყავს ორი ძმა. ისინი უცოლშვილოდ დაბერდნენ. გადაწყვიტეს, თავიანთი ქონება ერთობლივი ანდერძით ჩემს ვაჟიშვილს დაუტოვონ. როგორ უნდა მოხდეს ეს?**

— ანდერძი უნდა შეიცავდეს ერთი მამკვიდრებლის განკარგულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1347-ე მუხლის მიხედვით, ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად ანდერძის შედგენა არ დაიშვება. თუმცა გამონაკლისი არსებობს: მხოლოდ მეუღლეებს შეუძლიათ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ, რომელიც შეიძლება გაუქმდეს ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით, მაგრამ ჯერ კიდევ ორივე მეუღლის სიცოცხლეში.

თქვენ შემთხვევაში ორივე ძმამ არა ერთობლივად, არამედ ცალცალკე უნდა შეადგინონ ანდერძი თავიანთი სამკვიდროს თქვენი შვილისთვის დატოვების შესახებ. სასურველია, ანდერძი დადასტურდეს სანოტარო წესით, რადგან მოსალოდნელი დავების გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სანოტარო წესით დადასტურებულ ანდერძს შინაურულ ანდერძთან შედარებით.

* * *

**— შეიძლება თუ არა მოანდერძემ სხვა პირს დაავალოს ანდერძის შედგენა?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1346-ე მუხლის მიხედვით ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება, ანუ კანონი არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მოანდერძემ სხვა პირს დაავალოს ანდერძის შედგენა.

* * *

**— ჩემი დეიდაშვილი საბერძნეთში მცხოვრები ნათესავის ერთადერთი მემკვიდრეა. ნათესავი გარდაიცვალა. რომელი ქვეყნის კანონმდებლობით მოხდება ქონების მიღება?**

— სამკვიდროს მიღება მოხდება საბერძნეთის სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით.

* * *

**— არის თუ არა ვალდებული გერი არჩინოს მამინაცვალი ან დედინაცვალი?**

— გერი ვალდებულია, არჩინოს მამინაცვალ-დედინაცვალი, თუკი ისინი ადრე ზრდიდნენ ან არჩენდნენ მას.

* * *

**— ხუთი წლის წინ განვქორწინდი მეუღლესთან. ახლა მსურს მოვითხოვო მისგან ალიმენტის გადახდა შვილებისათვის. შეიძლება თუ არა, ალიმენტი მოვითხოვო განქორწინების დღიდან?**

— შეგიძლიათ ალიმენტი მოითხოვოთ მხოლოდ მომავალი დროისათვის, სარჩელის წარდგენის დღიდან ბავშვების სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე.

არსებობს გამონაკლისიც: წარსული დროის ალიმენტი შეიძლება გადახდევინებულ იქნეს 3 წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოს მისაღებად (მაგალითად, ალიმენტის მიმღები სისტემატურად ითხოვდა ალიმენტს), მაგრამ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას.

* * *

**— მსურს ვიშვილო გოგონა, როგორია შვილად აყვანის პროცედურა?**

— გაშვილება აუცილებლად იურიდიულად უნდა იქნას გაფორმებული და რამდენიმე ეტაპს მოიცავს.

1. შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოში.

2. მშვილებლისა და ბავშვის შეთავსებადობის დადგენა.

3. სასამართლოში მიმართვა და სასამართლოს მიერ გაშვილების გადაწყვეტილების მიღება.

თითოეულ ამ ეტაპს თავისი შინაარსობრივი დატვირთულობა გააჩნია, მაგრამ საგაზეთო კითხვა-პასუხის ფორმატი მას ვერ დაიტევს.

* * *

**— შეიძლება თუ არა ანდერძი შევადგინო ნოტარიული დამოწმების გარეშე?**

— ანდერძი უნდა შედგეს წერილობით. ამასთან, დასაშვებია წერილობითი ანდერძი — სანოტარო ფორმით ან მის გარეშე.

ე.ი. შეიძლება ანდერძის შედგენა ნოტარიული დამოწმების გარეშე, თუ ჩემს რჩევას გაითვალისწინებთ, მომავალში რაიმე გაუგებლობების თავიდან ასაცილებლად, სჯობია, ანდერძს უფრო ოფიციალური სახე მისცეთ და გააფორმოთ ნოტარიული დამოწმებით.

facebook

# xalxis azriT

ძალიან მიკვირს ოპოზიციონერები რატომ არ ეკითხებიან ნაცებს, თუ ყველაფერი კარგად აქვთ, ობამა რატომ ამახვილებს ყურადღებას სამართლიან და თავისუფალ არჩევნებზე? რომელი ქვეყნის მეთაურს კადრებდა ობამა ამას, სარკოზის, მერკელს თუ სხვას?

უპრეცედენტოდ წარმატებული შეხვედრის კვალობაზე მიშა ცოტა არ იყოს არაადეკვატურად სევდიანია.. რა თქმა უნდა ეგრე იქნება, როგორ ემზადებოდა ამ ვიზიტისთვის, სავადმყოფოების გახსნა, რეიტინგები, იქნებ დაუშვან პრეცედენტი და მე ესეთ მაღალრეიტინგიან პოლიტიკოსს ისევ მოსთხოვონ დარჩენა პოლიტიკაშიო, აშკარად ამაზე უარი მიიღო:) 15 წუთში რომ "გაგიიასნებენ", რომ დაამთავრე ყველაფერი ასეთი სახე ალბათ, გექნება...

ბოკერიას ხუმრობამ ვერ უშველა მიშას! დააკვირდით სახეებს, მხოლოდ ბასმა გაიცინა, რადგან ის საქართველოში უნდა დაბრუნდეს და კიდევ უფრო მოახდინოს ამ ხელისუფლებად წოდებულ დაჯგუფებაზე ზეწოლა, რომ თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს! რაც შეეხება მიშას და ბაიდენს აქ ყველაფერი ნათელია!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!! მე მგონი, ეს ფოტო ისტორიული იქნება. ეს ბოლო შეხვედრა არის ამ პოლიტიკოსების, როგორც სახელმწიფო მოხელეების!!!!!! ქართული ოცნება საქართველოს მოსახლეობის განთავისუფლება არის მოვაჭრე პოლიტიკოსებისაგან!

მაგარი იყო არა??? საპრეზიდენტო კარიერა დაიწყო შევარდნაძის ცხელი ჩაის სმით და დაამთავრა ბაიდენის ცივი ჩაით :))))))))))

ჰმ! კახეთის ვიცე-გუბერნატორი მახსოვს მედეა, მაგრამ საქართველოს დედოფალიც თუ იყო, არ ვიცოდი. საქართველოს პრეზიდენტი, ასევე, შეხვდა „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ აღმასრულებელ დირექტორს დენიელ იოჰანესს, სადაც განაცხადა, რომ მომავალ წელს საქართველოში მასობრივად გაიხსნება მსოფლიო კლასის საუკეთესო სკოლები. „საქართველო მართლაც შესანიშნავი ქვეყანაა, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით. ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა, სადაც ღვინო დაიბადა, საიდანაც სათავეს იღებს მედიცინა, რომელსაც სახელწოდება ჩვენი დედოფლის — მედეას სახელიდან დაერქვა“, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

რამდენი ხანი აპირებს კიდევ ამერიკაში დარჩენას ეგ მატყუარა კაცი? წელიწადში 350 დღე საქართველოში არ ატარებს, ცოტა ბიძინას გამოჩენის მერე გაჩერდა და მოიარა რეგიონები, თორემ მფრინავი მიშა მუდმივი თანამგზავრივით უვლის დედამიწას გარშემო. უყვარს კაცს მაღლიდან გადმოხედოს ქვეყანას, უკეთესად ჩანს, დაჟე ჰოლანდიას გავასწარით ზემოდან

მიშამ გარანტიები მიიღო ამერიკაში, სადაც ალბათ, დასახლდება. ივლის აქეთ-იქით ლექციებით საქართველოში დემოკრატიის თაობაზე. რეპეტიციას უკვე ახლა ატარებს...

ჩემი აზრით, მას მართლაც არ აქვს გადაწყვეტილი, რა ქნას... და ბევრ მომავალ მოვლენაზეა დამოკიდებული მისი ქმედებები. კერძოდ, ჩიკაგოს ნატოს სამიტის შედეგებზე ამა წლის მაისში. უცნაურად ჟღერს, მაგრამ, ირან-ისრაელის შესაძლო დაპირისპირებაზეც, აშშ-ს არჩევნების შედეგებზე... მანამდე რუსეთის ქმედებებზე... თავად ოპოზიციის ქმედებებზე... აგრეთვე, საკუთრივ ნაციონალებში ახალი ლიდერის შერჩევაზე... მას უამრავი მიზეზი აქვს იმისთვის, რომ არ დარჩეს, მაგრამ, უამრავი მიზეზი აქვს დარჩენისთვისაც... ამავე დროს, ჩემი დაკვირვებით, ის მიეკუთვნება იმ ლიდერთა კატეგორიას, რომლებსაც უყვართ არაორდინარული ვითარებები... სწორედ ამ ვითარებებში გრძნობენ ისინი თავს წყალში თევზივით. ასე რომ... ბი თუ ბი...

გამორცხვის მეთოდით რომ დავიწყოთ მსჯელობა — რას იზამს მიშა? მოკლედ, რას ფიქრობთ, თუ ოპოზიციამ (ივანიშვილის თამადობით) ძალიან მოინდომა და მიშა გახდა პრემიერი. ანუ მაინტერესებს, რა ხდება ამის შემდეგ, როგორ აგრძელებს ქვეყანა არსებობას საერთაშორისო ასპარეზზე?




Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook

## ერთი წლის ბავშვმა გველს „უკბინა"

ისრაელის ქალაქ შფარამში ერთი წლის ბიჭუნამ გველს თავზე უკბინა. როგორც კი პატარას დედა იმადა გარიდა ოთახში შევიდა რძიანი თეფშით ხელში, მაშინ დაინახა იატაკზე თავგაჭყლეტილი მედიანკა. ბიჭი ავად არც კი გამხდარა, რადგან მედიანკები საშიში არ არის ადამიანის ჯამრთელობის. თუმცა შეშფოთებულმა მშობლებმა გველთან მებრძოლი 1 წლის პატარა საავადმყოფოში მაინც წაიყვანეს.



## დაასახელეს ყველაზე მავნე საკვები პროდუქტები მამაკაცის ჯანმრთელობისთვის

ეს საკვები პროდუქტები არა მხოლოდ ასაკოვან, არამედ ახალგაზრდულ ასაკში მყოფ მამაკაცებსაც კი უქმნის ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს. ჰარვარდისა და მურსიას უნივერსიტეტის პროფესორები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ პიცა, ჩიპსები, არომატული ორცხობილები მამაკაცის ჯანმრთელობის პირდაპირი მტერია. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ არც მეტი, არც ნაკლები, ამ საკვების მოყვარული მამაკაცები უშვილობის რისკის წინაშე დგანან. ეს ეხება ვაჟებს 18-დან 22 წლამდე. მათი სპერმის სიცოცხლისუნარიანობა გაცილებით დაბალია იმ ვაჟებთან შედარებით, რომლებიც იშვიათად მიირთმევენ მსგავს საკვებს.



## მეთევზე და ნიანგი ხალხის თვალწინ ერთმანეთს კოცნიან

ეს საოცარი შემთხვევა კოსტა რიკაში მოხდა. ადგილობრივი მეთევზე ჯილბერტო შედენი მეტსახელად ჩიტო პირდაპირ შოუს აწყობს ხალხის წინაშე ქალაქ სიკეიროსში. ჩიტო აცხადებს, რომ მისი და ნიანგის მეგობრობა 20 წლის წინ დაიწყო, როცა მეთევზემ დაშავებული ნიანგი იპოვა მდინარე პარისმინში. რეპტილია სიკვდილსიცოცხლის ზღვარზე იყო ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობებისგან. ჩიტომ ნიანგი თავის რანჩოში მიიყვანა და მის გამოჯანმრთელებას შეუდგა. ნიანგს პოჩო დაარქვა.

„უყურადღებოდ არ ვტოვებდი, მის გვერდით მეძინა, უბრალოდ, მინდოდა პოჩოს ეგრძნო, რომ ვიღაცას უყვარს, ზრუნავს მასზე და არსებობს ცუდი და კარგი ადამიანები".

ნახევარი წლის შემდეგ მეთევზემ გამოჯანმრთელებული ნიანგი ახლომდებარე ტბაში გაუშვა. მაგრამ პოჩო უკან დაბრუნდა, არ



ისურვა თავისუფლება და ტბაში ჩიტოს გარეშე ნავარდი. მას შემდეგ მეთევზე და 5-მეტრიანი მტაცებელი ერთად ცხოვრობენ. მეთევზის სიტყვებით, ნიანგი ოჯახის შესანიშნავი დამცველია. ჩიტო და პოჩო ხშირად დასეირნობენ ქალაქის ქუჩებში, ერთად დადიან ტბაზე. რამდენიმე ხნის წინ მეთევზეს მეგობრებმა ურჩიეს ყველასთვის ეჩვენებინა ჩიტოს თუ როგორ მეგობრობენ ნიანგი და ადამიანი. ტბაზე სანახაობა გამართეს. მეთევზე და 400კგ-იანი მტაცებელი არხეინად ერთობიან ტბის ტალღებში.

„პოჩო ჩემი საუკეთესო მეგობარია, ეს ცოტა საშიში რამ არის, მაგრამ მე და ნიანგს არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს", —ამბობს ჩიტო. მისი სიტყვებით, საკმარისია, მეთევზემ ერთხელ შეხედოს თვალებში ნიანგს და მან იცის, რა უნდა გააკეთოს, ნიანგს ყოველგვარი აგრესიული ინსტინქტები მაშინვე ავიწყდებაო, — ჰყვება ჩიტო.

## დაასახელეს ფსიქიურად არამდგრადი ერი



იტალიელი მეცნიერ-მკვლევარები და მედიკოსები დააკვირდნენ ერის ფიქოლოგიას და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ იტალიაში ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა საჭირო ხდება სასწრაფო დახმარების გამოძახება ფსიქოლოგიური დახმარებისთვის.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ იტალიელი ერი დაბერებისკენ მიდრეკილია, ეს მათ ჯანმრთელობაზეც აისახება. მაგალითად, სიკვდილიანობა გულის ან სისხლძარღვთა დაავადებებით საკმაოდ ხშირია, აგრეთვე კიბოთი დაავადების რისკებიც, მაგრამ იტალიელი მედიკოსების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს იტალიელთა ფსიქიური მდგომარეობა.

დღეს ნახევარზე მეტი იტალიელი მძიმე დეპრესიით და პირადი ინტიმური პრობლემებით იტანჯება.

სევდა და მელანქოლია სულ უფრო და უფრო ფართოდ მოეფინა იტალიას. ისინი დღეს მსოფლიოში ფსიქიურად ყველაზე არამდგრად ხალხად ითვლებიან.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

## ასტროლოგიური პროგნოზი


**ვერძი** — თქვენს ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებებია მოსალოდნელი. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. შეგიძლიათ თავს დასვენების უფლებაც მისცეთ.


**კურო** — ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ, რადგან კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა იზრდება. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში.


**ტყუპები** — პირად ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებები გელით. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ. შესაძლოა, წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.


**კირჩხიბი** — ეს პერიოდი დასვენებას დაუთმეთ. წარმატება გელით პირად ცხოვრებაში. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრებთან გაატარეთ.


**ლომი** — ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან ურთიერთობისას. დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ.


**ქალწული** — გელით რომანტიკული თავგადასავლები. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახურ გარემოში გაატარეთ. ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ.


**სასწორი** — თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი დადგა — იღბალი თქვენს მხარესაა, გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა საუკეთესო პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ.


**მორიელი** — ამ პერიოდში აქცენტი პირად ცხოვრებაზე გააკეთეთ. შეგიძლიათ თამამი გადაწყვეტილებებიც მიიღოთ. ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს.


**მშვილდოსანი** — წარმატებული დღეები გრძელდება. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება. დაგეგმილი მოგზაურობა წარმატებული იქნება.


**თხის რქა** — ფინანსურ ოპერაციებში წარმატებები გელით, რასაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. ერიდეთ იმ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებსაც თქვენზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.


**მერწყული** — წარმატება გელით ყველგან და ყველაფერში. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა დაგეგმილი საქმეები განახორციელოთ.


**თევზები** — ამ პერიოდში მნიშვნელოვანი არაფერი გელით. იყავით მშვიდი და გაწონასწორებული. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დასვენებას დაუთმეთ.